

ხორუმი ქართული ცეკვაა A3



სამოდელო ციხის პრობლემები A4



დაბრუნებული პროფილი A8

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 27 აპრილი, 2006 წელი. №90 (1242)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### ვირტუალური პოლემიკა ოპოზიციასთან

გუშინ პარლამენტმა ისე განიხილა და სხვადასხვა მოსმენით ისე მიიღო რამდენიმე ათეული კანონპროექტი, რომ დეპუტატებს მომხსენებლებისთვის შეკითხვები თითქმის არ დაუსვამთ და, პრაქტიკულად, არანაირი შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

A2

## სამართალი

### გამგებლის მოადგილე - პატიმარი

თელავის გამგებლის მოადგილის ჯუმბერ დარჩიაშვილის დაკავებას ადვოკატები და ოჯახის წევრები ბიზნესინტერესს მიაწერენ. საქმე ისაა, რომ იგი თელავის აგრარული ბაზრის ერთ-ერთი მეპატრონის შვილია და, როგორც ოჯახის წევრები აცხადებენ, დარჩიაშვილის დაპატიმრება იმ პირთა ინტერესებში შედიოდა, რომელთაც ბაზრის ხელში ჩაგდება სურთ.

A4

## სპორტი

### მალტა უკან დარჩა, წინ ლიტვა და სერბეთია

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის 2007 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო შეხვედრაშიც უპრობლემოდ და დამაჯერებლად იმარჯვა.

A6

### „ბრიტანეთის ავიახაზების„ და „24 საათის„ ერთობლივი ვიქტორინა

A8

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 27/04 | 28/04 |
|---|---|---|
| თბილისი | 20 | 10 |
| ტყიბული | 9 | 11 |
| სოხუმი | 11 | 13 |
| გორი | 12 | 8 |
| ონი | 3 | 6 |
| ზუგდიდი | 13 | 15 |
| ახმეტა | 21 | 11 |
| გაგრა | 11 | 13 |
| სამტრედია | 12 | 15 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8159 |
| ევრო | 2.2525 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2385 |
| რუბლი | 0.0663 |



| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| სპორტი | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |



# დემოკრატიით გამოცდა

## უკრაინას ნატო-ში იწვევენ

დიმიტრი ავალიანი

*უკრაინა უახლოეს მომავალში ნატო-ს წევრობის კანდიდატი გახდება. დასავლური პრესა ამაზე, როგორც შემდგარ ფაქტზე, ისე საუბრობს. ეს გახდება შოკი რუსეთისათვის, მაგალითი და პრეცედენტი - საქართველოსათვის. რით დაიმსახურა კიევმა ასეთი ნდობა ამერიკელების მხრიდან, რომლებიც მისი ნატო-ში დაჩქარებული წესით მიღების ინიციატივით გამოდიან?*

აშშ 2008 წლამდე უკრაინის ნატო-ში გაწევრიანებას დაუჭერს მხარს. ამის შესახებ ინკოგნიტო ნატო-ელ დიპლომატზე დაყრდნობით The Financial Times იუწყება. წყაროს ცნობით, ხვალ სოფიაში აშშ სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი შეეცდება, ალიანსის წევრები დაარწმუნოს, შეუერთონ უკრაინა ნატო-ს წევრობის სამოქმედო გეგმას (MAP).

**"აშშ-ს სურს, რომ უკრაინა სამოქმედო გეგმას სექტემბრამდე შეუერთდეს, და აუცილებლად ნატო-ს სამიტამდე, რომელიც ნოემბერში რიგაში გაიმართება. ეს საშუალებას მისცემს ამ ქვეყანას, ნატო-ს წევრი გახდეს ჯერ კიდევ ჯორჯ ბუშის საპრეზიდენტო ვადაში - 2009 წლის დასაწყისამდე,"** - წერს გაზეთი. ამისთვის აშშ 2008 წელს რიგგარეშე სამიტის ჩატარებას გეგმავს, სადაც სწორედ ალიანსის გაფართოების საკითხები გადაწყდება.

ამ ცნობაში არაფერი ყოფილა ახალი უკრაინის ხელისუფლებისათვის. უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვლადიმირ ხანდოგი აქამდეც აცხადებდა, რომ **"ჩვენი მიზანი 2008 წელს ნატო-ს გაფართოების სამიტია. ამ წელს ნატო-ს გაფართოების ახალი ტალღაა მოსალოდნელი, და ჩვენ, რა თქმა უნდა, გვინდა, რომ ამ ტალღამ ამ ორგანიზაციაში შეგვიყვანოს"**. ის იმედს გამოთქვამდა, რომ უკრაინის ნატო-ში გაწევრიანების სამოქმედო გეგმაში ჩართვა სწორედ ხვალ, სოფიაში ნატო-ს წევრ სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების არაფორმალურ სამიტზე გადაწყდება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ადამიანი - მილიარდი

## ბილ გეითსი - განხორციელებული ამერიკული ოცნება

B

გოჩა ქიმუცაძე

*მთელს მსოფლიოში ვერ იპოვით ადამიანს, ერთხელ მაინც რომ არ გაეგონოს ძლევამოსილი კომპანია Microsoft-ის დამაარსებლის და პლანეტის უმდიდრესი ადამიანის უილიამ (ბილ) გეითსის შესახებ. უკვე მერამდენე წელია, იგი ჟურნალ Forbes-ის მიერ გამოქვეყნებულ მილიარდერთა რეიტინგში პირველ ადგილზეა. ალფრედ ადლერს უთქვამს, წარმატებულ ადამიანებს აღმატებულობისაკენ სწრაფვა ამოძრავებთო.*





### სიახლე "24 საათში"

© გაზეთი 24 საათი

# Weekend

ყოველ შაბათს, შაბათ-კვირის საკითხავი

- შაბათის სტუმარი
- დათო მაღრაძის "დედაქალაქი"
- ქეთევან იგნატოვას "გულახდილად"
- დიზაინი, მოდა, სტილი
- ელიტარული ქრონიკა
- ნოდარ ლადარიას "დროთა კავშირი"
- თავშესაქცევი ამბები
- ფოტონარკვევი
- პორტრეტი
- მეცნიერება და ტექნიკა
- ავტომობილი
- ბესტსელერი
- დეტექტივი, ფანტასტიკა
- კროსვორდები, თავსატეხები, კომიქსები

### კიდევ ერთი სიახლე "24 საათში"

24 საათი

© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

1 მაისიდან ყოველდღიური სპორტული ბლოკი



# ლიტერატურული პრემია "საბა 2006"

A8



## კოკოითის რეჟიმი გენოციდზე საუბრობს

არაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დე ფაქტო პარლამენტი მსოფლიო თანამეგობრობას 1989-1992 წლებში საქართველოს მხრიდან რეგიონში მცხოვრები ოსების გენოციდის აღიარებას სთხოვს. აღნიშნული ინფორმაცია ოთხშაბათს სეპარატისტული რეჟიმის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ინტერნეტ-გვერდზე გამოქვეყნდა.

დოკუმენტში ასევე ნათქვამია, რომ პარლამენტი გენოციდის ყველა ორგანიზატორისა და მასში მონაწილეების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას, მორალური და მატერიალური ზარალის ანაზღაურებასა და დევნილთა უფლებების აღსადგენად აუცილებელი პირობების შექმნასაც მოითხოვს.

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პარლამენტის განცხადების თანახმად, "1989-1992 წლებში სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ საქართველოს იმპერიული აგრესიის შედეგად 1 ათასი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, რაც სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის 1%-ს აღემატება"; 3,5 ათასი მშვიდობიანი მოქალაქე დაიჭრა - 3,5%-ზე მეტი.

*პრაიმ-ნიუსი*

## "ქალი ორი ქვეყნისთვის"

საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, ამჟამად პოლიტიკური პარტია "საქართველო გზის" თავმჯდომარე სალომე ზურაბიშვილი ერთ-ერთი აფხაზური სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუში საქართველოში არსებულ მდგომარეობას მიმოიხილავს და ამბობს, რომ პირველ ეტაპზე იგი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მიღებას გეგმავს.

"ის, რომ ამ ეტაპზე პერსონალურად არ შემიძლია მონაწილეობა მივიღო საპარლამენტო ან საპრეზიდენტო არჩევნებში, ჩემს პარტიას კანდიდატურების წამოყენებაში და არჩევნების მოგებაში სულაც არ უშლის ხელს.

ამას გარდა, საქართველოს კონსტიტუცია ერთხელ უკვე შეიცვალა და მე საქართველოს მოქალაქეობა და საგარეო უწყების მინისტრის თანამდებობა მივიღე. ასე რომ, როდესაც რამის საჭიროება არსებობს, შეუძლებელი არაფერია.

ამასთან ერთად, კანონმდებლობის თვალსაზრისით, არაფერი მიშლის ხელს იმაში, რომ პრემიერ-მინისტრი გავხდე", - ამბობს ზურაბიშვილი.

ჟურნალისტის მიერ დასმულ კითხვას, საქართველოში არსებული მდგომარეობის გამო რატომ არ "ალაგებს ბარგს ზურაბიშვილი და პარიზში რატომ არ ბრუნდება", - პოლიტიკური პარტია "საქართველოს გზის" თავმჯდომარე უპასუხებს:

"აქ უნდა ვიყო, რათა იმ ამოცანათა შესრულება განვაგრძო, რისთვისაც თავის დროზე საგარეო საქმეთა მინისტრად დავინიშნე: ხელი უნდა შევუწყო საქართველოს დემოკრატიულ და ევროპულ სახელმწიფოდ, ისეთ სახელმწიფოდ ქცევას, როგორზედაც საფრანგეთში გადახვეწილი ჩემი ოჯახი ოცნებობდა.

მომდევნო თვეში საქართველოსა და საფრანგეთში გამოვა ჩემი წიგნი "ქალი ორი ქვეყნისთვის", სადაც პასუხი იქნება გაცემული კითხვაზე, თუ რატომ არ ალაგებს ბარგს სალომე ზურაბიშვილი საფრანგეთში დასაბრუნებლად და რატომ რჩება საქართველოში".

*ჯი ეიჩ ენი*

## თავისუფალი სიტყვა

**ახალი მედია პროექტი რადიო უცნობის ეთერსი გადის ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემა მიყავს ჟურნალისტ ნინია კაკაბაძეს**

**ნინია კაკაბაძე:** დღეს, ჩვენ ვისაუბრებთ კონფლიქტურ ზონებზე. ასევე, როგორია სახალხო დიპლომატია, პოლიტიკური სტრატეგია და რამდენად გამართლებულია ის ფაქტი, რომ ჩვენ გვსურს ამ კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარება. ჩვენი გადაცემის სტუმრები იქნებიან; ფსიქოლოგი ჯანა ჯავახიშვილი და რესპუბლიკური პარტიის წევრი, პოლიტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი. მე, როგორც რიგით მოქალაქეს, გულწრფელად მაინტერესებს, რა კეთდება იმისთვის, რომ ეს კონფლიქტები მოგვარებული იყოს მშვიდობიანი და მხოლოდ მშვიდობიანი გზით?

**პაატა ზაქარეიშვილი:** ჩვენი ხელისუფლების მხრიდან დეკლარაციებისა და განცხადებების გარდა არაფერი არ კეთდება. ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში, არც ვთავაზობთ. ქართულ-ოსურ კონფლიქტში კი, მართლაც მოხდა შარშადელიდან მოყოლებული პრეზიდენტის ინიციატივების შემუშავება. ოსურმა მხრემ მაშინვე გვიპასუხა. კოკოითმა, ფაქტობრივად, ქართული წინადადებები გადაამღერა. ამას პრემიერ მინისტრი მიესალმა და თქვა, რომ ჩვენ ვიპოვით საერთო ენას ცხინვალის ხელისუფლებასთან და მორჩა. როდესაც, ჩვენ სამშვიდობო წინადადებებზე ოსური მხარისგან მივიღეთ სამშვიდობო პასუხები, ჩვენი მხარე ჩუმდება, არ პასუხობს, ცვლის მიმართულებას და იწყებს მუშაობას სამშვიდობო ჯარების გაყვანაზე. ამით კი ქართულ-ოსური ურთიერთობები ჩიხში მოექცა.

**ნ.კ.** როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?

**პ.ზ.** მიზეზი შეიძლება ბევრი იყოს, მაგრამ ჩემი აზრით, ქართულ მხარეს არ სურს აღიაროს მხარედ ოსური და აფხაზური მხარეები. ჩვენ უნდა ჩამოვყალიბდეთ და გავარკვიოთ, რუსეთის ფაქტორი პირველადი თუ მეორადი ფაქტორია... ჩემი აზრით კი, მეორე ფაქტორია . რუსეთი ძალიან ვერაგულად და უტიფრად იყენებს, ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ გაუცხოებას, რომელიც ჩვენიდან მოდის. რატომღაც რუსეთის ეს აქტიურობა მიგვაჩნია პირველ ფაქტორად. სამშვიდობოების გამო რომ დაიძაბა ვითარება ცხინვალში, ამიტომ რუსებმა დაგვარტყეს გაეროდან უშიშროების საბჭოს რეზოლუციით და ფაქტიურად გაწონასწორდა მდგომარეობა.

**ნ.კ.** ე.ი. საზოგადოებაში გავრცელებული მოსაზრება, რომ თუ სამშვიდობოებს ჩამოვიცილებთ ყველაფერი დარეგულირდება, მთლად გამართლებული არ არის?

**პ.ზ.** დავეთანხმებოდი ამ მოსაზრებას, რომ მასში აშკარად არის გარკვეული საფუძველი, თუმცა რუსეთი ჩვენს გაუწონასწორებელ განცხადებებს იყენებს თავის სასარგებლოდ. რა თქმა უნდა, რუსები რომ გავიდნენ - ჯობია, მაგრამ ჩვენ ამის ფონს არ ვუქმნით. ჩვენ ამოცანად უნდა დავიტოვოთ სამშვიდობოების გაყვანა, მაგრამ ძირითადი ამოცანად უნდა იყოს არა ეს, არამედ სხვა, ანუ ვიპოვოთ საერთო ენა ოსებთან.

**ნ.კ.** ჩვენი გადაცემის ანონსში, თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის განცხადების ციტატა გამოვიყენეთ, სადაც მინისტრი აცხადებს, "მომავალ წელს მე პირობას გაძლევთ, რომ ახალწელს შევხვდებით აფხაზეთში"... ქალბატონო ჯანა, როგორ ფიქრობთ, ეს განხცადება როგორ იმოქმედებს საზოგადოებაზე და აფხაზეთში მცხოვრებ მოქალაქეებზე?

**ჯანა ჯავახიშვილი:** უპირველეს ყოვლისა, ასეთი განცხადება იწვევს დაბნეულობას. მსგავსი განცხადებები იწვევს ფანტაზიის დიდ გასაქანს, რომელიც რა მიმართულების იქნება გაურკვეველია. რა თქმა უნდა , აღნიშნული განცხადება, აფხაზურ საზოგაოებაში შიშსა და საქართველოს საფრთხედ წარმოქმნაში შეუწყობს ხელს. ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე გახლდით, სადაც აფხაზმა ქალბატონმა განაცხადა, რომ ოქრუაშვილის ასეთი განცხადებები, მათ უფრო აერთიანებთ საქართველოს წიინააღმდეგ. ანუ, არ არსებობს, რომ ამან მშვიდობის შენების თვალსაზრისით რაიმე დადებითი გამოხმაურება მოიპოვოს.

# ვირტუალური პოლემიკა ოპოზიციასთან

გიორგი ასანიშვილი



*უმრავლესობას ოპოზიცია ენატრება.*

გუშინ პარლამენტმა ისე განიხილა და სხვადასხვა მოსმენით ისე მიიღო რამდენიმე ათეული კანონპროექტი, რომ დეპუტატებს მომხსენებლებისთვის შეკითხვები თითქმის არ დაუსვამთ და, პრაქტიკულად, არანაირი შენიშვნა არ გამოუთქვამთ. არადა, პლენარული სხდომის დღის წესრიგი გადატვირთული იყო ისეთი აქტუალური საკითხებით, როგორიც არის, მაგალითად, საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანა, რომელიც ადგილობრივი და იმპორტული თამბაქოს ნაწარმზე აქციზის განაკვეთის შემცირებას ითვალისწინებს; ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ ევროპული კონვენციის რატიფიცირება, რაც ევროსაბჭოს წინაშე აღებული ერთ-ერთი ვალდებულებაა და რომლის პარლამენტში დაგვიანებით წარმოდგენა თანამდებობიდან სალომე ზურაბიშვილის გადაყენების ფორმალური საბაბი გახდა; ე.წ "თურქული კრედიტის" რესტრუქტურიზაცია და სხვა.

ამ უკანასკნელი საკითხის კენჭისყრის დროს ნათლად გამოჩნდა, რაოდენ დიდი შვებაა უმრავლესობისთვის სხდომათა დარბაზში ოპოზიციის არყოფნა. "თურქეთის ექსპორტკრედიტბანკსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის ვალის რესტრუქტურიზაციის შესახებ" დადგენილების მიღებას 118 ხმა სჭირდებოდა, მაგრამ კენჭისყრის შემდეგ ტაბლოზე მხოლოდ 117 მხარდამჭერი დაფიქსირდა. სხდომის წამყვანმა გამოსავალი უცებ იპოვა: მიხეილ მაჭავარიანის განმარტებით, ორი დეპუტატის პულტმა არ იმუშავა და შესაბამისად, ე.წ "თურქული კრედიტის" რესტრუქტურიზაცია რატიფიცირებულად გამოცხადდა.

გუშინ ოპოზიცია სხდომათა დარბაზში რომ ყოფილიყო, ასეთი გადაწყვეტილების მიღებას ხელს, ალბათ, მაინც ვერ შეუშლიდა, მაგრამ იმას ნამდვილად "მოახერხებდა", რომ სახელისუფლებო ფრაქციის წევრებისთვის ნერვები მოეშალა. ყოველ შემთხვევაში, ვიცე-სპიკერი იძულებული გახდებოდა, რომ დადგენილების პროექტი განმეორებით დაეყენებინა კენჭისყრაზე.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ პოლიტიკური ერთფეროვნება უმრავლესობის წარმომადგენლებსაც მოსწყინდათ და დისპუტი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა მოენატრათ. ამიტომაც არის, რომ მაშინ, როდესაც სიტყვის შემბრუნებელი და გამკრიტიკებელი გვერდით არ ჰყავს, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ოპონენტებს დაუსწრებლად მაინც ეკამათება - მიხეილ მაჭავარიანი გუშინ დიდხანს აკრიტიკებდა იმ შესაძლო არგუმენტებს, რომელსაც ოპოზიცია აუცილებლად წამოაყენებდა, "საქართველოსა და თურქეთის მთავრობებს შორის ბათუმის აეროპორტის ერთობლივი გამოყენების შესახებ" შეთანხმების განხილვას რომ დასწრებოდა.

ასეთმა "ტელეპათიურმა" პოლემიკამ მრავლისმნახველი ბესო ჯუღელიც კი გააოცა. **"რატომ ჩხუბობ, მიშა, ნეტა, ვინ გეკამათება, ვერ ხადავ, ყველაფერში გეთანხმებით?"** - ყოველი შემთხვევისთვის, დარბაზი მაინც შეათვალიერა ფრაქცია "მაჟორიტარის" თავმჯდომარემ, მაგრამ "მტრის კვალი" ვერსად აღმოაჩინა. მიხეილ მაჭავარიანმა გაოგნებულ პარლამენტარს უმალ განუმარტა, რომ მან საკუთარი მოსაზრებები არა მარტო კოლეგების, არამედ ტელემაყურებლების გასაგონადაც გამოთქვა.

კანონპროექტების მსგავსად, ერთპარტიულ პარლამენტში საკადრო გადაწყვეტილებებიც უპრობლემოდ მიიღება: გუშინ დეპუტატებმა ნატო-ს მუდმივმოქმედ საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელად ერთხმად დაამტკიცეს ნიკა რურუა. მისი ამ პოსტზე არჩევა იმ ფაქტმა განაპირობა, რომ აღნიშნული დელეგაციის ყოფილ ხელმძღვანელს, პრეზიდენტის ადმინისტრაციის მეთაურს გიორგი არველაძეს სადეპუტატო უფლებამოსილება შეწყვეტილი აქვს. პარლამენტის გადაწყვეტილებითვე, მუდმივმოქმედ დელეგაციაში შეყვანილი იქნა ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" წევრი ირაკლი ქავთარაძე.

გუშინდელი პლენარული სხდომა საკმაოდ კურიოზულად დასრულდა: მიხეილ მაჭავარიანი მთელი დღის განმავლობაში ამაოდ უხმობდა დარბაზში გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს თამაზ ხიდეშელსა და მის მოადგილეებს, როგორც ერთ-ერთი კანონპროექტის თანამომხსენებლებს. ვინაიდან მათი ასავალ-დასავალი ვერავინ დაადგინა, დოკუმენტის განხილვა მომავალი სასესიო კვირისთვის გადაიდო.

# ადიდებულმა კაბალმა ორი სოფელი დატბორა

*კახეთში ლაგოდეხის რაიონი კვლავ სტიქიური უბედურების ეპიცენტრი ხდება, რადგან წლების მანძილზე მდინარე კაბალის კალაპოტის გაწმენდას საშველი ვერ დაადგა, რის გამოც ადგილობრივი მოსახლეობა ყოველი წლის გაზაფხულზე სტიქიის გამკლავებას შიშველი ხელებით ამაოდ ცდილობს.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

ბოლო ათი დღის განმავლობაში გახშირებულმა წვიმებმა კახეთში მდინარეების ადიდება გამოიწვია და რამდენიმე სოფელი მნიშვნელოვნად დააზარალა. განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობა ლაგოდეხის რაიონშია, სადაც რამდენიმე დღის წინ ადიდებულმა მდინარე კაბალმა სოფლები ჰერეთისკარი და კაბალი დატბორა.

**"შუაღამისას ისეთი ხმაურით მოვარდა მდინარე, რომ შიშისაგან ბავშვები სხვენზე ავიყვანე. ღვარცოფი მთელი ღამის განმავლობაში მოდიოდა. სოფელში აღარც ბაღჩა დაგვხვდა და აღარც ფრთოსანი, ყველაფერი წყალმა წაიღო. ისედაც გაჭირვებული ხალხი ვართ. ახლა სტიქიური უბედურება გვინდოდა? მდინარე კაბალის კალაპოტი ათ წელიწადზე მეტია არ გაწმენდილა, რის გამოც ადგილობრივი მოსახლეობისთვის ის მუდმივად საშიშროებას წარმოადგენს და ბოლო სამი წლის განმავლობაში ამ მიზეზით გაზაფხულის მოსვლის გვეშინია,"** - ამბობს სოფელ ჰერეთისკარში მცხოვრები მედიკო სურმანიძე, რომლის მსგავსად წყალდიდობამ ამავე სოფლის მცხოვრებთა უმეტესობა მნიშვნელოვნად დააზარალა.

სოფელ კაბალში კი ადიდებულმა მდინარემ ათეულობით საცხოვრებელი სახლი დატბორა და მსხვილფეხა პირუტყვი გაიტაცა. როგორც ლაგოდეხის რაიონის გამგებელი თამაზ გოძიაშვილი აცხადებს, წელს ბოლო გაზაფხულია, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობა სტიქიას უნდა გაუმკლავდეს, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტიდან უკვე გამოიყო 450 ათასი ლარი მდინარე კაბალის კალაპოტის გასაწმენდად.

**"როგორც კი სტიქიის შესახებ შევიტყვეთ ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობის ფარგლებში, მოსახლეობას შესაბამისი დახმარება გავუწიეთ. მთელი ორი დღის განმავლობაში შეუჩერებლად მუშაობდა რამდენიმე ტრაქტორი, რომლის საშუალებითაც წყლისგან დატბორილი და პარალიზებული ლაგოდეხი-წნორის ცენტრალური ავტომაგისტრალის გაწმენდა ხდებოდა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან უკვე გამოყოფილია 450 ათასი ლარი, რომლის საშუალებითაც მდინარე კაბალის კალაპოტი გაიწმინდება. წელს ბოლო გაზაფხულია, როდესაც მოსახლეობას სტიქიის გამკლავება მოუწევს,"** - აცხადებს თამაზ გოძიაშვილი.

# ომი და დიპლომატია

**აშშ-ს სახელმწიფო და თავდაცვის მდივნების "დამთხვეული" ვიზიტები ერაყში**

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი გუშინ მოულოდნელი ვიზიტით ერაყში ჩავიდა. ერაყში ასევე იმყოფება აშშ-ის თავდაცვის მინისტრი დონალდ რამსფელდი, რომლის თვითმფრინავი ბაღდადში რამდენიმე საათით ადრე დაეშვა. ისევე როგორც ამერიკის დიპლომატიის მეთაურის, პენტაგონის ხელმძღვანელის ვიზიტიც წინასწარ გამოცხადებული არ ყოფილა.

ერაყში საომარი კამპანიის დაწყებიდან აშშ-ს თავდაცვის მდივნის ეს უკვე მეთორმეტე ვიზიტია ბაღდადში. რაისი და რამსფელდი ქვეყნის ახლახან დანიშნულ პრემიერ-მინისტრ ჯავად ალ-მალიქს და ერაყის სხვა წამყვან პოლიტიკოსებს შეხვდნენ და აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის მხრიდან ერაყის ახალ მთავრობას მხარდაჭერა გამოუცხადეს.

სახელმწიფო მდივნის ჩასვლამდე რამსფელდი ერაყში დისლოცირებული ამერიკის კონტინგენტის მთავარსარდალს, გენერალ ჯორჯ კეისის შეხვდა. როგორც თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, ერაყში კოალიციის ძალების შემცირების მასშტაბები პირდაპირაა დამოკიდებული იმაზე, როგორ იმოქმედებს ახალი კაბინეტი.



*ერაყი ომსა და დიპლომატიას შორის.*

ერაყის ახლად დანიშნულმა პრემიერმა ალ-მალიქმა ერაყულ შეიარაღებულ დაჯგუფებებს უკვე მოუწოდა იარაღის დაყრისკენ და აღნიშნა, რომ მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი სამოქალაქო ომის თავიდან აცილება.

*24 საათი*

## მოკლედ

### ცესკო-ს წევრობის კანდიდატებს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შეარჩევენ

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრის ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატებს პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომლები შეარჩევენ. პრეზიდენტის განკარგულებით შეიქმნა ხუთკაციანი სპეციალური კომისია, რომელიც კანდიდატებს შეარჩევს. კომისიის ხუთი წევრიდან 3 სწორედ კანცელარიის თანამშრომელია - გიორგი არველაძე პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ლელი ლაბაური პრეზიდენტის ადმინისტრაციის კადრების სამსახურის უფროსი და ოთარ ძიძიკაშვილი - პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის სამდივნოს უფროსი.

დანარჩენი ორი წევრი კი არასამთავრობო სექტორიდანაა. ზურაბ გუნცაძე ალპეს ხემძღვანელი და გია ნოდია მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის თავმჯდომარე. აღნიშნულმა კომისიამ უნდა შეარჩიოს რამდენიმე კანდიდატურა, რომელთაც პრეზიდენტს წარუდგენს. იგი თავის მხრივ საკანონმდებლო ორგანოში დასამტკიცებლად ორ კანდიდატს წარადგენს. ამ შერჩეული ორი კანდიდატიდან კი ერთ-ერთი ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი გახდება.

კომისიის წევრის ერთი ადგილი ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც ცესკო-ს თავმჯდომარე გია ქავთარაძე აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადავიდა და მისი ადგილი კი გურამ ჩალაგაშვილმა დაიკავა. **ჯი ეიჩ ენი**

### ცესკო მარკირებისთვის შესაბამის სითხეს ეძებს

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გურამ ჩალაგაშვილი უარყოფს მედიით გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ცესკო მომავალი არჩევნებისთვის მარკირების გაუქმებას აპირებს. ჩალაგაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ 8 აპრილს არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალი თაობა - ახალი ინიციატივის" მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად ცხადად გამოჩნდა, რომ რამდენიმე თეთრად ღირებული სითხის მეშვეობით ადვილად შესაძლებელია მარკირების სითხის ხელიდან მოცილება.

"ჩვენ ხელთ არსებული მარკირების სითხით მარკირების პროცედურის ჩატარება მიზანშეუწონელია, რადგან მისი მოცილება არის საკმაოდ ადვილი. მარკირების პროცედურის გაუქმება კი პარლამენტის პრეროგატივაა", -აღნიშნა ჩალაგაშვილმა.

მისივე თქმით, რადგან მოქმედი კანონმდებლობა მოითხოვს არჩევნების დროს ამომრჩევლის მარკირებას, ცესკო აგრძელებს მოლაპარაკებებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ეძებს ისეთ სითხეს, რომლის მოშორებაც ერთი-ორი დღე შეუძლებელი იქნება. "ასეთი სითხის მოძიების შემდეგ ცესკო-ს აღარ ექნება უფლება მარკირების სითხის გამოყენება მიზანშეუწონლად მიიჩნიოს," - განაცხადა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ. **მედიანიუსი**

### დეპორტირებულთა რეპატრიაციაში მონაწილეობას თურქეთიც მიიღებს

სამხრეთ საქართველოდან თურქეთში დეპორტირებული მაჰმადიანი მესხების შთამომავლების ისტორიულ სამშობლოში რეპატრიაციის პროცესში მონაწილეობას თურქეთის ხელისუფლებაც მიიღებს. ამის შესახებ საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ გუშინ, მაჰმადიანი მესხების რეპატრიაციის საკითხებთან დაკავშირებით 17-20 აპრილს თურქეთში განხორციელებული ვიზიტისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ხაინდრავას შეფასებით, თურქეთის რესპუბლიკა, როგორც რეგიონული ლიდერი დაინტერესებულია, რომ ქართულმა მხარემ უმტკივნეულოდ შეძლოს სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებულ მაჰმადიან მესხთა სამშობლოში დაბრუნება.

"საქართველოში მაჰმადიანი მესხების დაბრუნებას მივესალმებით, რადგან მესხები ერთ-ერთი უძველესი ქართული ტომია, ხოლო მესხეთი ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანია", - განაცხადა გიორგი ხაინდრავამ.

მისივე თქმით, თურქეთში დეპორტირებულ მესხებთან, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ აბდულა გიულთან, სახელმწიფო მინისტრ მეჰმეთ აიდთან გამართულმა შეხვედრებმა მაჰმადიან მესხთა რეპატრიაციის სახელმწიფო კომისიის წევრები დაარწმუნა, რომ თურქეთის ხელისუფლება მზადაა ქართულ მხარეს ხელი შეუწყოს დეპორტირებულთა რეპატრიაციაში. თურქული მხარე არ გამორიცხავს ამ მიზნით, ქვეყნის განვითარების ფონდიდან ფინანსები გამოიყოს.

ხაინდრავას შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთში ყოფნისას საქართველოს დელეგაციის წევრები დეპორტირებულ მესხთა არა ერთ ჯგუფს შეხვდნენ, ძნელია საუბარი იმაზე, რამდენი მათგანი მოისურვებს ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებას. ამჟამად თურქეთში 35 ათასი მაჰმადიანი მესხი ცხოვრობს. "მათ 62 წლის განმავლობაში ეუბნებოდნენ, რომ საქართველოში დაბრუნების უფლება არ ჰქონდათ. ამიტომ მათი უმთავრესი მოთხოვნა ამ აკრძალვის მოხსნაა. ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, რამდენი ადამიანი დაბრუნდება საქართველოში. თუმცა, ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ საქართველოში რეპატრიაციის პროცესი დაიწყო, რომ სტრასბურგში საბოლოო ექსპერტიზას გადის კანონი რეპატრიაციის შესახებ", - განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა.

ქვეყნის ხელისუფლება არ განიხილავს მაჰმადიანი მესხების უშუალოდ მესხეთში დაბრუნების შესაძლებლობას. "გეზი იმისკენ გვაქვს აღებული, რომ საქართველოდან წასული ყველა ადამიანი, რომელიც მას თავის სამშობლოდ მიიჩნევს, უნდა დაბრუნდეს საქართველოში", - აღნიშნა ხაინდრავამ. **24 საათი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# ხორუმი ქართული ცეკვაა

## მთავრობის გუნდური დიალოგი მასმედიასთან

ანა შარვაშიძე

*საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება გუშინ მასმედიის წინაშე ახალი, "ექსპერიმენტული" ინიციატივით წარდგა. შეხვედრის ფორმის უჩვეულობის მიუხედავად (ზურაბ ნოღაიდელს, გოკა გაბაშვილს, გიორგი ქავთარაძეს, ნიკა გილაურს, ირაკლი ჩოგოვაძეს, ზინაიდა ბესტაევას, გელა ბეჟუაშვილს, კახა ლომაიას, ვანო მერაბიშვილს, კახა ბენდუქიძეს, ლექსო ალექსიშვილს, გოგა ხაინდრავას, მიხეილ სვიმონიშვილსა და გიორგი პაპუაშვილს ერთად უწევდათ ჟურნალისტთა კითხვებზე პასუხის გაცემა), ქართული მედიისთვის განკუთვნილმა პირველმა "გრანდიოზულმა წარმოდგენამ" სახელად - "2006 - აღმშენებლობის წელი საქართველოში" - სრული ანშლაგით ჩაიარა.*



*2006 წელი აღმშენებლობის წელი იქნება, - ირწმუნება საქართველოს მთავრობა*

გუშინ კანცელარიის მარმარილოს დარბაზში ტევა აღარ იყო. შეკრება ერთი საათით ადრე დაიწყო. განსაკუთრებული ინტერესი "წარმოდგენის" მონაწილეების უპრეცედენტო რაოდენობამ და "რეჟისორის" ამ ექსპერიმენტულმა ინიციატივამ გამოიწვია. თავად წარმოდგენის მთავარი რეჟისორი გუშინ კულისებს მიღმა დარჩა.

ზურაბ ნოღაიდელმა შეხვედრა გასული წლების "ბლოკბასტერების" - "2003 - რევოლუციის წელი", "2004 - ვარდნის შეჩერების წელი", "2005 - პრობლემების მოგვარების წელი" - გახსენებით დაიწყო.

**"2003 წელი რევოლუციის წელი იყო, 2004 წელს ჩვენ შევაჩერეთ ვარდნა, 2005 წელს წინსვლა გვქონდა და გარკვეული პრობლემები მოვაგვარეთ, 2006 წელი კი აღმშენებლობის წელი იქნება,"** - მიმართავდა ნოღაიდელი ჟურნალისტებს.

პრესკონფერენციაზე, რომელიც 62 წუთი გაგრძელდა, მთავარ თემებად შემდეგი საკითხები დაისვა: ენერგეტიკის სექტორში ტარიფების ზრდა, საქართველო-რუსეთს შორის დაძაბული ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები და განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმები. კითხვების გარეშე ჩაიარა შეხვედრამ გიორგი პაპუაშვილისთვის, გია ხევიაშვილისთვის, ზინაიდა ბესტაევასთვის, გოკა გაბაშვილისთვის და ლექსო ალექსიშვილისთვის. გუშინ სანდრო გირგვლიანის საკითხზე არც ერთი კითხვა არ დასმულა. ჟურნალისტებმა ეს ფაქტი დროის სიმცირით ახსნეს.

### გელა ბეჟუაშვილი: რუსეთი საქართველოს ანექსიას ნაბიჯ-ნაბიჯ ახორციელებს

"რუსეთი საქართველოს ანექსიას ნაბიჯ-ნაბიჯ ახორციელებს," - განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე. მისი თქმით, მეზობელი ქვეყანა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოგვარებით დაინტერესებული არ არის. თუმცა, ისიც აღნიშნა, რომ რუსეთის აგრესიული პოლიტიკის შესახებ ინფორმაციას საქართველოს მთავრობა პარტნიორ ქვეყნებს სისტემატურად აწვდის.

**"ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების სამშვიდობო გეგმა, მართალია, ნელა, მაგრამ მაინც სრულდება. მას წინ ბევრი რამ ეღობება. ახლა სერიოზულად ვემზადებით დონორთა საერთაშორისო კონფერენციისთვის, რომელიც ბრიუსელში მაისში გაიმართება. ჩევნ მათ ცხინვალის რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაციისთვის კონკრეტულ პროექტებს დავუდებთ,"** - განაცხადა მინისტრმა.

### ვანო მერაბიშვილი: ქვეყნის ხელისუფლება ჯავახეთში ვითარებას სრულად აკონტროლებს

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი ჟურნალისტებს არწმუნებდა, რომ ქვეყნის ხელისუფლება ჯავახეთში ვითარებას სრულად აკონტროლებს და ახალქალაქიდან რუსეთის ბაზების გაყვანას რეგიონის სომხური მოსახლეობის მხრიდან სერიოზული საპროტესტო გამოსვლები არ მოჰყვება.

**"ჯავახეთში სრულად ვაკონტროლებთ სიტუაციას. იქ რომ რუსული ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით სერიოზული მასობრივი გამოსვლები არ იქნება, ამის გარანტიას მე ვიძლევი,"** - განაცხადა ვანო მერაბიშვილმა ახალქალაქში არსებული რუსული სამხედრო ბაზის წინ გამართული 20-კაციანი საპროტესტო აქციის კომენტირებისას.

გუშინ ახალქალაქის ორგანიზაცია "ჯავახკმაც" გაიჟღერა, რომელიც, მერაბიშვილის თქმით, კარგა ხანია, აღარ არსებობს.

### ალექსანდრე ლომაია: აფხაზეთში ქართულ ენაზე სწავლება არ შეწყვეტილა

ქართველ მინისტრთა გაფართოებულ პრესკონფერენციაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ მოახლოებულ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ისაუბრა. **"მსოფლიოს არც ერთ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის დაწყებისთანავე არ ირჩევენ სპეციალობას. ფაკულტეტზე ორ-სამწლიანი სწავლების შემდეგ, სტუდენტი არჩევანს პროფესორის კონსულტაციით აკეთებს,"** - განაცხადა ალექსანდრე ლომაიამ. მისივე განცხადებით, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ საქართველოს განათლების სისტემაში ევროპული განათლების ყველა პოზიტიური მახასიათებელი დამკვიდრდეს.

აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ ქართულ სკოლებში სწავლის პროცესის ქართულ ენაზე სავარაუდო შეწყვეტის თაობაზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა განაცხადა, რომ ეს ინფორმაცია აფხაზეთის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ უარყო. **"აფხაზეთის სეპარატისტულმა მთავრობამ უკვე დაგვიდასტურა, რომ მსგავს მცდელობას ადგილი არ ჰქონია. ჩვენი სამინისტრო და ხელისუფლება კი ყველა ზომას მიმართავს იმისთვის, რომ მსგავსი თემა მომავალში აღარ წამოიჭრას,"** - განაცხადა ალექსანდრე ლომაიამ მთავრობის გაფართოებულ პრესკონფერენციაზე.

### კახა ბენდუქიძე: ელექტროენერგიაზე ტარიფების შენარჩუნების პოლიტიკა არასწორია

საქართველოში ელექტროენერგიაზე არსებული ტარიფების შენარჩუნების პოლიტიკამ ის შედეგი გამოიღო, რომ ქვეყანაში ახალი ელექტროსადგურები არ აშენებულა, - განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა ეკონომიკური რეფორმების საკითხებში კახა ბენდუქიძემ.

### ვანო მერაბიშვილი: საქართველოში პატიმართა რიცხვი 11 200-მდე გაიზარდა

ვანო მერაბიშვილის თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტრო კანონიერ ქურდებთან ბრძოლას გააგრძელებს და, რაც მთავარია, კანონიერი ქურდების უძლეველობის შესახებ მითი დაიმსხვრა.

მინისტრის ინფორმაციით, 2003 წლის დეკემბრიდან დღემდე, საქართველოში პატიმართა რიცხვი 5 900-დან 11 200-მდე გაიზარდა. ამ ფაქტს შს მინისტრი დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებას და საკანონმდებლო ბაზის დახვეწას უკავშირებს. პირველ რიგში, მინისტრის თქმით, საუბარია ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ახალ კანონზე, რომლის საფუძველზეც ქურდულ სამყაროსთან ბრძოლა უფრო ეფექტური და მიზანმიმართული გახდა.

### გიორგი ქავთარაძე: ციხეებში ვითარების გართულება ინტერესთა კონფლიქტის შედეგია

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებებში ვითარების გართულება ინტერესთა კონფლიქტის შედეგია, - განაცხადა იუსტიციის მინისტრმა გიორგი ქავთარაძემ. მისი თქმით, ერთი მხრივ, მიმდინარეობს ბრძოლა ციხეებში ძველებური, 100 წლის განმავლობაში დანერგილი მეთოდებით მართვის პრინციპების შესანარჩუნებლად, ანუ "ციხე ქურდებმა უნდა მართონ". მეორე მხრივ, ძლიერი სახელმწიფო კონტროლის სადავეების მოპოვებას და ამ სტრუქტურაში ვითარების გაკონტროლებას ცდილობს.

### ზურაბ ნოღაიდელი: თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ფასი

ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა საქართველოს ბუნებრივ აირზე ტარიფი გაუძვირა და ქართულ პროდუქციას ბაზარი გადაუკეტა, ქვეყანა ეკონომიკურად მაინც განვითარდება. მისი ინფორმაციით, ამ პრობლემამ, შეიძლება, მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის 1 პროცენტით ვარდნა გამოიწვიოს.

პრემიერის თქმით, მთავრობის ამოცანაა, რაც შეიძლება ნაკლები იყოს ელექტროენერგიის ტარიფის ზრდა, თუმცა ტარიფების ზრდა სხვა პროდუქტების ფასების ზრდას არ გამოიწვევს. ნოღაიდელის განცხადებით, სოციალურად დაუცველი ფენები სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდიას მიიღებენ და ტარიფის გაზრდა მათ არ შეეხებათ. მისი თქმით, 400 000 ოჯახზე, და შეიძლება უფრო მეტზეც, სუბსიდია განხორციელდება.

**"ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები - თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ფასია,"** - განაცხადა ზურაბ ნოღაიდელმა.

# ყოფილი დიპლომატები ირანზე თავდასხმის წინააღმდეგ

შეერთებული შტატების და ევროპის ქვეყნების ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრების ერთმა ჯგუფმა შეშფოთება გამოხატა იმ ცნობის გამო, რომ შეერთებული შტატები, შესაძლოა, აქტიურად გეგმავდეს ირანის ატომური სტრუქტურების წინააღმდეგ სამხედრო შეტევის განხორციელებას. გაზეთ "International Herald Tribune" - ში გამოქვეყნებულ ღია წერილში, ყოფილი მინისტრები პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციას ატომური პროგრამის თაობაზე ირანთან პირდაპირი მოლაპარაკების გამართვისკენ მოუწოდებენ. სხვებთან ერთად, წერილს ხელს აწერენ მადლენ ოლბრაიტი შეერთებული შტატებიდან, იოშკა ფიშერი გერმანიიდან და ჰუბერტ ვედრინი საფრანგეთიდან. შეერთებული შტატების განცხადებით, მას სურს, რომ ირანთან ატომური პროგრამის თაობაზე შექმნილი უთანხმოება დიპლომატიის მეშვეობით გადაიჭრას - თუმცა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა სამხედრო ოპერაციაც არ გამორიცხა.

# დემოკრატიით გამოცდა

პირველი გვერდიდან

თუ ეს იმედები გამართლდა, უკრაინა ნატო-ს იერარქიაში იგივე საფეხურზე აღმოჩნდება, რომელზეც იმყოფებიან ხორვატია, ალბანეთი და მაკედონია. ეს ქვეყნები MAP-ის წევრები არიან და ალიანსში ფორმალური მიწვევას ელიან, რომელიც, ოთხივე ქვეყნისათვის შესაძლებელია, უკვე ნოემბერში რიგაში გახმოვანდეს.

დასავლურ მედიას ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ აშშ-ს წინადადებას სოფიის ხვალინდელ სამიტზე აუცილებლად მხარს დაუჭერენ. არგუმენტად ისიც გამოდგება, რომ ვაშინგტონი, ლონდონი და ალიანსის სხვა წამყვანი მონაწილეები უკრაინის განვითარებაში დემოკრატიული ტენდენციების განმტკიცებით არიან დაინტერესებულნი.

The Financial Times აღნიშნავს, რომ ნატო-ს სამოქმედო გეგმაში უკრაინის მოულოდნელი და ფორსირებული ჩართვა "ნარინჯისფერი რევოლუციისათვის" და წლევანდელი სამართლიანი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებისათვის ჯილდო გახდება. თუმცა, იგივე გაზეთის აზრით, ეს ერთგვარი ავანსიც იქნება: **"სინამდვილეში, იუშჩენკოს პროდასავლურ მთავრობაში კიევის ალიანსში უპირობოდ მიღებისათვის საჭირო ერთიანობა არ შეინიშნება."**

უკვე ცნობილია, რომ რუსეთის რეაქცია უკრაინის ნატოსთან დაახლოებაზე მძაფრი იქნება. **"რუსეთი აღიარებს უკრაინის ნატო-ში გაწევრიანების უფლებას. მაგრამ ეს ნაბიჯი არ გააძლიერებს რუსეთის უსაფრთხოებას, და არ გააუმჯობესებს რუსეთ-უკრაინის ურთიერთობას,"** - ასეთ გაფრხილებას იძლევა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ალექსანდრ გრუშკოს პირით რუსული ოფიციოზი.

**"ჩვენს ქვეყანაში უკრაინის ნატო-ში გაწევრიანების დღემდე არავის სჯეროდა. ამიტომ, ვფიქრობ, რეაქცია შოკისმაგვარი იქნება,"** - აცხადებს მოსკოვის კარნეგის ცენტრის ექსპერტი ანდრეი რიაბოვი. მისი აზრით, მისკოვში დღემდე სჯეროდათ, რომ რუსეთთან სამხედრო თანამშრომლობით დაინტერესების გამო (ტერორიზმთან ბრძოლა, ირანი და ა. შ.) დასავლეთი უკრაინის ნატო-ში მიღების დაჩქარებისაგან თავს შეიკავებდა.

რიაბოვი დარწმუნებულია, რომ ორი-სამი წელი უკრაინის ნატო-ში ინტეგრაციისთვის საკმარისი არ იქნება, რადგან უკრაინის მრავალრიცხოვანი შეიარაღებული ძალების გადაიარაღება ნატო-ს სტანდარტებზე ასეთ მოკლე ვადებში, უბრალოდ, შეუძლებელია. თუმცა, მისი ვარაუდით, ნატო სპეციალურად უკრაინისათვის მიღების კრიტერიუმებს შეარბილებს და მას გარკვეულ "ექსკლუზიურ რეჟიმს" შესთავაზებს.



*გამოცდა, რომელიც უკრაინამ უკვე წარმატებით გაიარა, საქართველოს ჭერ კიდევ ჩასაბარებელი აქვს.*

**"ეს არის ნიშანი მოსკოვისათვის. აშშ გვეუბნება, რომ მოსკოვის პოლიტიკური სივრცის გაფართოების იდეა მისთვის მიუღებელია, მათ შორის პოსტსაბჭოთა სივრცეზეც,"** - ასე აფასებს აშშ-ს ნაბიჯს ექსპერტი.

როგორც ჩანს, აშშ პოსტსაბჭოთა სივრცეზე რუსეთის ინტერესებს ითვალისწინებს, მაგრამ არა იმდენად, როგორც ამას აქამდე მოსკოვში ფიქრობდნენ. უკრაინის კანდიდატობა ნატო-ში გასაწევრიანებლად ბალტიისპირეთის შემდეგ ყოფილ სსრკ ტერიტორიაზე ალიანსის გაფართოების მეორე სერიოზული ტალღის დასაწყისი იქნება. როგორც აღმოჩნდა, ნატო-ს რუსეთის "ტრადიციული" გავლენის სფეროში შეღწევის არ ერიდება.

მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო თვალსაზრისით უკრაინა ნატო-ს მოთხოვნებს კარგა ხანია ვერ დააკმაყოფილებს, პრინციპული გადაწყვეტილება მისი ალიანსში მიღების შესახებ უკვე მიღებულია. განსხვავებით საქართველოსაგან, რომელსაც ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმის (IPAP) ფარგლებში მრავალწლიანი მუშაობისა და ნატო-ს ექსპერტთა დადებითი დასკვნების მიუხედავად, გაწევრიანების სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად ჯერ არც ოფიციალური, და არც არაოფიციალური მიწვევა არ მიუღია.

ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორად უკრაინის ინტეგრაციის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად დასავლეთის ქვეყნებისათვის მარტში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები გახდა, სადაც პრეზიდენტის ბლოკი მხოლოდ მესამე ადგილზე გავიდა, და რომელიც დასავლეთის მიერ სამართლიან და გამჭვირვალე არჩევნებად იქნა აღიარებული.

მცირერიცხოვანი ქართული შეირაღებული ძალების ნატო-ს მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა არც ისე რთული ამოცანაა, განსაკუთრებით 50-მილიონიანი უკრაინის ფონზე. თუმცა, იგივე არ ითქმის ქართულ დემოკრატიაზე, როგორც ალიანსის მომავალი წევრობის ერთ-ერთ პირობაზე. ამ ამხრივ საქართველოს გამოცდა, რაც უკრაინამ უკვე წარმატებით გაიარა, ჯერ კიდევ ჩასაბარებელი აქვს.

*ნინია კაკაბაძის სვეტი*

## ხელისუფლების კიდევ ერთი გამარჯვება მედიაზე

მადლობა ღმერთს, მათ ჯერ კიდევ შერჩათ დიპლომატია, ადეკვატურობა, გონიერება... შესანიშნავია! ასეთი კმაყოფილი და აღტაცებული საქართველოს ხელისუფლებით ძალიან დიდი ხანია, არ ვყოფილვარ. ასეთი ჭკვიანური ნაბიჯი მათ დიდი ხანია, არ გადაუდგამთ. გულწრფელი აღტაცება მინდა გამოვთქვა და ჩვენს მკითხველს ვთხოვ, არავითარ შემთხვევაში ჩემი სიტყვები სარკასტული ქვეტექსტებით არ დატვირთოს. შესანიშნავი იყო გუშინდელი შეხვედრა მინისტრებსა და პრესის წარმომადგენლებს შორის. ხელისუფლებამ მოსახლეობას და მათ შორის მეც, დაგვანახა, რომ მითი მედიის უფლებების შევიწროვებასთან დაკავშირებით, თითიდან გამოწოვილი, გამოგონილი პრობლემაა. ჩვენ დავინახეთ, რომ ასეთი იდილიური, შეთანხმებული, კეთილგანწყობილი, გამგებიანი ურთიერთობა ხელისუფლებასა და მედიას შორის, ბრეჟნევის პერიოდის შემდეგ არ ყოფილა. ბრეჟნევის ეპოქაში კი სწორედ ასე იყო. განსხვავება იმ დროსთან მხოლოდ ერთია, მაშინ არ იყვნენ ჟურნალისტები, რომელნიც მოსახლეობაში სარგებლობდნენ ავტორიტეტით. მაშინ იყვნენ დიქტორები, კომენტატორები და ა.შ. რატომ დავარქვით ჩვენ დღევანდელ მედიას მედია და თანამედროვე ჟურნალისტებს ჟურნალისტები, არავინ იცის. ამაზე ოდნავ ქვემოთ.

რას ვგულისხმობთ მაშინ, როდესაც ვამბობთ, რომ ხელისუფლებამ მოულოდნელი და საოცრად წარმატებული ნაბიჯი გადადგა მითქმამოთქმის აღმოსაფხვრელად. **1.** ის თავისი ინიციატივით ხვდება პრესის წარმომადგენლებს. **2.** მზად არის, ყველა კითხვაზე გასცეს პასუხი. **3.** როდესაც ხელისუფლება უარს აცხადებს ოპოზიციასთან დებატებზე, საზოგადოება უკმაყოფილებას გამოთქვამს. ამასთან დაკავშირებით ხელისუფლება ამბობს: - "მე მზად ვარ, ვესაუბრო ხალხს, მზად ვარ, ვესაუბრო მედიის წარმომადგენლებს, მაგრამ არ ვესაუბრები ერთ პატარა მარგინალურ ჯგუფს, რომელიც მუდმივად ჩემი კეთილი საქმეების ნეგატიურად წარმოჩენაზეა ორიენტირებული." მე მგონი, ეს მათი უფლებაა. რაც მთავარია, ის არ აცხადებს უარს საზოგადოებასთან და მედიასთან დიალოგზე. **4.** მათი უფლებაა, მომავალში განაცხადონ, რომ ის ანგარიშვალდებულია ხალხთან, საზოგადოებასთან და ამიტომ სწორედ მასთან ინარჩუნებს კეთილმეგობრულ, საქმიან ურთიერთობას. ვფიქრობ, ასე მხოლოდ სამაგალითო მთავრობა იქცევა. ეს აქციაც რომ ძალიან ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი დიპლომატი პოლიტიკოსის მიერ იყო დაგეგმილი, ცხადია.

მიუხედავად იმისა, რომ ვერ გავკადნიერდები, თავს ჟურნალისტი ვუწოდო, მე მხოლოდ ამ სფეროში მონაწილე ერთ-ერთი რიგითი მოქალაქე გახლავართ, თავს უფლებას მივცემ პროფესიონალ, კვალიფიციურ ჟურნალისტებზე ჩემი მოკრძალებული მოსაზრება მოგახსენოთ. ჩემთვის უცნობია, რის მიხედვით იყო დაკომპლექტებული პრესის წარმომადგენელთა ეს ჯგუფი; საინფორმაციო გადაცემის ხელმძღვანელებმა და გაზეთების რედაქტორებმა აარჩიეს, თუ თავად მინისტრებმა ან კი ამ წარმატებული აქციის იდეის ავტორმა, მაგრამ ფაქტია - ასეთი ერთიანობა ქართული ტელევიზიის ეთერში დიდი ხანია არ ყოფილა. გრძელ რიგში ჩამჯდარი მინისტრების (ოქროს მედალოსანი მოსწავლეებივით) მზერაში მხოლოდ ნდობა, ინტერესი, კეთილგანწყობა, სიყვარული იკითხებოდა. მგონი მიზანსცენაც დაგეგმილი იყო, რადგან ვანო მერაბიშვილი ბატონი კახა ბენდუქიძის გვერდით, განსაკუთრებით სანდომიანი და სპეტაკი ჩანდა. ისხდნენ და ელოდნენ კეთილი მასწავლებლების კითხვებს, მასწავლებლებმაც არ დააყოვნეს და კითხვების პათოსი ასეთი იყო: "აბა, ჩემო პატარა და საყვარელო ბიჭებო, ხომ კარგად იცით ვეფხისტყაოსნის პროლოგი, აბა კიდევ ერთხელ გვითხარით". მინისტრები კი პროლოგს ეპილოგსაც აყოლებდნენ, საკუთარ წარჩინებულობას კიდევ უფრო ამტკიცებდნენ. ღმერთო ჩემო, რა სასწაული თაობა გვეზრდება.

არც ერთი მწვავე კითხვა. მაგალითად, ბოლო დროს ყველაზე სკანდალური სამინისტროს მინისტრს, კითხვას ასეთი ფორმით უსვამენ. "თქვენ განაცხადეთ, რომ ებრძვით ქურდულ სამყაროს და რეკეტის ინსტიტუტს საქართველოში? როგორ?" რა საინტერესოა, რომ ჟურნალისტს არც ერთხელ არ მოუსმენია ხელისუფლების ვერსია, თუ როგორ ებრძვის ქურდულ სამყაროს, ე.წ. რეკეტიორებს და როგორ უშლის მათ ხელს ოპოზიცია. "დავიჭირეთ ბევრი ქურდი, ავაშენეთ ახალი ციხეები, არ ვაძლევთ მათ საშუალებას, აკონტროლონ ციხის ტერიტორია და იქიდან გარე სამყარო". ეს ხომ ბავშვობაში დაზეპირებული გამრავლების ტაბულასავით მთელმა ქართულმა მოსახლეობამ ზეპირად იცის, დარწმუნებული ვარ, ღამით გამოღვიძების დროსაც უშეცდომოდ ჩაგაბარებთ. რა საჭიროა ამის კიდევ და კიდევ კითხვა, რატომ არა აქვს ჟურნალისტს ინფორმაცია, რომ რეკეტმა ოფიციალური სახე მიიღო და რეკეტიორები ძირითადად ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები არიან, რომელნიც ოფიციალური გადასახადის სახით "კრიშავენ" სხვადასხვა "ზავიდენიებს". მაგრამ პატივცემულ ჟურნალისტს მხოლოდ ლექსის კიდევ ერთხელ, სხაპასხუპით მოსმენა სურს, რომელსაც ბატონი ვანო კიდევ ერთხელ და კიდევ ბევრჯერ იტყვის. ჟურნალისტებს არც ის აინტერესებთ, რა სტადიაშია სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმე. არც ერთი ჟურნალისტი არ დაინტერესდა, თუ რა პროცესშია სასამართლო სისტემა, რატომ ხელმძღვანელობენ დღევანდელი მოსამართლეები ზემოდან ნაკარნახევი, სატელეფონო ზარებით, რატომ ზის ციხეში ბევრი უკანონო პატიმარი. ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ასეთი სამარცხვინო სურათის მნახველი, მგონი, ქართული საზოგადოება არასდროს ყოფილა. რასაკვირველია, მართალნი არიან ისინი, როდესაც აცხადებენ, რომ მედია თვითცენზურის მსხვერპლია და არა ცენზურის. მართალია ყველა ის ადამიანი, რომელსაც სჯერა, რომ ყველა ჩვენგანში ზის მონური ცნობიერება, მორჩილებისა და მოსამსახურების მოთხოვნილება. როგორ შეგვიძლია, პრეტენზიები გამოვთქვათ იმ ადამიანების მიმართ, ვისაც კომუნისტურ ეპოქაში უცხოვრია, როდესაც დღეს ჩვენ წინაშე გაცილებით უფრო სასტიკი და შემაძრწუნებელი სურათია. მხოლოდ სხვადასხვა კონტექსტში და განსხვავებული ფორმულირებით დასმული კითხვები ენერგეტიკის, დიდი და ბოროტი ვამპირის, რუსეთის შესახებ, რაც მოჩვენებით სიმწვავესაც კი ვერ ქმნიდა.

ამ ხელისუფლების მიერ პროვოცირებულმა და მისთვის ერთმნიშვნელოვნად წარმატებულმა შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ მედია, როგორც საზოგადოების ერთ-ერთი ნაწილი, რომლის ვალდებულებაა ხალხის სამსახურში ყოფნა, უსუსური, ცარიელი, გამოფიტული და უუნაროა. ეს სამარცხვინო, და სამარცხვინო მხოლოდ ჟურნალისტებისათვის, აქცია სწორედ იმის დასტური იყო, რომ საქართველოში ყველაფერი ის გაგვაჩნია, რასაც ვიმსახურებთ.

სამწუხაროდ, ვერასდროს ვეღარ შევძლებ მედიის იმ წარმომადგენლების უფლებების დაცვას, რომელნიც სამზარეულოში ჩუმად იჭორავებენ მათი დამოუკიდებლობის შეზღუდვაზე და ცენზურაზე მთავრობის მხრიდან. ამ შემთხვევაში ქართული ხელისუფლება და საყვარელი, პატარა ხუთოსანი ბიჭუნები სამაგალითონი არიან.

**P.S.** სამწუხაროდ, ქართული მედია დღეს მხოლოდ ერთეული, კეთილსინდისიერი და პროფესიონალი ჟურნალისტების ანაბარაა დარჩენილი.

# ეგვიპტეში აფეთქებები გრძელდება

სინას ნახევარკუნძულზე გაეროს საერთაშორისო დამკვირვებელთა ეგვიპტური ბაზის მახლობლად, გუშინ ორმა კამიკაძე-ტერორისტმა თავი აიფეთქა. დაღუპულების შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა. მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ნორვეგიელი და ახალზელანდიელი სამშვიდობოები მსუბუქად დაიჭრნენ.

სამშვიდობო ძალები სამხედრო ბაზაზე 1979 წელს, ისრაელსა და ეგვიპტეს შორის სამშვიდობო შეთანხმების დადების დროიდან იმყოფებიან.

ზოგიერთი მონაცემებით, ტერორისტებმა, რომელთაგან ერთი მოტოციკლს მართავდა, გაეროს დამკვირვებელთა ავტობუსის აფეთქება სცადეს.

გარდა ამისა, გუშინ, უცნობმა პირებმა ეგვიპტის ჩრდილოეთში, ნილოსის დელტის მიდამოებში პოლიციის საგუშაგო ააფეთქეს, რის შემდეგადაც მას ცეცხლი გაუხსნეს. დაღუპულთა და დაშავებულთა შესახებ ჯერჯერობით არაფერს იუწყებიან.

შეგახსენებთ, ორი დღის წინ, სინას ნახევარკუნძულზე მდებარე საკურორტო ქალაქ დაჰაბში აფეთქების სერია მოხდა, რის შედეგად 24 ადამიანი დაიღუპა.

*ინტერპრესნიუსი*

# ასამართლებენ ფოთის საკრებულოს ყოფილ თავმჯდომარეს

ქეთინო ჭაკობია
ფოთიდან

ფოთის საკრებულოს ყოფილ თავმჯდომარეს მოგელი ტყებუჩავას სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პროკურატურა ფოთში 108-მეგავატიანი თბოელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს ედავება. ტყებუჩავა შვეიცარულ კომპანია "ფინკომიტთან", 2000 წლის 4 მაისს გაფორმებულ ხელშეკრულებას ენერგეტიკის მაშინდელ მინისტრთან და ფოთის მერთან ერთად აწერდა ხელს. ხელშეკრულების მიხედვით, პირველადი საპროექტო-საძიებო სამუშაოებისთვის ქალაქის ბიუჯეტიდან "ფინკომიტის" ანგარიშზე 150 ათასი ამერიკული დოლარი გადაირიცხა. თუმცა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები არ შესრულდა.

ტყებუჩავას სასამართლო პროცესი რამდენჯერმე გადაიდო. 25 აპრილის სხდომაზე სახელმწიფო ბრალმდებელი, პროკურორი ტერენტი კოკაია არ გამოცხადდა. ტყებუჩავას ადვოკატებმა მოსამართლე ალექსანდრე გოგუაძეს კანონით გათვალისწინებული ზომების გატარება მოსთხოვეს.

**"სასამართლოს საქმის განსახილველად საკმაოდ ხანგრძლივი ვადა აქვს, მაგრამ სახელმწიფო ბრალმდებლის გამოუცხადებლობის გამო, სხდომის გახსნაც ვერ შევძელით. რჩება შთაბეჭდილება, რომ საბრალდებო დასკვნასა და საქმეში არსებული არგუმენტების რეალური დადასტურება არ მოიპოვება"**, - განუცხადა "24 საათს" ადვოკატმა გივი გაბაშვილმა.

ადვოკატების შუამდგომლობების შედეგად ფოთის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარის საქმე გენერალურმა პროკურატურამ გამოითხოვა. შუამდგომლობა ნაწილობრივ, დაკმაყოფილდა და სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილით წაყენებული ბრალი 333-ე მუხლის 1 ნაწილზე გადაკვალიფიცირდა - ანუ თანამდებობის ბოროტად გამოყენება სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებით შეიცვალა.

სასამართლო პროცესი დღეს უნდა განახლდეს. წინასწარი პროგნოზით, პროცესი საკმაოდ ხმაურიანად წარიმართება. დაუზუსტებელი ინფორმაციით, სამეგრელო ზემო-სვანეთის სამხარეო პროკურორმა როლანდ ახალიამ საქმის რეზონანსულობის გამო, საპროცესო გარიგების გაფორმებას თავი აარიდა.

## მოკლედ

### დაპატიმრების მიზეზი სამსახურეობრივი გულგრილობა

ოზურგეთის რაიონული პროკურატურის თანამშრომლებმა გარემოს დაცვის ინსპექციის დასავლეთ საქართველოს ბიუროსთან ერთად გატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად, ოზურგეთის რაიონის დაბა ლაითურის გამგებელი ემზარ თუთისანი დააკავეს. თუთისანი სამსახურეობრივი გულგრილობის ბრალდებით დააპატიმრეს. საქმე ეხება დაბა ლაითურში ქარსაცავი ზოლის მასობრივ განადგურებას. **"1992 წლიდან დღემდე ქარსაცავი ზოლის წიწვიანი ხეტყის 5 ათასი ძირია გაჩეხილი, აქედან 2 ათას ძირზე მეტი ბოლო წელიწადნახევრის მანძილზე გაიჩეხა,"** - "24 საათთან" საუბრისას განაცხადა გარემოს დაცვის ინსპექციის დასავლეთ საქართველოს ბიუროს უფროსმა ერასტი მეტრეველმა. გარდა ამისა, პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე ლაითურის ერთ-ერთი მკვიდრის მიმართაც აღძრა. **"საქმე ისაა, რომ ხშირია მოსახლეობის მხრიდან ქარსაცავი ზოლის შეგნებულად განადგურების ფაქტები. ცეცხლს უკიდებენ ხეებს და იმ მოტივით, რომ ხეები მაინც დამწვარია, უპრობლემოდ ჭრიან,"** - აცხადებს ერასტი მეტრეველი. ოზურგეთის რაიონულ პროკურატურაში აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით გამოძიება გრძელდება. **24 საათი**

### "პატიმრობის შესახებ" კანონპროექტის მესამე მოსმენა

"პატიმრობის შესახებ" კანონის თანახმად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი ვალდებულია, საპატიმროებში პაემნებისთვის ოთახი გამოყოს. "პატიმრობის შესახებ" კანონპროექტი, რომელიც პატიმრებისთვის პაემნების რაოდენობას ამტკიცებს, საქართველოს პარლამენტმა გუშინ მესამე მოსმენით განიხილა.

როგორც პარლამენტის ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ განაცხადა, "პატიმრობის შესახებ" კანონპროექტის მეორედ მოსმენისას იგი სტრასბურგში იმყოფებოდა და სწორედ მისი თხოვნით გადაიდო კანონპროექტის რამდენიმე მუხლის განხილვა, რომელიც პატიმრებისთვის პაემნების რაოდენობას განსაზღვრავდა.

ელენე თევდორაძის განცხადებით, ამ საკითხთან დაკავშირებით შეთანხმება მოხერხდა და კანონპროექტში ჩაიდო მუხლი, რომლის მიხედვითაც, მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში მყოფ პატიმარს თვეში ერთი პაემანის უფლება ეძლევა, საერთო რეჟიმის დაწესებულებებში მყოფს - ორი, ქალთა კოლონიაში მყოფ პატიმარს - სამი, ხოლო არასრულწლოვან პატიმარს ოთხი პაემნის უფლება ენიჭება. როგორც პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ განაცხადა, ჯერჯერობით, საპატიმროებში, ფაქტობრივად, არ არსებობს პაემნების ოთახი. მისივე თქმით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი ვალდებულია, შეხვედრებისთვის ოთახი გამოყოს და პატიმრებს პაემნების რაოდენობის სრულად გამოყენების საშუალება მისცეს.

გუშინ, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, პატიმართა შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებების დაცვისა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტებს შორის გაუგებრობა მოხდა. კერძოდ, ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ განაცხადა, რომ იურიდიულმა კომიტეტმა არ გაიზიარა მათი შენიშვნა, რომლის მიხედვითაც, საერთო რეჟიმის საპატიმროებში მყოფ პატიმრებს პაემნების უფლება თვეში ორჯერ უნდა ჰქონდეთ. თევდორაძის თქმით, კანონპროექტში აღნიშნულია, რომ ამ კატეგორიის პატიმრებს ახლობლებთან შეხვედრის საშუალება მხოლოდ თვეში ერთხელ მიეცემათ. თევდორაძის განმარტებითვე, აღნიშნული მუხლი იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მხრიდან უპატივცემულობის გამოხატულებაა, რადგან მიღწეული იყო სიტყვიერი შეთანხმება. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნინო კალანდაძე აცხადებს, რომ იურიდიულ საკითხთა კომიტეტს პირობა არ დაურღვევია და კანონპროექტში მხოლოდ ტექნიკური ხარვეზია. მისივე განმარტებით, თევდორაძის კომიტეტის შენიშვნა გაზიარებულია და საერთო რეჟიმის საპატიმროებში მყოფ მსჯავრდებულს უფლება ექნება თვეში ორჯერ ისარგებლოს პაემნის უფლებით. **მედიანიუსი**

### ინციდენტი საპყრობილეში

ზუგდიდის მე-4 საპყრობილიდან საავადმყოფოში გადაიყვანეს პატიმარი გიორგი ჯოლოხავა, რომელმაც გამოძიებისადმი პროტესტის ნიშნად ბასრი საგნით მუცელი გადაისერა. პატიმარს სასწრაფო სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს და საპყრობილეში დააბრუნეს, თუმცა რამდენიმე საათში მან კვლავ მიიყენა თვითდაზიანებები, რის გამოც, კვლავ საავადმყოფოში მოხვდა. როგორც ექიმები აცხადებენ, მეორე შემთხვევაში ჭრილობა მუცლის არეში უფრო ღრმა იყო, თუმცა, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შემდეგ, პატიმარი კვლავ საპყრობილეში დააბრუნეს. ზუგდიდის საპყრობილეში ბოლო ერთი თვის განმავლობაში პატიმრების მიერ თვითდაზიანების მიყენების ეს უკვე მეთორმეტე შემთხვევაა. რაც შეეხება გიორგი ჯოლოხავას, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, თუმცა, საპყრობილეში იგი განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. ჯოლოხავას ნარკოტიკების დიდი რაოდენობით შენახვა ედება ბრალად. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, მას 6-დან 12 წლამდე პატიმრობა ემუქრება. **ინტერპრესნიუსი**

# სამოდელო ციხის პრობლემები

მაია მეცხვარიშვილი
ქუთაისიდან

*ქუთაისის ახალი ციხე, როგორც სამოდელო დაწესებულება და სასჯელაღსრულების სისტემაში მიმდინარე რეფორმის ერთ-ერთი პირველი პროდუქტი, გასული წლის 20 დეკემბერს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გივი მიქანაძემ გახსნა. ორად გაყოფილ ახალი ციხეში - N2 საპყრობილესა და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, უკვე 1401 პატიმარია განთავსებული. მათ შორის, 12 ქალი და 18 არასრულწლოვანი. თუმცა, თავის დროზე ახალი ციხის საზეიმო პრეზენტაცია პატიმრების ხმაურიანმა პროტესტმა გადაფარა.*



*ქუთაისის ახალი ციხე - მიმდინარე რეფორმის პირველი პროდუქტი.*

განსასჯელების ბუნტის საბაბი ციხის ახალ შენობაში არსებული ტექნიკური პრობლემები აღმოჩნდა. მაშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ არასრულად შესრულებული სამუშაოების გამო ქუთაისის ციხის უფროსმა შოთა ტორაძემ სამშენებლო ფირმის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვა, თუმცა, მალევე, თანამდებობას თავად ტორაძე დაემშვიდობა. არაოფიციალური ინფორმაციით, იგი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსთან ბაჩო ახალაიასთან დაპირისპირებას ემსხვერპლა. ოფიციალური ინფორმაციით კი, ტორაძემ თანამდებობა პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა.

**"როცა ახალი შენობა იგება, ტექნიკური პრობლემებისგან დაზღვეული არავინაა. შპს "ნოლას", რომელიც აშენებდა ციხეს, სარემონტო სამუშაოები ჯერაც არ დაუმთავრებია, ანუ ობიექტი დღემდე არ არის მიღებული და ჩაბარებული. რაც შეეხება სხვა საყოფაცხოვრებო პრობლემებს, როგორიცაა წყალმომარაგება, ამ პრობლემის წინაშე ციხე კი არა, მთელი ქუთაისი დგას. პატიმრებს წყალი ამჟამად უწყვეტად, დილიდან საღამომდე მიეწოდებათ და იმ შემთხვევაში ვადგენთ გრაფიკს, როდესაც წყლის შემოდინება იკლებს,"** - აცხადებს ქუთაისის საპყრობილის ახალი უფროსი გოჩა მეგრელიშვილი, რომელმაც ამ თანამდებობაზე ბათუმის ციხიდან გადმოინაცვლა.

ახალ ციხეში საკადრო საკითხიც მოუგვარებელია. გარდა ხელმძღვანელი პირებისა, საკადრო ცვლილებები ხშირად რიგითი თანამშრომლების მიმართაც ხორციელდება, მიუხედავად იმისა, რომ ახალი კადრების შესარჩევად იუსტიციის სამინისტრომ გასული წლის ზაფხულში ორეტაპიანი კონკურსი ჩაატარა.

**"საქმე ისაა, რომ პატიმრებთან ურთიერთობისა და მუშაობის დროს ტესტირებაგავლილმა პირებმა ვერ გაამართლეს. ზოგიერთი მათგანი მხდალი და მშიშარა აღმოჩნდა. როცა კაცს საკნის კარის გაღებაზე ფეხები უკანკალებს, შიშის გამო, შეიძლება პატიმართან გარიგებაზეც წავიდეს,"** - აცხადებს გოჩა მეგრელიშვილი.

**"ჩვენი ინფორმაციით, ქუთაისის ციხეში მუშაობენ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტიდან გადმოსული თანამშრომლები, რომლებსაც ისევ ძველი სამსახური აკონტროლებს,"** - ამბობს ადვოკატი ლედი ტუკვაძე. მისივე თქმით, ახალ ციხეში პატიმრების მდგომარეობა ხშირ შემთხვევაში, გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე ადრე იყო.

**"პატიმრებს სერიოზული პრეტენზიები აქვთ კვების მხრივაც. უფრო მეტიც, მაქვს ინფორმაცია, რომ ციხის უფროსის მოადგილე ირაკლი კუჭუხიძე, წინასწარი დაკავების საკნიდან გადაყვანის შემდეგ, პატიმრებს სასტიკად სცემდა. კონკრეტული პატიმრების ვინობის გამხელისგან ამ ეტაპზე, მათივე უსაფრთხოების მიზნით, თავს შევიკავებ. იყო ფაქტები, რომელთა შესახებაც საქმის კურსში ჩავაყენე სახალხო დამცველის რწმუნებული. ირაკლი კუჭუხიძის ასეთი ქმედებების თაობაზე პროკურორსაც ვაცნობე და მას ნაცემი პატიმრების გვარებიც დავუსახელე,"** - აცხადებს ლედი ტუკვაძე.

**"შეიძლება ასეთი ფაქტი მოხდა, მაგრამ ამისთვის არსებობს გამოძიება, რომელმაც უნდა დაადგინოს სიმართლე. მაპატიეთ, მაგრამ თავზე ხელს ვერ გადავუსვამ ისეთ პატიმარს, რომელიც საჭმლის მიტანის დროს ცხელ ჩაის შეასხამს თანამშრომელს. ასეთ პატიმარს, ბუნებრივია, ჩავაგდებთ კარცერში და კანონით არსებულ ზომებს მაქსიმალურად გამოვიყენებთ. ისეთი პატიმრებიც გვყავს, რომლებიც საკუთარ სხეულს უპრობლემოდ იზიანებენ, მეორე დღეს კი ამბობენ, ციხის თანამშრომელმა მცემაო, რაც სიმართლე არ არის,"** - ამბობს ციხის უფროსი.

**"საერთოდ, პატიმრებს ძალიან უჭირთ ცემის ფაქტებზე საუბარი. დეკემბრის ბუნტის დროს ჩვენ გამოვითხოვეთ ოფიციალური ინფორმაცია პატიმართა ცემის ფაქტებზე და აღმოჩნდა, რომ სხეულის დაზიანება მაშინ 100-მდე პატიმარმა მიიღო. მას შემდეგ ზუსტი სტატისტიკა არ გვაქვს, რადგან როცა პატიმრებს ვხვდებით, ცემის კვალი ხშირ შემთხვევაში უკვე აღარ ეტყობათ,"** - აცხადებს იმერეთში სახალხო დამცველის რწმუნებული თეონა კუჭავა.

რაც შეეხება პატიმართა კვებას, 14 აპრილიდან თითოეული პატიმრის კვების ხარჯი 23-დან 45 ლარამდე გაიზარდა. გარდა ამისა, ციხის ადმინისტრაციას პატიმართა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად სხვა ღონისძიებების გატარებაც აქვს დაგეგმილი.

**"ტელეფონების უქონლობა სერიოზული პრობლემაა, მაგრამ დეპარტამენტმა გამოყო სპეციალური ხარჯები, ჩვენმა თანამშრომლებმა ორი ტელეფონით ჩამოიარეს საკნები და პატიმრებს შინ დავარეკინეთ. მალე პატიმრებს საშუალება ექნებათ საკრედიტო ბარათებით დაუკავშირდნენ ოჯახის წევრებს. მართალია, ციხეში აიკრძალა ამანათების შეტანა, მაგრამ მინისტრის ბრძანებით, ციხეში შედის საყოფაცხოვრებო ნივთები და გაზეთები. რაც შეეხება ტელევიზორებს, აბსოლუტურად ყველა საკანშია შეყვანილი კაბელი, მაგრამ მე ტელევიზორებს ვერ ვიყიდი. დეპარტამენტთან მიღწეულია შეთანხმება, რომ კორპუსში ერთი ტელევიზორი მაინც დაიდგას"**, - აცხადებს გოჩა მეგრელიშვილი.

ციხის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ ახალ საპყრობილეში რეფორმა ქურდულ ტრადიციებთან ბრძოლის კუთხითაც წარმატებით ხორციელდება.

**"ჩემს ციხეში "მაყურებელი" მე ვარ. ქურდულ ტრადიციებთან ბრძოლას სახელმწიფო ბოლომდე მიიყვანს. თუ წავა ახალაია და მეგრელიშვილი, მოვა ვინმე სხვა და აღებულ კურსს ბოლომდე მიიყვანს. ჩვენ ჩვენსას გავაკეთებთ"**, - აცხადებს ციხის უფროსი.

ქუთაისის საპყრობილის ხელმძღვანელობას ქურდულ ტრადიციებთან ბრძოლის წარმატებულ მაგალითად 27 მარტის ციხის ბუნტი მოჰყავს, რომელმაც ქუთაისის საპყრობილეში გამოძახილი ვერ ჰპოვა.

# გამგებლის მოადგილე - პატიმარი

*თელავის გამგებლის მოადგილის ჯუმბერ დარჩიაშვილის დაკავებას ადვოკატები და ოჯახის წევრები ბიზნესინტერესს მიაწერენ. საქმე ისაა, რომ იგი თელავის აგრარული ბაზრის ერთ-ერთი მეპატრონის შვილია და, როგორც ოჯახის წევრები აცხადებენ, დარჩიაშვილის დაპატიმრება იმ პირთა ინტერესებში შედიოდა, რომელთაც ბაზრის ხელში ჩაგდება სურთ.*

ზვიად რუაძე
კახეთიდან

ჯუმბერ დარჩიაშვილი კახეთის საოლქო პროკურატურამ თანამდებობის ბოროტად გამოყენების ბრალდებით დააკავა. საუბარია პერიოდზე, როცა დარჩიაშვილი გამგეობაში კულტურის განყოფილების უფროსად მუშაობდა. როგორც საოლქო პროკურორის მოადგილემ ვაჟა მაღრაძემ დარჩიაშვილის დაკავებისას განაცხადა, კულტურის განყოფილების ყოფილი გამგე თანხებს ხარჯებისთვის ხელოვნურად ზრდიდა და შემდეგ ითვისებდა.

ჯუმბერ დარჩიაშვილთან ერთად ბრალდებულად ცნეს კიდევ ექვსი პირი, მათ შორის - ოთხი ქალი. თუმცა, სასამართლომ დანარჩენ ბრალდებულებს წინასწარი პატიმრობა არ შეუფარდა, მოსამართლემ ადვოკატების შუამდგომლობა დააკმაყოფილა და მათ გირაოს გადახადა დააკისრა. დარჩიაშვილს კი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს. თუმცა, როგორც დარჩიაშვილის ადვოკატი მაია ყანდაშვილი აცხადებს, იგი პროკურატურას და სასამართლოს, გირაოს სახით, 30 ათასი დოლარის გადახდას სთავაზობდა, მაგრამ მათ 80 ათასი დოლარის გადახდა მოითხოვეს.

გამოძიება ჯუმბერ დარჩიაშვილს თავდაპირველად 48 ათას ლარს ედავებოდა, საბოლოოდ კი თანხამ 200 ათას ლარს მიაღწია. არადა, პროკურატურის მიერ აღმოჩენილი დარღვევები, საპროცესო კოდექსის თანახმად, ხანდაზმულად ითვლება.

**"საუბარია 1997 წელს აღმოჩენილ დარღვევებზე. საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლში კი პირდაპირ წერია, რომ თუ საქმე ხანდაზმულია, არ უნდა აღიძრას, ხოლო თუ აღძრულია, უნდა შეწყდეს,"** - აცხადებს დარჩიაშვილის ადვოკატი.

ოლქის პროკურორი თამაზ ცაბუტაშვილი ადვოკატის პრეტენზიებს უსაფუძვლოს უწოდებს და აცხადებს, რომ დანარჩენი ექვსი ბრალდებული პროკურატურასთან თანამშრომლობს და გირაო ამიტომ შეუფარდეს.

**"დარჩიაშვილი იმიტომ დარჩა პატიმრობაში, რომ ხელმძღვანელი იყო. გარდა ამისა, მან ჩვენთან თანამშრომლობა არ ისურვა; თანაც, განთავისუფლებულებმა ყოფილი უფროსი სხვა დანაშაულებრივ ქმედებებშიც ამხილეს,"** - აცხადებს ცაბუტაშვილი და დასძენს, რომ საბოლოო სიტყვა სასამართლოს ეკუთვნის.

დარჩიაშვილის ადვოკატის შუამდგომლობა, რომლითაც იგი ბრალდებულისთვის აღკვეთი ღონისძიების - პატიმრობის გირაოთი შეცვლას ითხოვდა, სასამართლომ გუშინ განიხილა. დარჩიაშვილმა გირავნობის თანხა გაზარდა - ადვოკატმა სასამართლოს ამჯერად 50 ათასი დოლარის გადახდა შესთავაზა, თუმცა - უშედეგოდ. არც პროკურატურამ და არც სასამართლომ ადვოკატის შუამდგომლობა არ გაიზიარეს და თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში ბრალდებული თელავის გამგებლის ყოფილი მოადგილე წინასწარ პატიმრობაში დატოვეს.

# ომბუდსმენი სამედოვის ლტოლვილად ცნობას მოითხოვს

სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა აზერ რამისოგლუ სამედოვმა. როგორც სამედოვის განცხადებიდან ირკვევა, აზერ სამედოვმა 17 აპრილს მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს და მისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭება მოითხოვა. თუმცა, მას პასუხი დღემდე არ მიუღია. არადა, "ლტოლვილთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, "სამინისტრო განცხადების წარდგენიდან სამი დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას პირის რეგისტრაციის თაობაზე". სახალხო დამცველის განცხადებით, აზერ რამისოგლუ სამედოვთან მიმართებაში, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ დაარღვია ხსენებული კანონი.

როგორც ცნობილია, აზერ რამისოგლუ სამედოვი საქართველოში რეგისტრირებული საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის "რწმენისა და სინდისის თავისუფლების კავკასიური ცენტრის" ხელმძღვანელია. იგი, ისევე, როგორც აზერბაიჯანის ოპოზიციის სხვა წარმომადგენლები, აზერბაიჯანის ხელისუფლების მხრიდან იდევნებოდა, 2003 წლის არჩევნებთან დაკავშირებული მოვლენების გამო. როგორც ცნობილია, ხსენებულ მოვლენებთან დაკავშირებით დაპატიმრებული ადამიანების მიმართ გამოიყენეს ზემოქმედებისა და წამების სხვადასხვა მეთოდები, რაც დადასტურებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მოხსენებებშიც.

**"არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლების მხრიდან სამედოვის მიმართ, მისი პოლიტიკური შეხედულებების გამო, ხორციელდება დევნა და სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში, აზერბაიჯანში 2003 წლის 15-16 ოქტომბრის მოვლენებთან დაკავშირებით დაპატიმრებული სხვა ადამიანების მსგავსად, შესაძლოა გახდეს რეპრესიებისა და წამების მსხვერპლი,"** - აცხადებს სოზარ სუბარი, რომელსაც მიაჩნია, რომ აზერ სამედოვთან მიმართებაში არსებობს ყველა ის გარემოება, რომელთა გათვალისწინებითაც, იგი აღიარებული უნდა იქნეს "ლტოლვილის სტატუსის შესახებ" გაეროს 1951 წლის კონვენციის დაცვის ქვეშ მყოფ პირად.

"საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის თანახმად, სოზარ სუბარი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, მიიღოს გადაწყვეტილება აზერ რამისოგლუ სამედოვის ლტოლვილის სტატუსის მაძიებლად რეგისტრაციისა და შემდგომ მისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭების შესახებ.

*24 საათი*

გაცნობებთ, რომ

"აგრიტექნიქს ჯგუფმა" განაახლა "სადიას" პროდუქციისა და ბანანის დისტრიბუცია - გაყიდვა საქართველოს ტერიტორიაზე.

საქონლის შეძენის პირობებისა და ადგილმდებარეობაზე ინფორმაციისათვის, გთხოვთ მოგვმართოთ ცხელი ხაზის შემდეგ ნომერზე: 8 77 99 11 09

აგრიტექნიქს ჯგუფი
agritechnics group

**უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი**

______________________________

______________________________

______________________________

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი..............................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი..............................

საკონტაქტო ტელეფონი..............................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დაწერს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]
4. [illegible]
5. [illegible]
6. [illegible]
7. [illegible]
8. [illegible]
9. [illegible]
10. [illegible]
11. [illegible]

[illegible]

ფეხბურთი

# რონალდინიო მარადონას და პელეს უახლოვდება




ვინ იცის, რაზეა წამსვლელი პლანეტის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი, რომ რონალდინიო ლონდონში ჩაიტყუოს? რა არის განსაკუთრებული რონალდინიოში?

"ბარსელონას" ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი, ამჟამად "ნაიკის" ხელმძღვანელი სანდრო როსელი იხსენებს, თუ როგორ ჩავიდა ორი წლის წინ აბრამოვიჩი პარიზში, რათა საფრანგეთისა და ბრაზილიის ნაკრები გუნდების ამხანაგურ მატჩს დასწრებოდა.

"აბრამოვიჩი პირადად მივიდა იმ სასტუმროში, სადაც ბრაზილიის ნაკრები იყო გაჩერებული, შემდეგ კი რონალდინიო გასახდელში მოინახულა. ორივე შემთხვევაში რუს მილიარდერს "ჩელსის" მაისურა ემოსა, რომელსაც ზურგზე "რონალდინიო" ეწერა. აბრამოვიჩს სურდა, რონალდინიოს ამ მაისურით გადაეღო ფოტო. ფეხბურთელმა უარი განაცხადა", - იხსენებს როსელი თავის ახალ წიგნში.

"ჩელსის" მაისურა, რომლის ჩაცმაც რონალდინიომ არ ისურვა, ახლა ალბათ რომელიმე მტვრიან ყუთში დევს. თუმცა, შეიძლება ბრაზილიელ გენიოსს ეს მაისურა მალე დასჭირდეს. ბოლო მატჩებში "მილანთან" და "ბენფიკასთან" რონალდინიომ ისეთ სიმაღლეებს მიაღწია, რომ შესვენებებზე მეტოქე გუნდების ფეხბურთელებს კამათიც კი მოსდით იმის თაობაზე, თუ საფინალო სასტვენის შემდეგ ვის ერგება რონალდინიოსთან მაისურის გაცვლის პატივი.

სამშაბათს რონალდინიომ ლუდოვიკ ჟულის ფანტასტიკური პასი მიაწოდა, გოლი გაატანინა და მატჩის შემდეგ მაისურა სერჟინიოს გაუცვალა.

შარშანდელ ფინალში "მილანის" კურიოზულმა მარცხმა და ორი წლის წინ "პორტოს" მიერ ჩემპიონთა თასის მოგებამ მოულოდნელობებს მიგვაჩვია, მაგრამ იმისთვის, რომ "ბარსელონას" კატალონიაში სძლიო, რაღაც არაჩვეულებრივი უნდა მოხდეს.

ფეხბურთის ერთ-ერთი ანომალია ის გახლავთ, რომ ეს არაჩვეულებრივი კლუბი, რომლის რიგებშიც ბრწყინავდნენ მარადონა, რომარიო, სტოიჩკოვი, რონალდო და რივალდო, მხოლოდ ერთხელ გახდა ევროპის საკლუბო ჩემპიონი. მაგრამ არსებობს შეგრძნება, რომ რონალდინიოთი შთაგონებული ფრანკ რიიკარდის გუნდი საკუთარ გულშემატკივარს სწორედ იმ ჯილდოს უმზადებს, რომელსაც ძალიან დიდხანს ელოდნენ და ეს წელს პარიზში მოხდება.

ამ ქალაქში ნამდვილად რაღაც არის. არა მხოლოდ იმიტომ, რომ სწორედ აქ შეიტყო აბრამოვიჩმა, რომ ფულს ყველაფერი არ შეუძლია. საფრანგეთის დედაქალაქი რონალდინიოსთვის ორი წარუმატებელი სეზონის განმავლობაში საკუთარი სახლი იყო. მან 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატი მაშინ მოიგო, როცა "პარი სენ ჟერმენში" ირიცხებოდა. თუმცა, მისი პარიზული კარიერა ძირითადად მწვრთნელებთან მუდმივი კინკლაობით და ღამის სკანდალებით გამოირჩა.

თუ "ბარსელონა" მომავალ ოთხშაბათს ანდრეი შევჩენკოს და კაკას იმპროვიზაციის მსხვერპლი არ გახდება, რონალდინიო პარიზში დაბრუნდება არა როგორც მხოლოდ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი, არამედ როგორც ადამიანი, რომელიც პელეს და მარადონას დიდებას მიუახლოვდა.

მას შეუძლია იმედი ჰქონდეს, რომ ლიონელ მესიც შეუერთდება. "ჩელსისთან" მატჩში ბარძაყისტრავმიანი მესი მშობლიურ არგენტინაში გადის რეაბილიტაციის კურსს. "რაც შეიძლება ჩქარა მინდა "ბარსელონაში" დაბრუნება და მწყობრში ჩადგომა. ამის გამო ძალიან ვღელავ და ფსიქოლოგიურად ლამის გადავიწვი", - განაცხადა მესიმ.

# მალტა უკან დარჩა, წინ ლიტვა და სერბეთია

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის 2007 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო შეხვედრაშიც უპრობლემოდ და დამაჯერებლად იმარჯვა. ეს ახალი მთავარი მწვრთნელის, გარმანელი რალფ მინგეს ხელმძღვანელობით ჩატარებული მეორე შეხვედრაა და ორივეში საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს დარჩა გამარჯვება. ჩვენი გუნდი ევროპის ჩემპიონატის დასკვნით შესარჩევ ეტაპზე გავიდა, სადაც სამგუნდიან ქვეჯგუფში იასპარეზებს.

ამ გუნდების ორი კვირის წინანდელ მატჩში შედგა რალფ მინგეს ოფიციალური დებიუტი ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე. მძიმე და საკმაოდ უხეშ ორთაბრძოლაში საქართველოს 21 წლამდელებმა დიდი მონდომებით ითამაშეს და 2:1 გაიმარჯვეს. ეს წარმატება შემდგომ საკვალიფიკაციო ეტაპზე გასვლის თითქმის ასპროცენტიან შანსს იძლეოდა. მინგე კმაყოფილი იყო გუნდის თამაშით და შედეგით. მან განსაკუთრებით საქართველოს ნაკრებისა და კიევის "არსენალის" საყრდენი ნახევარმცველი ჯაბა კანკავა გამოარჩია.

კანკავა გუშინდელ მატჩშიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში. გუნდის კაპიტანმა პირველივე წუთებიდან აიყოლია თანაგუნდელები და მე-7 წუთზე სტუმართა კართან პირველი საგოლე მომენტი შეიქმნა: კანკავას ჩაწოდების შემდეგ ჭელიძე ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა, მაგრამ დარტყმა არ გამოუვიდა. მალტელებმა ბურთი კუთხურზე მოიგერიეს. რამდენიმე წუთში ჩვენი გუნდის კაპიტანმა კიდევ ერთხელ სახიფათოდ ჩააწოდა მეტოქის საჯარიმოში, მაგრამ ამჯერად ოთარ მარცვალაძე ბურთს ვერ შეწვდა.

პირველი გოლი სტანდარტული სიტუაციის გათამაშების შემდეგ გავიდა: ფიფიამ მეტოქის საჯარიმოში ჩააწოდა, ბურთს კანკავა შესწვდა და ძლიერად დაარტყა. მცველებმა მოიგერიეს, დამატებაზე კი ხუბუტიამ ყველას დაასწრო და ანგარიში გახსნა. 44-ე წუთზე მოედანზე ჩხუბი ატყდა და მსაჯმა მიფსუდთან ერთად მოსკოვის ლოკომოტიველი ღვინიანიძეც გააძევა მოედნიდან. ეს ძალზე სამწუხაროა, რადგან დასკვნით საკავალიფიკაციუო ეტაპზე ღვინიანიძეს ერთი მატჩის გამოტოვება მოუწევს.

თამაშის მეორე ნახევარიც, პირველის მსგავსად, საქართველოს ნაკრების სრული უპირატესობით წარიმართა. განსაკუთრებით აქტიურობდა კიევის დინამოელი ოთარ მარცვალაძე. ამ ნიჭიერმა ფეხბურთელმა მალტაში "დუბლით" გამოიჩინა თავი და არც ამჯერად სურდა მოედნის უგოლოდ დატოვება. ამის შესაძლებლობა მას ჯერ კიდევ პირველ ტაიმში მიეცა, როცა მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ გოლის გატანა ვერ შეძლო. 51-ე და 53-ე წუთებზეც ორი სოლორეიდი განახორციელა, მეტოქის სამ-სამი ფეხბურთელი დრიბლინგით მოატყუა, მაგრამ ორჯერვე მისი დარტყმული მეკარემ მოიგერია. თუმცა, ეს მეორე გოლის ერთგვარი პრელუდია აღმოჩნდა: მე-60 წუთზე მარცვალაძე სტუმრებმა საკუთარ საჯარიმოში აკრძალული ხერხით შეაჩერეს და მსაჯმა პენალტი დანიშნა. ჭელიძემ ორამდე გაზარდა ანგარიში.

ერთადერთი, რაც სტუმრებმა მოახერხეს, მატჩის მიწურულს ფლაზონის მიერ გატანილი პრესტიჟის გოლია. ფლაზონმა ჩვენი დაცვის უყურადღებობით ისარგებლა.

საქართველოს ნაკრებმა 2:1 გაიმარჯვა და სამგუნდიან ქვეჯგუფში გადაინაცვლა. ამჯერად ჩვენი ახალგაზრდულის მეტოქეები იქნებიან სერებთისა და ლიტვის 21 წლამდელთა ნაკრები გუნდები. ლიტვის ნაკრებს თბილისში ვუმასპინძლებთ, სერბებთან კი გასვლითი მატჩი გველის. ჯგუფში პირველი ადგილის დაკავების შემთხვევაში ჩვენი გუნდი ფინალურ ეტაპზე მოხვდება.

**26 აპრილი, ზესტაფონის ცენტრალური სტადიონი**
**საქართველო (ახალგაზრდული) - მალტა (ახალგაზრდული)**
**2:1 (1:0)**

**საქართველო**: რევიშვილი, სეთურიძე, ღვინიანიძე, ხუბუტია, ფოფხაძე (ნავალოვსკი, 61`), კანკავა (კაპ.), განუგრავა, ფიფია, ჭელიძე, მარცვალაძე (გეწაძე, 71`), გელაშვილი (მერებაშვილი, 67`).

**მთავარი მწვრთნელი** რალფ მინგე.

**მალტა**: ჰოგი, მუსკატი (კაპ.), ფაილა (გერა, 85`), აგიესი, მეფსუდი, კარვანა (აგიუსი, 61`), კანმეჩელი, ფენეჩი, ზამიტი (ბარტოლო, 79`), ფრენდო, ფლაზონი.

**მთავარი მწვრთნელი** მარკ მილერი.

**გოლები**: 1:0 ხუბუტია 41`, 2:0 ჭელიძე 60` (პენ.), 2:1 ფლაზონი 78`.

**გაფრთხილება**: აგიესი, ფოფხაძე, კამენზელი, მუსკატი

**გაძევება**: მიფსული (44`), ღვინიანიძე 44`).

**მთავარი მსაჯი**: ვ. ბანარი (მოლდოვა).

# რაიმონ დომენეკი: "მე და ჩემი გუნდი"

2 სექტემბერს საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩში საფრანგეთს უმასპინძლებს. ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება ინტერვიუ საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელ რაიმონ დომენეკთან. ინტერვიუ მსოფლიო ჩემპიონატისთვის გუნდის მზადებას ეძღვნება.



**- მუსიე დომენეკ, როგორი განწყობით გაიღვიძეთ იმ დილას, როცა საფრანგეთის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპონატის საგზური მოიპოვა?**

- ჩაფიქრებულმა გავიღვიძე და აბაზანაში არ შევვარდნილვარ გამარჯვების ჰიმნის სიმღერით. რაც იყო, იყო...

**- საოცარია, მაგრამ კვიპროსთან გამარჯვების შემდეგ არც ფეხბურთელებს გამოუხატავთ მინდორზე სიხარული და პირდაპირ გასახდელისკენ გასწიეს. არადა, ამ წარმატებამ მათ მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მოუტანა. იქნებ თქვენ მიეცით მათ რაიმე დავალება ასე მოქცეულიყვნენ?**

- ამ სიტუაციაში სხვა რამ მეწყინა: ის, რომ არავინ დარჩა მინდორზე, რათა მადლობა გადაეხადა იმ ქომაგისთვის, რომელიც გუნდს მთელი ციკლის განმავლობაში გულშემატკივრობდა. ეს არ მესმის იმ მხრივაც, რომ არავინ დარბოდა მინდორზე თვალცრემლიანი... იცით, საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელები ნამდვილი პროფესიონალები არიან. მათ კარგად ესმით, რომ ისეთი გუნდები, როგორიცაა კვიპროსი და, ვთქვათ, შვეიცარია, პოტენციურად მათზე სუსტები არიან და თუ მათ ვერ ვუგებთ, უფრო ჩვენი ბრალია, ვიდრე მეტოქის დამსახურება. საკვალიფიკაციო ეტაპი ბევრად უფრო ნაკლები ძალისხმევით უნდა დაგვეძლია. ახლა კი ანალიზისთვის საკმარისი დრო გვრჩება. გერმანიაში აბსოლუტურად სხვა ტურნირი იქნება და უკვე ახლა ვგრძნობ მძლავრ პრესს მედიისა და საზოგადოების მხრიდან, რომელიც დროთა განმავლობაში მხოლოდ გამძაფრდება. ჩვენ უკვე გვახსენებენ, რომ მსოფლიო ჩემპიონები ვიყავით და რატომ არ შეიძლება იგივე წარმატება გერმანიაშიც გავიმეოროთ?

**- მაშინ ჩემპიონატი შინაურ კედლებში მოვიგეთ და არც რაიმონ დომენეკი ყოფილა მთავარი მწვრთნელი...**

- მე შემიძლია თქვენი აზრი განვავრცო. გუნდი სხვა იყო, არც ზიდანია ის, რაც იყო, მაგრამ ეს ხომ არაკონსტრუქციული საუბარი იქნება? შედეგს ნებისმიერ შემთხვევაში მოგვთხოვენ. პირიქით, ძალიან გამიკვირდებოდა, თუ საზოგადოება გულხელდაკრეფილი მიადევნებდა თვალყურს იმას, თუ როგორ ემზადება ქვეყნის ეროვნული ნაკრები გერმანიაში მსოფლიო პირველობაზე გასამგზავრებლად. ჩვენს პრესას დღესვე მიაჩნია, რომ გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტია და ამას ვერსად გავექცევით.

**- თქვენ გინდათ გაექცეთ?**

- სიტყვებზე ნუ გამომეკიდებით! შედარებით უმტკივნეულოდ პროგნოზირება შეიძლება ტოტალიზატორში. თუ არასწორად დადებ ფსონს, დიდ მორალურ და ფინანსურ სასჯელს ასცდები, მაგრამ ეს მხოლოდ ტოტალიზატორებში ხდება. აქ კი პროგნოზირება უმადური საქმეა. მაგალითად, ნაკრებისგან იგივე სასწაულს მოელოდნენ ოთხი წლის წინათაც, მაგრამ ამ საქმიდან რაც გამოვიდა, ხომ გახსოვთ?

**- შინაგანად მზად ხართ თუ არა შეხვდეთ იმ პრობლემებს, რომლებიც თქვენს გუნდს შეიძლება შეემთხვას?**

- უკვე დავძლიე ბევრი ისეთი წინაღობა, რომლებზეც ადრე არ ვფიქრობდი. მე ასეთი ტურნირების დებიუტანტი გახლავართ და იქ რა მელის, ამაზე შემიძლია მხოლოდ ვიმარჩიელო. ჩემს აზრს დაჟინებით არასოდეს დავიცავ, თუ ვიცი, რომ მართალი არ ვარ. მზად ვარ იმ პირობებში ვიმუშაო, რომლებიც მაქვს და იმდენ ხანს, რამდენიც საჭირო იქნება.

**- ეროვნული ნაკრები 2004 წლის ივლისში ჩაიბარეთ. რომელი დღეები იყო თქვენთვის ყველაზე რთული?**

- აბსოლუტურად ყველა. ხშირად უფრო იმ დროს ვიტანჯები და ეჭვები მღრღნის, როცა მატჩები არ გვაქვს. არც ამხანაგური, არც ოფიციალური. უცებ ტელეკამერა სადღაც სტადიონზე გაღიმებულს დამაფიქსირებს და მერე ჟურნალისტები მეკითხებიან: ასე ძალიან რა გიხაროდა? ასე რომ, თანდათან მივეჩვიე იმას, რომ როცა სტადიონზე ვარ, ყოველი შემთხვევისთვის ბლოკნოტი თან ვიქონიო (იცინის).

**- მთავარი მწვრთნელის პოსტზე ბევრი შეცდომა დაუშვით?**

- უამრავი. მაგრამ არ ვნანობ. ისინი ჩემი მოქმედებით გამოვასწორე. მთავარია ეს შეცდომები არ გამეორდეს. ყოველთვის, როცა ამა თუ იმ ჩიხურ მდგომარეობას გადავაფასებ, ვხვდები, რომ მართლები ვიყავით მე და ჩემი გუნდი.

**- მთავარ მწვრთნელებს უყვართ თქმა - ნაკრების კარი ყველასთვის ღიაა. თან უკვე აკვიატებული შემადგენლობა უტრიალებთ თავში. თქვენც ღიად ტოვებთ კარს?**

- მე კარს ღიას ვტოვებ, მაგრამ შემადგენლობაც თავში მიტრიალებს. სხვანაირად როგორ? ფეხბურთელები არ არიან ტრავმებისა და ცხოვრებისეული პრობლემებისგან დაზღვეულნი, რომელთა გამო შეიძლება მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ გაემგზავრონ. სხვათა შორის, თუ მეასედ მკითხავთ, მოიძებნება თუ არა ნაკრებში ნიკოლა ანელკას ადგილი, გიპასუხებთ: ნაკრების კარი ყველასთვის ღია რჩება.

**- ჩემპიონატისთვის მზადების სპეციალური გეგმა გაქვთ?**

- ის საოცრად უბრალოა. როგორც კი ჩემს განკარგულებაში ყველა ფეხბურთელი მოიყრის თავს, ჩვენ მზადების დასკვნით ეტაპს დავიწყებთ. დანარჩენ დროს ფეხბურთელები კლუბებში ემზადებიან. ხშირად მეკითხებიან მზადების ჩემეულ მეთოდზე. ასეთი რამ არ არსებობს. თუ სიტუაცია მოითხოვს, მზადების გეგმას თვითონ ვეხამები და არ ვცდილობ გამოვიგონო რაიმე რევოლუციური. ჩემი გამოცდილება მკარნახობს, რომ რთულს მუდამ მარტივით უნდა მიუდგე. თუ გნებავთ, შეგიძლიათ ეს ჩემს მეთოდად და მთავარ საიდუმლოდ მიიჩნიოთ.

მოკლედ

## კაფუმ კონტრაქტი განაახლა

"მილანის" ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ კონტრაქტი განაახლა კლუბის ბრაზილიელ მცველ მარკოს კაფუსთან. ვარაუდობდნენ, რომ 36 წლის ფეხბურთელი "სან სიროს" წელს დატოვებდა და საფეხბურთო კარიერას ბრაზილიელი დაასრულებდა. თუმცა, კაფუ მილანში, სულ მცირე, მომავალი წლის ივნისამდე დარჩება. კაფუ "მილნაში" 2003 წელს თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა. მანამდე ფეხბურთელი ექვსი სეზონის განმავლობაში "რომას" ღირსებას იცავდა.

## ადრიანო სჯობს თუ რონალდო და კასანო?

მადრიდის "რეალი" აპირებს მილანის "ინტერს" რონალდო და კასანო მისცეს ფორვარდ ადრიანოს სანაცვლოდ. იტალიური პრესა იტყობინება, რომ ესპანელები ორ ფორვარდსაც კი შესწირავენ ადრიანოს სანაცვლოდ. წლევანდელი სეზონი ადრიანოსთვის წარუმატებელი გამოდგა. ის ვარაუდობდა, რომ შესაძლო იყო სეზონის ბოლოს სამუშაო ადგილი შეეცვალა.

მოარული ხმების თანახმად, "რეალი" მზად არის ადრიანოს სანაცვლოდ 25 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადოს. თუმცა ჯერჯერობით უცნობია, როგორ შეიძლება განხორციელდეს ეს ტრანსფერი. სწორედ რონალდო და კასანო შეადგენენ იმ 25 მილიონს, რომელსაც მილანელები ადრიანოს სანაცვლოდ ითხოვენ, მაგრამ "ინტერს" ფეხბურთელებზე უფრო ფული სჭირდებათ, რათა "პალერმოს" ფორვარდის ანდრეა კარაჩიოლოს შეძენა მოახერხონ.

## ჩვენ არავისი არ გვეშინია!

"მანჩესტერ იუნაიტედისა" და ინგლისის ნაკრების ფორვარდ უეინ რუნის მიაჩნია, რომ მის გუნდს მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე არავისი არ უნდა ეშინოდეს. "ამჟამად შესანიშნავი შემადგენლობა გვყავს. შეიძლება საუკეთესოც კი 1966 წლის შემდეგ. ახალგაზრდობა დიდ გამოცდილებას ერწყმის. ნაკრებში ბევრი გამარჯვებული ფსიქოლოგიის ფეხბრუთელია, რომლებსაც შეუძლიათ ნებისმიერი გუნდის ჟინი და ბრძოლისუნარიანობა აამაღლონ. მსოფლიო ჩემპიონატს მოუთმენლად ველი. ახლავე სიამოვნებით გავემგზავრებოდი გერმანიაში", - განაცხადა უეინ რუნიმ.

## კაკა "ბარსას" წინააღმდეგ ითამაშებს

"მილანის" ბრაზილიელი ნახევარმცველი კაკა ტრავმის შემდეგ თანდათან მწყობრში დგება და, სავარაუდოდ, ითამაშებს "ბარსელონას" წინააღმდეგ. აღდგენითი პროცესი ბევრად უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე ექიმები ელოდნენ. ამიტომ კაკას "ნოუ-კამპზე" გამოჩენა სულ უფრო სავარაუდო ხდება.

ჩოგბურთი

# რა გენდერული, რის გენდერული...

*ბრიტანელები ტრადიციას ტრადიციულად არ ღალატობენ, მით უმეტეს, ისეთ ტრადიციულ საჩოგბურთო ტურნირზე, რომელიც უიმბლდონად იწოდება. ფაქტია, უიმბლდონი დიდი სლემის ერთადერთ ტურნირად რჩება, რომელიც საპრიზო ფონდს კვლავაც არათანაბრად ყოფს ვაჟ და ქალ ჩოგბურთელთა შორის. ერთი სიტყვით, უიმბლდონისთვის გენდერული თანასწორობა არ არსებობს.*




*ვინუს უილიამსი უიმბლდონისგან თანასწორობას ითხოვს.*

ინგლისის კლუბმა გამოაქვეყნა 2006 წლის უიმბლდონის გათამაშების საპრიზო ფონდის მონაცემები: ვაჟთა გათამაშებაში გამარჯვებული მიიღებს 655 ათას ფუნტ სტერლინგს, ქალი გამარჯვებულისთვის კი გათვალისწინებულია 625 ათასი.

საგულისხმოა საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ორგანიზატორთა განცხადება, რომლის მიხედვით ვაჟები და ქალები "როლან გაროსის" საპრიზო ფონდს თანაბრად გაიყოფენ. რაც შეეხება დანარჩენ ორ უმსხვილეს ტურნირს - ავსტრალიისა და აშშ-ის ღია ჩემპიონატებს, აქ საკმაო ხანია "საპრიზო თანასწორობაა" დამყარებული.

უიმბლდონის ტურნირის საერთო საპრიზო ფონდის მოცულობა აჭარბებს 10 მილიონ ფუნტ სტერლინგს, რაც შარშანდელ საპრიზოზე 4 პროცენტით მეტია.

2005 წლის გათამაშების ჩემპიონმა ვინუს უილიამსმა ამის გამო უკმაყოფილებაც გამოთქვა - ტურნირის ორგანიზატორებმა წლეულსაც არათანაბრად გაყვეს საპრიზო ფონდი. ამასთან, შესაძლოა, უიმბლდონის ტურნირს, ჩოგბურთელთა მხრიდან ერთგვარი საპასუხო ქმედება მოყვესო.

"გვსურს, ვაჟების თანასწორად აღგვიქვან. საუბარია არა მხოლოდ ქალთა ჩოგბურთზე, არამედ ზოგადად ქალებზე, - ბიბი-სისთან ინტერვიუში უკმაყოფილებს გამოხატავს ვინუს უილიამსი, - ჩვენ კვლავაც გავაგრძელებთ საკუთარი უფლებების დაცვას. არ გვინდა, ჩოგბურთის გულშემატკივრებს ქალთა ჩოგბურთი წავართვათ. ერთადერთი, რაც გვსურს, ისაა, რომ საკითხთან დაკავშირებით აქტიურად გამოვხატოთ საკუთარი პოზიცია".

თავის მხრივ, მსოფლიო საჩოგბურთო ასოციაციაც საკმაო ხანია უიმბლდონის ტურნირის ორგანიზატორებს ადანაშაულებს - საპრიზო ფონდთან დაკავშირებით "ვიქტორიანულ შეხედულებებს" ვერ ელევიანო.

ჩოგბურთის ასოციაციის ხელმძღვანელის ლარი სკოტის სიტყვებით, "მაშინ, როდესაც დიდი სლემის ერთ-ერთი ტურნირის საპრიზო ფონდის მეტი წილი ვაჟებს გადაეცემათ, 21-ე საუკუნეში ასეთი სიტუაციის მორალურად გამართლება წარმოუდგენელი ხდება".

ინგლისის საჩოგბურთო კლუბის თავმჯდომარე ტიმ ფილიპსი უიმბლდონელთა გადაწყვეტილებას მაინც გამართლებულად მიიჩნევს.

"საუბარია სამართლიანობაზე. გვჯერა, რომ ამგვარი გადაწყვეტილება გამართლებულია როგორც ვაჟების, ისე ქალების მიმართ. ჩვენ ბაზარზე შექმნილი ვითარებით ვმოქმედებთ".

# ქალაქ თელავის გამგეობა აცხადებს ტენდერს

**შემდეგი სამუშაოების შესყიდვაზე:**

1. ქ.თელავში ალაზნის პროსპექტზე, ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე 4410 კვ.მ.-ზე ახალი ასფალტის საფარის დაგებაზე;

2. ალმაშენებლის მე-2 შესახვევში 1900 კვ.მ.-ზე ახალი ასფალტის დაგებაზე და სანიაღვრე კოლექტორის მოწყობაზეl

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს.

**იურიდიული პირთათვის:**

1 ცნობა, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილე პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წრმოება ( ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს, სასამართლოდან ან საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრააციის ადგილის მიხედვით).

2. ცნობა შესყიდვაში მონაწილოების მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ. (ცნობა გაცემული უნდა იქნეს საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ).

3. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

4. ცნობა საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის.

**ფიზიკური პირისთვის:**

1. ცნობა. შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ. ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

2. ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდ იყოს რაიონული სასამართლოდან).

3. ცნობა საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯვრდებულები და მოცემულ მომინტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის.

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისთვის**:

1. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი. ტელეფონის ნომერი, ფაქსი. საბანკო რეკვიზიტები);

2. ცნობა მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

3. ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

4. ინფორმაცია შესაბამისი მატერიალური-ტექნიკური ბაზის შესახებ. (აუდიტის დასკვნა);

5. ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესხებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);

6, სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეუძლიათ 2006 წლის 18 მაისს დღის 2 საათამდე ქალაქ თელავის გამგეობოს ანგარიშზე 200(ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ მისამართზე: ქ, თელავი, ერეკლე II- ის გამზი N6.

სატენდერო მოსაკრებლის საბანკო რეკვიზიტებია: თელავის საგადასახადო ინსპექცია ა/ა 200122900, ეროვნული ბანკის კოდი 220101107, სახაზინო კოდი 300513133, აუცილებლად უნდა მიეთითოს ქ. თელავის გამგეობა.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე არა უგვიანეს 2006 წლის 17 მაისის 11 საათისა შემდეგ მისამართზე: ქ. თელავი, ერეკლე II გამზ. N6, II სართული.

დამატებითი ცნობების მისაღებად მიმართეთ ქ. თელავის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს ნუგზარ ბაჩიაშვილს ტელეფონის შემდეგ ნომრებზე: 7-23-24, 899 74-11-55.

# ქალაქ თელავის გამგეობა აცხადებს ტენდერს

**შემდეგი სამუშაოების შესყიდვაზე:**

ქ.თელავში ერეკლე II-ის გამზირზე 2000 კვ.მ ტროტუარზე ბეტონის ფილების დაგების სამუშაოების ჩატარებაზე.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს.

**იურიდიული პირთათვის:**

1 ცნობა, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილე პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წრმოება ( ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს, სასამართლოდან ან საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრააციის ადგილის მიხედვით).

2. ცნობა შესყიდვაში მონაწილოების მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა გაცემული უნდა იქნეს საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ).

3. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

4. ცნობა საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის.

**ფიზიკური პირისთვის:**

1. ცნობა. შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ. ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

2. ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდ იყოს რაიონული სასამართლოდან).

3. ცნობა საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯვრდებულები და მოცემულ მომინტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის.

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისთვის**:

1. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი. ტელეფონის ნომერი, ფაქსი. საბანკო რეკვიზიტები);

2. ცნობა მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

3. ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

4. ინფორმაცია შესაბამისი მატერიალური-ტექნიკური ბაზის შესახებ. (აუდიტის დასკვნა);

5. ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);

6, სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეუძლიათ 2006 წლის 18 მაისის დღის 2 საათამდე ქალაქ თელავის გამგეობოს ანგარიშზე 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ მისამართზე: ქ, თელავი, ერეკლე II- ის გამზ N6.

სატენდერო მოსაკრებლის საბანკო რეკვიზიტებია: თელავის საგადასახადო ინსპექცია ა/ა 200122900, ეროვნული ბანკის კოდი 220101107, სახაზინო კოდი 300513133, აუცილებლად უნდა მიეთითოს ქ. თელავის გამგეობა.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე არა უგვიანეს 2006 წლის 17 მაისის 13 საათისა შემდეგ მისამართზე: ქ. თელავი, ერეკლე II გამზ. N6, II სართული.

დამატებითი ცნობების მისაღებად მიმართეთ ქ. თელავის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს ნუგზარ ბაჩიაშვილს ტელეფონის შემდეგ ნომრებზე: 7-23-24, 899 74-11-55.

# ქალაქ თელავის გამგეობა აცხადებს ტენდერს

**შემდეგი სამუშაოების შესყიდვაზე:**

ქალაქ თელავში რუსთაველის პროსპექტზე მდებარე N86 ,90, 102, 104, 106, 108, 110,116, 118 საცხოვრებელი ბინების შელესვისა და შეღებვის სამუშაოების ჩატარებაზე.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს.

**იურიდიული პირთათვის:**

1 ცნობა, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილე პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წრმოება ( ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს, სასამართლოდან ან საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრააციის ადგილის მიხედვით).

2. ცნობა შესყიდვაში მონაწილოების მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა გაცემული უნდა იქნეს საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ).

3. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

4. ცნობა საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის.

**ფიზიკური პირისთვის:**

1. ცნობა. შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ. ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

2. ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდ იყოს რაიონული სასამართლოდან).

3. ცნობა საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯვრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის.

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისთვის**:

1. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი. ტელეფონის ნომერი, ფაქსი. საბანკო რეკვიზიტები);

2. ცნობა მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

3. ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

4. ინფორმაცია შესაბამისი მატერიალური-ტექნიკური ბაზის შესახებ. (აუდიტის დასკვნა);

5. ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესხებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);

6, სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეუძლიათ 2006 წლის 18 მაისის დღის 2 საათამდე ქალაქ თელავის გამგეობოს ანგარიშზე 200(ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ მისამართზე: ქ, თელავი, ერეკლე II- ის გამზი N6.

სატენდერო მოსაკრებლის საბანკო რეკვიზიტებია: თელავის საგადასახადო ინსპექცია ა/ა 200122900, ეროვნული ბანკის კოდი 220101107, სახაზინო კოდი 300513133, აუცილებლად უნდა მიეთითოს ქ. თელავის გამგეობა.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე არა უგვიანეს 2006 წლის 17 მაისის 12 საათისა შემდეგ მისამართზე: ქ. თელავი, ერეკლე II გამზ. N6, II სართული.

დამატებითი ცნობების მისაღებად მიმართეთ ქ. თელავის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს ნუგზარ ბაჩიაშვილს ტელეფონის შემდეგ ნომრებზე: 7-23-24, 899 74-11-55.

# შპს „საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესასრულებლად

1) შპს "საქართველოს რკინიგზა" (ქ. თბილისი, 0112 თამარ მეფის გამზ. 15 ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ანგარიშის №3407003205, კოდი 220101757), აცხადებს ღია ტენდერს 6 ლოტად სამშენებლო სამონტაჟო და სარემონტო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს (საქართველოს ან უცხო ქვეყნის იურიდიული ან/და ფიზიკური პირი).

**ლოტი N1** - ფონიჭალის სადგურის საკონტაქტო ქსელის კაპიტალური შეკეთება.

**ლოტი N2** - სკრა- გორის გადასარბენის საკონტაქტო ქსელის მოდერნიზაცია (1 ეტაპი).

**ლოტი N3** - სადგურ შულავერის საკონტაქტო ქსელის რეკონსტრუქცია (1 ეტაპი).

**ლოტი N4** - სადგურ ხაშურში სამგზავრო მატარებლების სალოკომოტივო ბრიგადების დასასვენებელი ოთახების სანიტარული კვანძისა და დერეფნის კაპრემონტი.

**ლოტი N5** - სადგურ გრაკალის სამორიგეოს და მოსაცდელი დარბაზის კაპიტალური შეკეთება.

**ლოტი N6** - სარკინიგზო ხიდი მდინარე რიონზე ბათუმის ხაზის კმ 99 + პკ 9 + 10,95 დეფექტური ქმანი № 1; 2; 3; 8; 9; ბურჯების ტანის მონტაჟი, № 4; 5; 6; 7; ბურჯების ფუნდამენტებისათვის ბურღვანატანი ხიმინჯების მოწყობა.

1) სამუშაოს შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

2) დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, პრეტენდენტის მიერ სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდეგ, რეკვიზიტებზე ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ანგარიშის №3407003205, კოდი 220101757. პრეტენდენტს გადეაეცემა სატენდერო დოკუმენტაცია, რომელშეც დაწვრილებით იქნება გადმოცემული ობიექტის მახასიათებლები, ტექნიკური მაჩვენებლები და ნახაზები და ა.შ., ასევე ძირითადი მოთხოვნები პრეტენდენტების მიმართ.

3) დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (პრეტენდენტებთან ტექნიკური მაჩვენებლების და სხვა მონაცემების დაზუსტების მიზნით), ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის 22 და 23 მაისს $9^{00}$ საათადან $18^{00}$ საათამდე , ორ ეგზემპლარად, შემდეგ მისამართზე: შპს "საქართველოს რკინიგზა", ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო. სატენდერო წინადადებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა დასაშვებია სხვა ენაზეც, იმ პირობით თუ თან დართული ექნება სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.

საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება მოხდება საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი იურიდიული ან/და ფიზიკური პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით, აგრეთვე ტექნიკური მაჩვენებლების და სხვა მონაცემების დაზუსტების შემდეგ მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან.

4) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 ცნობები:

4.1.1 იურიდიული პირისათვის;

ა) ნოტარიულად დამოწმებული სარეგისტრაციო დოკუმენტები და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობას სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობას სასამართლოდან რომ მის მიართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

გ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

დ) ხელმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

4.1.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ რომ მის მიართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

ბ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

4.1.3. როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ინფორმაცია სამუშაოების განსახორციელებლად საჭირო ძირითადი მანქანა
- მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებების და მოწყობილობა-დანადგარების შესახებ.
- ინფორმაცია უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოების შესახებ, მათ შორის რკინიგზის ობიექტებზე შესრულებული სამუშაოების შესახებ
- ბოლო 5 წლის ფინანსური ანგარიშები (ბალანსები,აუდიტორიული დასკვნები და ა.შ.)
- ინფორმაცია საფინანსო რესურსების შესახებ.

სატენდერო წინადადებასა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის სახით სატენდერო წინადადების 1%-იანი საბანკო გარანტია.

დამატებითი ინფორმაცია შეიძლება მიიღოთ შპს "საქართველოს რკინიგზაში" ქ. თბილისი, 0112 თამარ მეფის გამზ. 15 მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში. საკონტაქტო ტელეფონები 563351.

**სატენდერო კომისია.**

# მოწვევა ტენდერზე

გერმანიის ფინანსური თანამშრომლობა საქართველოსთან

**ელექტროგადამცემი ქსელების რეაბილიტაციის პროგრამა II**

**შუშის იზოლატორების შეძენა**

კრედიტის No: BMZ No.2000 65 334
მოწვევის No: T-0406-K-0181

1. საქართველოს მთავრობამ რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკისაგან (KfW) მიილო კრედიტი "ელექტროგადამცემი ქსელების რეაბილიტაციის პროგრამა II"-ის დასაფინანსებლად. ამ კრედიტის ნაწილი გამოყენებული იქნება შუშის იზოლატორების შესაძენად.

2. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა (სსე) კონკურსში იწვევს უფლებამოსილ მონაწილეებს, რათა მათ წარმოადგინონ სატენდერო წინადადებები (შემოთავაზებები) შუშის იზოლატორების მოწოდებაზე, შ.პ.ს. "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" ინფრასტრუქტურაში გამოსაყენებლად.

3. სატენდერო წინადადებების შეფასების კრიტერიუმები იქნება: წინადადებების შესაბამისობა მოთხოვნილ ტექნიკურ სპეციფიკაციებთან და უმცირესი ფასი.

4. დაინტერესებულ უფლებამოსილ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია და გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას ქვემოთ მითითებულ მისამართზე **$09^{00}$ დან $18^{00}$ საათამდე**, სამუშაო დღეებში.

მონაწილეებს დუკუმენტაცია გაეგზავნებათ კურიერული ფოსტის საშუალებით. დაინტერესებულ მონაწილეებს ელექტრონული ვერსიის მიღება შეუძლიათ ელექტრონული ფოსტით.

5. სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე არაუგვიანეს **2006 წლის 1 ივნისის $15^{00}$სთ-მდე** ადგილობრივი დროით. დაგვიანებით შემოსული წინადადებები არ მიიღება. საკონკურსო წინადადებების კონვერტების გახსნა მოხდება ქვემოთ მოყვანილ მისამართზე **2006 წლის 1 ივნისს, $15^{00}$ სთ-ზე ადგილობრივი დროით** ტენდერში მონაწილეთა წარმომადგენლების თანდასწრებით, თუ ისინი გამოხატავენ სურვილს დაესწრონ ამ ღონისძიებას.

შ.პ.ს. "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"
იოჰან სვონი,
გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის აღმასრულებელი დირექტორი

**საქართველო, თბილისი 0105**
**ბარათაშვილის ქ. N2, მე-4 სართული**
**მობ. ტელ: + 995 99 427 402 (თბილისი)**
**ტელ/ფაქსი: + 995 32 201 700 - 1149**
**E-mail: johan.swan@gse.com.ge**

# საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისიის განცხადება

1.საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს ღია ტენდერს კორპორატიული ქსელის მომსახურებასა და რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ქვემოთ მოცემული სპეციფიკაციების შესაბამისად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

| ლოტის N | პროდუქტის დასახელება |
|---|---|
| 1 | ეროვნული ბანკის ადმინისტრაციული (მისამართი - ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5) და „ბ" კორპუსის (მისამართი – ქ. თბილისის, დადიანის 2) შენობების ინტერნეტის საკომუნიკაციო სერვისის უზრუნველყოფა |
| 2 | საკომუნიკაციო სერვისის უზრუნველყოფა ეროვნული ბანკის რეგიონალური ფილიალების შენობებს და ცენტრალური ოფისის ადმინისტრაციული და „ბ" კორპუსის შენობებს შორის, რომელიც ითვალისწინებს: ფილიალების მიერთებას ცენტრალური ოფისის ადმინისტრაციულ და „ბ" კორპუსის შენობებთან სინქრონული ხაზების საშუალებით, შემდეგი გამტარობით:<br>• გორი – 128 კბ, (ინდექსი - 1400, მისამართი - ერთობის ქ. N 2);<br>• ქუთაისი – 256 კბ, (ინდექსი – 4600 , მისამართი – პუშკინის ქ. N12);<br>• ფოთი – 128 კბ (ინდექსი – 4400, მისამართი – დიმიტრი თავდადებულის ქ. N 4);<br>• ზუგდიდი – 128 კბ (ინდექსი – 2100, მისამართი – გამარჯვების ქ. N4);<br>• ბათუმი – 256 კბ (ინდექსი 6000, მისამართი – მ. აბაშიძის ქ. N25);<br>• ახალციხე – 128 კბ (ინდექსი – 0800, მისამართი – მ. იაძის ქ. N6);<br>• გურჯაანი – 128 კბ (ინდექსი – 1500 , მისამართი – თავისუფლების ქ. N 8); |

3.დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე არა უგვიანეს 15 კალენდარული დღისა. (ვადაში ითვლება განცხადების გამოქვეყნების თარიღი) სებ-ის კანცელარიაში 17.00 სთ-მდე სათანადო რეგისტრაციის გავლით, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი. ლეონიძის ქ.3/5. სატენდერო კომისიის აპარატი. ტელ: 44-24-02, შიდა ტელ. 4-02;

4.დაინტერესებულ პირთა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებს და ინფორმაციებს რომ:

**იურიდიული პირისთვის:**

ა) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ბ) ტენდერის დაწყების მომენტისთვის მისი ხელმძღვანელის (ფიზიკური პირის) მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

**ფიზიური პირისთვის:**

ა) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);

**როგორც იურიდიული ისე ფიზიკური პირისთვის:**

ა) რეკვიზიტები: (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ)წარდგინების წერილი (საკვალიფიკაციო მონაცემთა ნუსხაში შემავალი დოკუმენტაციის ჩამონათვალით და გვერდების მითითებით);

(უცხო ქვეყნის წარმომადგენლებმა ზემოაღნიშნული დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ ქვეყნის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებიდან, რომლებიც გასცემენ აღნიშნულ ცნობებს);

5.მე-4 პუნქტში განსაზღვრული დოკუმენტაცია უნდა იქნეს წარმოდგენილი ორიგინალების სახით. ორიგინალის წარმოდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში აღნიშნული დოკუმენტები დამოწმებულ უნდა იქნეს სათანადო წესით;

6.იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკავალიფიკაციო მონაცემებს თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება;

7.სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ სებ-ის სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტად აღიარებული ის პირები, რომლებიც აღიარებიდან და შეტყობინებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში გადაიხდიან

სატენდერო მოსაკრებელს 200 (ორასი) ლარის ოდენობით, საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ #000904742 "შესყიდვებთან დაკავშირებით მიღებული სატენდერო მოსაკრებლის" სპეციალურ ანგარიშზე, ბანკის კოდი 220101107;

8.დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის აპარატის საქართველოს ეროვნული ბანკში. მის. ქ. თბილისი, ლეონიძის ქ.3/5, საფოსტო ინდექსი 0105, ოთახი #202, ტელ: 44-24-02, შიდა ტელ: 4-02;

ტენდერის პირობების შესახებ ინფორმაცია ასევე განთავსებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ინტერნეტ-გვერდზე (www.nbg.gov.ge).

**საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისია**

# საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისიის განცხადება

1.საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს ღია ტენდერს ავეჯის შესყიდვაზე და დამზადებაზე (ადგილობრივი მოწოდების შემთხვევაში) ან/და საშუამავლო მომსახურებაზე (CIP-თბილისის პირობით მოწოდების შემთხვევაში) ქვემოთ მოცემული სპეციფიკაციის მიხედვით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

საქონლის სრული ჩამონათვალი მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

2. მიწოდება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც CIP-თბილისის ასევე ადგილობრივი მოწოდების პირობით. მოწოდების ან/და მომსახურების გაწევის ვადები გათვალისწინებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

ტენდერი ცხადდება ორ ლოტად და მასში შესაძლებელია ორი გამარჯვებულის გამოვლენა.

| ლოტის ნომერი N | დასახელება | სავარაუდო რაოდენობა | მოწოდების ადგილი |
|---|---|---|---|
| 1 | მზა შესაძენი ავეჯი (სამეულები, სკამები, მაგიდები და სხვ.) | სებ-ის მოთხოვნის შესაბამისად. (მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში ) | საქ.ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. N3/5 ან/და CIP-თბილისის პირობით |
| 2 | ადილობრივად დასამზადებელი ავეჯი (კარადები) | სებ-ის მოთხოვნის შესაბამისად (მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5 |

3. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე არაუგვიანეს 15 კალენდარული დღისა. (ვადაში ითვლება განცხადების გამოქვეყნების თარიღი) სებ-ის კანცელარიაში 17.00 სთ-მდე სათანადო რეგისტრაციის გავლით, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი. ლეონიძის ქ.3/5. სატენდერო კომისიის აპარატი. ტელ: 44-24-02, შიდა ტელ. 4-02;

4. დაინტერესებულ პირთა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებს და ინფორმაციებს რომ:

**იურიდიული პირისთვის:**

ა) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ბ) ტენდერის დაწყების მომენტისთვის მისი ხელმძღვანელის (ფიზიკური პირის) მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

**ფიზიური პირისთვის:**

ა) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);

**როგორც იურიდიული ისე ფიზიკური პირისთვის:**

ა) რეკვიზიტები: (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ)წარდგინების წერილი (საკვალიფიკაციო მონაცემთა ნუსხაში შემავალი დოკუმენტაციის ჩამონათვალით და გვერდების მითითებით);

5. მე-4 პუნქტში განსაზღვრული დოკუმენტაცია უნდა იქნეს წარმოდგენილი ორიგინალების სახით. ორიგინალის წარმოდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში აღნიშნული დოკუმენტები დამოწმებულ უნდა იქნეს სათანადო წესით;

6. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკავალიფიკაციო მონაცემებს თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება;

7. სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ სებ-ის სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტად აღიარებული ის პირები, რომლებიც აღიარებიდან და შეტყობინებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს 200 (ორასი) ლარის ოდენობით, საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ #000904742 შესყიდვებთან დაკავშირებით მიღებული სატენდერო მოსაკრებლის" სპეციალურ ანგარიშზე, ბანკის კოდი 220101107;

8. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის აპარატის საქართველოს ეროვნული ბანკში. მის. ქ. თბილისი, ლეონიძის ქ.3/5, საფოსტო ინდექსი 0105, ოთახი #202, ტელ: 44-24-02, შიდა ტელ: 4-02;

ტენდერის პირობების შესახებ ინფორმაცია ასევე განთავსებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ინტერნეტ-გვერდზე (www.nbg.gov.ge).

**საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისია**




ბანკი "რესპუბლიკა"
*თარიღი 31/03/06*

## ბანკი რესპუბლიკა

RC **საბალანსო უწყისი 31.03. 2006 წლის მდგომარეობით**

ლარებში

| N | აქტივები | ლარი | უც. ვალუტა | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1 | ნაღდი ფული | 8,319,287 | 18,381,026 | 26,700,313 |
| 2 | ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 23,807,420 | 108,520 | 23,915,940 |
| 3 | ფულადი სახსრები სხვა ბანკებში | 3,048,273 | 12,102,417 | 15,150,690 |
| 4 | ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის | 0 | 0 | 0 |
| 5 | საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 990,819 | 0 | 990,819 |
| 6.1 | მთლიანი სესხები | 59,487,515 | 86,325,080 | 145,812,594 |
| 6.2 | მინუს: სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი | (3,987,414) | (4,710,993) | (8,698,407) |
| 6 | წმინდა სესხები | 55,500,100 | 81,614,086 | 137,114,187 |
| 7 | დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები | 859,071 | 2,187,084 | 3,046,155 |
| 8 | დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება | 0 | X | 0 |
| 9 | ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში | 4,488,656 | 0 | 4,488,656 |
| 10 | ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები | 19,580,326 | X | 19,580,326 |
| 11 | სხვა აქტივები | 3,810,184 | 665,932 | 4,476,116 |
| 12 | **მთლიანი აქტივები** | 120,404,136 | 115,059,066 | 235,463,202 |
| | **ვალდებულებები** | | | |
| 13 | ბანკების დეპოზიტები | 4,241 | 3,732,433 | 3,736,674 |
| 14 | მიმდინარე დეპოზიტები (ანგარიშები) | 46,136,527 | 21,120,211 | 67,256,738 |
| 15 | მოთხოვნამდე დეპოზიტები | 16,240,134 | 17,227,393 | 33,467,527 |
| 16 | ვადიანი დეპოზიტები | 20,863,242 | 57,763,309 | 78,626,551 |
| 17 | საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები | | | 0 |
| 18 | ნასესხები სახსრები | 0 | 10,870,650 | 10,870,650 |
| 19 | დარიცხული გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები | 232,884 | 2,162,298 | 2,395,182 |
| 20 | სხვა ვალდებულებები | 1,538,146 | 2,343,883 | 3,882,029 |
| 21 | სუბორდინირებული ვალდებულებები | 0 | 0 | 0 |
| 22 | **მთლიანი ვალდებულებები** | 85,015,174 | 115,220,177 | 200,235,351 |
| | **სააქციო კაპიტალი** | | | |
| 23 | ჩვეულებრივი აქციები | 7,000,000 | X | 7,000,000 |
| 24 | პრივილეგირებული აქციები | 0 | X | 0 |
| 25 | მინუს: გამოსყიდული აქციები | 0 | X | 0 |
| 26 | საემისიო კაპიტალი | 444,840 | X | 444,840 |
| 27 | საერთო რეზერვები | 2,753,070 | X | 2,753,070 |
| 28 | გაუნაწილებელი მოგება | 23,479,023 | X | 23,479,023 |
| 29 | აქტივების გადაფასების რეზერვები | 1,550,918 | X | 1,550,918 |
| 30 | **სულ სააქციო კაპიტალი** | 35,227,851 | X | 35,227,851 |
| 31 | **მთლიანი ვალდებულებები და სააქციო კაპიტალი** | 120,243,026 | 115,220,177 | 235,463,202 |



# ლიტერატურული პრემია "საბა 2006"

მაისში ლიტერატურული პრემია "საბას" რიგით მეოთხე დაჯილდოება გაიმართება, რომელზეც გამოვლინდება გასული, 2005 წლის საუკეთესო წიგნები და ავტორები.

ყოველწლიური ლიტერატურული პრემია "საბა" 2003 წელს დააფუძნა თი-ბი-სი ბანკმა, "ქართულმა პენკლუბმა" და გაზეთმა "24 საათი". პრემიის მიზანია წლის საუკეთესო ავტორებისა და ნაწარმოებების შეფასება 8 ნომინაციის მიხედვით,.

ტრადიციულად, პრემია "საბა" გაიცემა შემდეგ ნომინაციებში:

**1. წლის საუკეთესო პროზაული კრებული**
**2. წლის საუკეთესო რომანი**
**3. წლის საუკეთესო პოეტური კრებული**
**4. წლის საუკეთესო თარგმანი**
**5. წლის საუკეთესო პიესა**
**6. წლის საუკეთესო კრიტიკა, ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა**
**7. წლის საუკეთესო დებიუტი**
**8. პრემია ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის**

სპეციალურად შერჩეული 7-კაციანი ჟიურის მიერ პრემიაზე განიხილება საქართველოში წინა წელს წიგნად გამოცემული ყველა ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოები (რომანი, პროზაული კრებული, პოეტური კრებული, კრიტიკა და ესეისტიკა), უცხოური ნაწარმოების ქართული თარგმანი, ასევე პერიოდიკაში (პრესაში) გამოქვეყნებული ან წიგნად გამოსული ლიტერატურული კრიტიკის ნიმუშები და პიესები.

პრემია "ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის" გადაეცემა ავტორს, რომელსაც გამორჩეული წვლილი მიუძღვის ქართული ლიტერატურის წინაშე. წინა წლებში აღნიშნული პრემია გადაეცათ: ვახტანგ ჭელიძეს, ბაჩანა ბრეგვაძეს და ოთარ ჩხეიძეს.

ჟიურის შემადგენლობა ყოველწლიურად იცვლება. ის, ძირითადად, მწერლების, კრიტიკოსებისა და ლიტერატორებისაგან შედგება. ჟიურის წევრების ნაწარმოები ამ წელს საკონკურსოდ არ განიხილება. გამარჯვებულ ავტორებს, სპეციალურ პრიზთან ერთად, გადაეცემათ ფულადი ჯილდო.

წლევანდელი ჟიური მუშაობას თებერვლიდან შეუდგა. განხილული 220-მდე წიგნიდან შეირჩა "საბას" ფინალური ეტაპის შემდეგი ნომინანტები:

| საუკეთესო პროზაული კრებული | | | |
|---|---|---|---|
| 1 | შოთა იათაშვილი | **ფოტომამები** | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა |
| 2 | ვანო ჩხიკვაძე | **ზამთრის წიგნი** | ქუთაისი |
| 3 | ბექა ქურხული | **სახლი სხვაგან** | საარი |
| 4 | დათო ტურაშვილი | **აჩიბაბა და ორმოცი ყოჩაღი** | ლიტერა |

| საუკეთესო რომანი | | | |
|---|---|---|---|
| 1 | აკა მორჩილაძე | **ვენერას სიზმარი** | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა |
| 2 | ნინო ჯიბლაძე | **სიყვარული ამერიკაში** | სეზანი |
| 3 | ზაზა ბურჭულაძე | **ხსნადი კაფკა** | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა |
| 4 | ბესიკ ხარანაული | **ეპიგრაფები დავიწყებული სიზმრებისათვის** | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა |

| საუკეთესო პროზაული რომანი | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ელა გოჩიაშვილი | **შაბიამანი** | დიოგენე |
| 2 | ზვიად რატიანი | **გზები და დღეები** | არეტე |
| 3 | რატი ამაღლობელი | **წრე** | გამოიცა ავტორის ხარჯით |
| 4 | ნუგზარ ზაზანაშვილი | **გაუგზავნელი წერილებიდან** | საარი |

| საუკეთესო დებიუტი | | | |
|---|---|---|---|
| 1 | თეონა დოლენჯაშვილი | **იანვრის მდინარე** | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა |
| 2 | დათო ქარდავა | **ნოეს მტრედები** | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა |
| 3 | ზვიად დევდარიანი | **მრავალჯერადი გული** | სტამბა "ფორმა" |

| საუკეთესო თარგმანი | | | |
|---|---|---|---|
| 1 | მარი ლუიზე კაშნიცი | **ლექსები** | რუსუდან ღვინეფაძე |
| 2 | ამელი ნოტომი | **კრძალვითა და ცახცახით** | მზია ბაქრაძე |
| 3 | | **ბჰაგავადგიტა** | ლევან რამიშვილი |

| საუკეთესო პიესა | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ბასა ჯანიკაშვილი | **პიესები** | სიესტა |
| 2 | ლაშა თაბუკაშვილი | **ასტეროიდზე აღარ წვიმს** | ჟურნ. "XX საუკუნე" |

| საუკეთესო კრიტიკა, ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ტარიელ ჭანტურია | **დინოზავრიდან დიზაინამდე** | მერანი |
| 2 | ირმა რატიანი | **ქრონოტოპი ანტიუტოპიურ რომანში** | თსუ გამომცემლობა |
| 3 | აგი აბაშიძე | **ილია ჭავჭავაძე** | გამოიცა ავტორის ხარჯით |
| 4 | მარინა ბერიძე | **პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან** | უნივერსალი |

24 საათი BRITISH AIRWAYS

**შეავსე "British Airways" - ის კითხვარი სწორად და მოიგე სასტუმრო შერატონ მეტეხის საცურაო აუზის ერთთვიანი აბონემენტი**

ვიქტორინისთვის საჭირო ინფორმაცია შეგიძლიათ მოძებნოთ British Airways -ის ვებ გვერდზე www.ba.com.

1. British Airways - ის მგზავრებს შეუძლიათ ელექტრონული ბილეთები ინტერნეტის საშუალებით დაჯავშნონ და შეიძინონ.

**კი** **არა**

2. British Airways - ის საიტის www.ba.com -ის მომსახურების "Manage my Booking"- ის დახმარებით მგზავრებს ბორტზე სასურველი ადგილის დაჯავშნა შეუძლიათ.

**კი** **არა**

3. თუ მგზავრმა ელექტრონული ბილეთი დაკარგა, მას შესაძლებლობა აქვს შევიდეს "British Airways"- ის ვებ გვერდზე და ნებისმიერ დროს ამობეჭდოს იგი.

**კი** **არა**

4. British Airways - ის გრძელ მარშრუტებზე მიმავალ მგზავრებს, რომლებიც Executive Club"ის ოქროს ბარათის მფლობელები არიან, შეუძლიათ ჰითროუს აეროპორტში Molton Brown"ის სარელაქსაციო მომსახურებით ისარგებლონ.

**კი** **არა**

სახელი:
გვარი:
E-mail:
ტელეფონი
მობილური

პასუხები გამოაგზავნეთ გაზეთ "24 საათი"-ის მისამართზე: ქ. თბილისი, გამრეკელის ქ. N51. ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით: maia.chitaia@actionprgroup.com. პასუხების მიღების ბოლო ვადაა 28 აპრილი.

გამარჯვებული გამოცხადდება გაზეთ "24 საათი" - ის 2006 წლის 1 მაისის ნომერში.

გამარჯვებული დასაჩუქრდება სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასის საცურაო აუზის ერთთვიანი აბონემენტით.

British Airways - ისა და 24 საათის თანამშრომლებსა და მათი ოჯახის წევრებს გათამაშებაში მონაწილეობის უფლება არ აქვთ.

# დაბრუნებული პროფილი

## ნინა ქავთარაძე თბილისური კონცერტისთვის ემზადება

სოფო კილასონია



გუშინ, დღის პირველ საათზე, ყავის სახლში კოსტავაზე მხოლოდ რამდენიმე ჟურნალის პაემანი ჰქონდა დათქმული. სულ პატარა და მყუდრო ოთახში შეიკრიბნენ და ამ შეკრების მიზანიც მალე გაირკვა. სამშობლოს ხანგძლივი განშორების შემდეგ დანიაში უკვე ძალინ ცნობილი და წარმატებული პიანისტი ქალბატონი ნინა ქავთარაძე ჩამობრძანდა. ეს შესავალი აშკარად ზედმეტად სენტიმენტალური გამომივიდა, თუმცა ყველაფერი ასეც მოხდა და მე არც არაფერს ვაჭარბებ. 28 აპრილს ნინა ქავთარაძე კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში კონცერტს გამართავს. როგორც უკვე მისი საიტიდან და პირადი საუბრიდან მივხვდი, კლასიკური მუსიკის მოყვარულთ მეტად საინტერესო საღამო გველის.

ქალბატონი ნინა მოსკოვში დაიბადა და მუსიკალური განათლებაც სწორედ იქ მიიღო. შემდეგ მოხდა ისე, რომ უცხოელ ადამიანს დაუკავშირა ცხოვრება და დანიაში დაიდო ბინა. "სულაც არ მინდოდა გამგზავრება, მოსკოვს შეჩვეული, მეგონა რომ იქაურობას ვერ ავიტანდი, მაგრამ საბოლოოდ მაინც მოგვიწია დანიაში გადაბარგება" - ამბობს პიანისტი, რომელმაც მოსკოვური წარმატებების შემდეგ, ყველაზე დიდ აღიარებას მაინც საზღვარგარეთ მიაღწია. 1975 წელი მისი პირველი ნაბიჯებია კარიერაში: "მაშინ დანიის ტელევიზიები ზრუნავდნენ კლასიკური ხელოვნების წარმოჩენაზე. იმაზე, რომ მაყურებელს საუკეთესო ეხილა და მოესმინა. დღეს ასე აღარაა, დღეს ტელევიზიების ერთადერთი მიზანი მაყურებლის მოზიდვაა და ამას ნებისმიერი ხერხით ცდილობენ. მაშინ ასე არ იყო და ამიტომაც გამიმართლა."

გაუმართლა იმიტომ, რომ მისი კონცერტები ტელევიზიით გადიოდა, ანუ მის ხელოვნებას ფართო საზოგადოება უმალ გაეცნო და ყველაფერი ისე წარიმართა, რომ ნინა ქავთარაძე დღეს უცხო და უცნობი პრაქტიკულად არავისთვისაა. შესაძლოა, მხოლოდ ჩვენთვის, მართალია რამდენიმე წლის წინ, საკმაოდ დიდი ხნის წინ, თბილისში იყო ჩამოსული, კონცერტიც გაუმართავს, თუმცა ვერ იხსენებს სად, მხოლოდ ის ახსოვს რომ სინათლე ჩაქრა, მაგრამ საქართველოსთან სხვა შემოქმედებითი კავშირები არ გააჩნია. მისი "დაბრუნებაც" ინტერნეტის უსაზღვრო შესაძლებლობების წყალობაა. იცოდა რა პიანისტმა, რომ საქართველოში ბევრი ნათესავი ჰყავდა, მათთან კონტაქტი, სწორედ ვირტუალურ სამყაროში განაახლა. დღეს ქავთარაძეების ოჯახი ყავის სახლში მელოდა და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი შეხვედრა ხანმოკლე იყო, საინტერესო პორტრეტები დაიხატა.

"ფორტეპიანოს ლომი" - ამ სიტყვებით თავისი შთაბეჭდილება ნინა ქავთარაძის მოსმენის შემდეგ დანიელ კრიტიკოსს მიხაელ ბონესენს გამოუხატავს. მსგავსი ეპითეტები მრავლად აქვს საჩუქრად მიღებული პიანისტს. კრიტიკა კიდევ მეტად გულუხვიცაა: "მის დაკვრაში ყოველი ფრაზა, ყოველი ბგერა შინაარსიანია, ასეთი ელვარე ინდივიდუალური შესრულება და მხატვრული ფორმატი დიდ იშვიათობას წარმოადგენს."

ნინა ქავთარაძის რეპერტუარში 50 საფორტეპიანო კონცერტია ორკესტრთან ერთად, რომლებიც სახელოვან დირიჟორებთან შეუსრულებია. მას თაყვანისმცემლები ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში და აშშ-ში ელიან, თუმცა ამჯერად თბილისის ჯერია. 28 აპრილს იგი შოპენის, ლისტისა და შუბერტის ნაწარმოებებს შეასრულებს. დაახლოებით ამ რეპერტუარს ნინა ქავთარაძე თავის ალბომში შეიტანს, რომელსაც დანიაში უკვე დიდი სიხარულით ელიან.

პიანისტის საკონცერტო პროგრამაში ცნობილ ნაწარმოებებთან ერთად შეიძლება ხშირად ისეთ ნაწარმოებებსაც წააწყდეთ, რომელიც ძალიან იშვიათად სრულდება. მაგალითად, ვაგნერისა და მუსორგსკის ყველა ორიგინალური საფორტეპიანო თხზულება. მათი შესრულებით ნინა ქავთარაძემ კრიტიკის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა. კრიტიკის შეფასებებს რომ თავი დავანებოთ, პიანისტ ქალბატონს არაერთი მნიშვნელოვანი პრიზი და ჯილდო აქვს მოპოვებული. მისი ჩანაწერები მრავალი მიმართულებით ყოფილა ნომინირებული და სხვადასხვა ნომინაციების ლაურეატიც გამხდარა.

მიუხედავად იმისა რომ, მისი ბავშვობა რუსეთს უკავშირდება, სამშობლოში ჩამოსვლა მაინც გარკვეულწილად რაღაცასთან, შესაძლოა, ბავშვობასთან დაბრუნების ასოციაციების გამომწვევია და ასეც მოხდა. მუსიკასთან დაახლოების წლები ძალიან კარგად ახსოვს. ახსოვს ისიც, რომ კლავიატურა ინსტრუმენტის გარეშე შეისწავლა, თანაც ძალიან მარტივად. უბრალოდ, დედამ გრძელ თეთრ ქაღალდზე დახატა თეთრი და შავი კლავიშები და ამიტომაც ნინას პირველ განონებსა და გამებს ხმოვანება არ გააჩნდათ. შემდეგ იყო ძალიან ძველი ფორტეპიანო, რომლის შეცვლაც მალევე გადაწყვიტეს, რადგანაც პატარა ნინას მომავალი ადრევე განისაზღვრა.

როცა ვემშვიდობებოდი, სხვა მრავალთან ერთად ისიც თქვა და გაიხუმრა, რომ საკუთარი ქართული პროფილი, რომელიც ბევრმა დაკარგა, მან შეინარჩუნა. როგორც ჩანს მხოლოდ პროფილი არაა ის, რითაც ქართველი მუსიკოსი ამოყობს.

# თავისებური ხედვა



მზევინარ ხუციშვილი

"თავისებური ხედვა" - ასე შეაფასა ქართველმა საზოგადოებამ 25 აპრილს გალერეა "ჰობიში" ეკა ცინდელანის შემოქმედება. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ბოლო რამდენიმე წლის ნამუშევრები. მათ შორის პეიზაჟები, რომლებსაც თავად ავტორი არარეალურს უწოდებს და მითრიდატე პონტოელის თემაზე შექმნილი გრაფიკული სერია, სადაც ავტორის თქმით ქართველი მეომრების ხასიათია გადმოცემული, რელიგიური პეიზაჟები, რომლებიც გულგრილს არ გტოვებს, რადგან ფაქიზად და მოკრძალებულადაა შესრულებული. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეკა ცინდელანის შემოქმედება მხიარული და ნათელი ფერებით გამოირჩევა, რაც არ გზღუდავს და გამძიმებს, უბრალოდ გაჩერებს, გაფიქრებს და სიამოვნებას განიჭებს.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, საქართველოში ეს შემოქმედის პირველი პერსონალური გამოფენაა. თუმცა არაერთი პერსონალური გამოფენა ჰქონდა საფრანგეთში, ამერიკაში, მოსკოვში. საქართველოში კი შემოქმედი მხოლოდ ჯგუფურ გამოფენებში იღებდა მონაწილეობას.

გამოფენა გალერეა "ჰობის" დირექტორმა ქალბატონმა ვანდა მუჯირმა გახსნა, რომელმაც ისაუბრა ეკა ცინდელანის შემოქმედებაზე და აღნიშნა: "ეკა ცინდელანი ოთხმოცდაათიანელების ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელია, მისი შემოქმედება საინტერესო, მრავალფეროვანი და პროფესიონალური ექსპოზიციისგან შედგება. სამწუხაროა, რომ საქართველოში ეს მისი პირველი პერსონალური გამოფენაა, არადა ამ დროს მას ოთხი პერსონალური გამოფენა მარტო პარიზში ჰქონდა, თუმცა დღეიდან ჩვენ სახელოვნებო სივრცეს კიდევ ერთი ფერმწერი და გრაფიკოსი შეემატა."

ხელოვნებათმცოდნე ნინო ზაალიშვილმა კი თავისებური შეფასება გააკეთა ამ შემოქმედების შესახებ და გულისტკივილი გამოთქვა, რომ აქამდე არ იცნობდა მის შემოქმედებას. "მე დღეს ეკა ცინდელანის სახით პატარა აღმოჩენა გავაკეთე. მისი შემოქმედება საინტერესოა თემის, შესრულების, კონცეფციის მხრივ. თითოეულ ნამუშევარს გულგრილად ვერ ჩაუვლი, სურვილი მიჩნდება შევჩერდე, შევაფასო, შევეკამათო შემოქმედს და ამით ურთიერთობა დავამყარო მასთან. მისი ქალაქური და რელიგიური პეიზაჟები არ არის აგრესიული, ისინი თბილად და გახსნილადაა წარმოდგენილი. უნდა ვთქვა, რომ მას თავისებური ხედვა აქვს, ხოლო მის შემოქმედებას ძლიერი ზემოქმედების უნარი გააჩნია."

**- ეკა, რა არის ის ძალა, რომელიც სტიმულს გმატებთ იმუშაოთ?**

- ჩემთვის მთავარია საზოგადოების აზრი, ღიმილი და აღფრთოვანებული თვალები...

გამოფენას ღიმილი და ემოცია ნამდვილად არ აკლდა. საზოგადოებამ შემოქმედისთვის არც ყვავილების თაიგული დაიშურა. გამოფენა კი შვიდ მაისამდე გაგრძელდება.

# ნიკოლოზ II გაგრაში

რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთ ცენტრალურ არქივში იმპერატორ ნიკოლოზ II მიერ გაგრაში ვიზიტის ამსახველი 20 ფოტოსურათი აღმოაჩინეს.

ფოტოსურათებზე გაკეთებული მინაწერი იუწყება, რომ ისინი გადაღებულია 1912 წლის 16 მაისს. ზუსტად ასეთივე მინაწერი არსებობს ნიკოლოზ II-ის დღიურშიც. ფოტოსურათებზე ასახულია იმპერატორი და მისი ოჯახის წევრები გაგრის ციხის ტაძარში, აფხაზური არისტოკრატიის წევრებთან შეხვედრა, აფხაზების მიერ იმპერატორის მასპინძლობა.

"აფხაზი ხალხი იმპერატორს პურ-მარილით დახვდა, ნიკოლოზ II-მ ნახა აფხაზური ცეკვები და დიდ აფხაზ მთავართან, ალექსანდრე გრიგორის ძე ჩაჩბასთან ერთად გაგრელი ხალხის სადღეგრძელოც დალია", - ამბობს ისტორიკოსი დენის ჩაჩხალია.

ჩაჩხალია აპირებს შემოდგომაზე თავის მიერ ნაპოვნი ფოტოების გამოფენა აფხაზეთში მოაწყოს.

**"დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით**

**2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:**

**- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით**

**(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)**
**- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები**
**- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები**
**- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა**
**- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა**
**- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება**
**- სარძევე ჯირკვლის აწევა**
**- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)**
**- შუბლის დაჭიმვა**
**- დაკიდებული მუცლის პლასტიკა**
**- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)**
**+ ლიპოსაქცია**
**- ტუჩების გადიდება**
**- კანის ნაოჭების კორექცია**
**- ნიკაპის გადიდება პროთეზით**
**- სახის დაჭიმვა**
**- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)**
**- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით**

**ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06 893 65 38 39**

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

## ლარის გაცვლითი კურსი $1/1,8159 ნიშნულამდე გამყარდა

## აშშ-დან პირველ ტრანშს მივიღებთ

B2




## "KODAK-მა ციფრული კამერა გამოუშვა

## ფედერალური სარეზერვო ფონდის განაკვეთმა ბირჟაზე კლება განაპირობა

B3

## კომპანია "HYUNDAI"-ის საქმეებს პროკურატურა იძიებს



B4

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | |
|---|---|---|
| 1 ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3535 |
| 1 აზერბაიჯანული მანათი | AZN | 2,0093 |
| 1 არაბული დირხამი | AED 0,4944 | |
| 1 აშშ დოლარი | USD | 1,8160 |
| 1000 ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8449 |
| 1 ბურგალური ლეი | BGL | 1,1512 |
| 1 დანიური კრონი | DKK | 0,3018 |
| 1 ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3158 |
| 1 ევრო | EUR | 2,2511 |
| 10 ესტონური კრონი | EEK | 1,4391 |
| 1000 თურქმენული მანათი | TMM | 0,3492 |
| 1 თურქული ლირა | TRY | 1,3752 |
| 10 იაპონური იენი | JPY | 0,1587 |
| 1 ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2454 |
| 1000 ირანული რეალი | IRR | 0,1989 |
| 10 ისლანდიური კრონი | ISK | 0,2389 |
| 1 ისრაელის სეკელი | ILS | 0,4012 |
| 1 კანადური დოლარი | CAD | 1,5982 |
| 1 ლატვიური ლატი | LVL | 3,1916 |
| 10 ლიტვური ლიტი | LTL | 6,5139 |
| 10 მოლდოვური ლეი | MDL | 1,3980 |
| 1 ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2868 |
| 1 პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5830 |
| 10000 რუმინული ლეი | ROL | 0,6101 |
| 1 რუსული რუბლი | RUB | 0,0662 |
| 1 სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1436 |
| 100 სომხური დრამი | AMD | 0,4053 |
| 1 ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5651 |
| 1000 უზბეკური სუმი | UZS | 1,4874 |
| 10 უკრაინული გრივნა | UAG | 3,5932 |
| 100 უნგრული ფორინტი | HUF | 0,8561 |
| 1 ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2160 |
| 10 ყაზახური ტენგე | KZT | 0,1464 |
| 10 ყირგიზული სომი | KGS | 0,4439 |
| 1 შვედური კრონი | SEK | 0,2414 |
| 1 შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4310 |
| 1 ჩეხური კრონი | CZK | 0,0792 |
| 1 ჩინური იუანი | CNY | 0,2267 |
| 1 ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2342 |




# ელექტროენერგია 1 ივნისიდან ძვირდება

### ტარიფის ზრდას ალტერნატივა არ აქვს

ნინო ნატროშვილი

*ელექტროენერგია ძვირდება. 1 ივნისიდან მოსახლეობა ელექტროენერგიის საფასურს ახალი სატარიფო განაკვეთით გადაიხდის. საქართველოს ელექტროენერგიის მარეგულირებელი კომისია ახალ ტარიფს მომავალ კვირას განიხილავს. როგორც სემეკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში აცხადებენ, სავარაუდოდ, დღის წესრიგში დიფერენცირებული ტარიფის მიღების საკითხი დადგება. დიფერენცირებული ტარიფის შემოღების შესახებ გადაწყვეტილება სემეკმა 2003 წლის 15 აგვისტოს მიიღო. დიფერენცირებული ტარიფი მხოლოდ აჭარაში მოქმედებს. თბილისში ამ სისტემის დანერგვაზე თელასმა უარი თქვა იმ მოტივით, რომ დიფერენცირებული ტარიფის შემოღების შედეგად გახარჯული ელექტროენერგიის საფასურის ამოღებას ვერ შეძლებდა.*

- **1 მაისიდან ბუნებრივი აირის ტარიფი თბილისის მოსახლეობისათვის 34,20 თეთრამდე გაიზრდება. ხელისუფლების მიერ ბიუჯეტიდან გაღებული სუბსიდირების რეგლამენტი იწურება.**
- **ხელისუფლებას გააჩნია სრულყოფილი მონაცემთა ბაზა ღარიბი და უკიდურესად ღარიბი მოსახლეობის შესახებ, რაც მთავრობას მათი დახმარების მექანიზმის შემუშავებას გაუადვილებს.**
- **წელს ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდის სუბსიდირებისთვის დაახლოებით 30 მილიონ ლარამდე გამოიყოფა.**

B2

# ადამიანი-მილიარდი

### ბილ გეითსი - განხორციელებული ამერიკული ოცნება

გორა ქიმუცაძე

*მთელს მსოფლიოში ვერ იპოვით ადამიანს, ერთხელ მაინც რომ არ გაეგონოს ძლევამოსილი კომპანია Microsoft-ის დამაარსებლის და პლანეტის უმდიდრესი ადამიანის უილიამ (ბილ) გეითსის შესახებ. უკვე მერამდენე წელია, იგი ჟურნალ Forbes-ის მიერ გამოქვეყნებულ მილიარდერთა რეიტინგში პირველ ადგილზეა.*
*ალფრედ ადლერს უთქვამს, წარმატებულ ადამიანებს აღმატებულობისაკენ სწრაფვა ამოძრავებთო. 50 წლისა და ამდენივე მილიარდი დოლარის მფლობელი ბილ გეითსი სწორედ წარმატებული ადამიანის, განხორციელებული ამერიკული ოცნების საუცხოო ნიმუში გახლავთ.*

- **ბილ გეითსი ჭეშმარიტი ნოვატორი მეწარმის ეტალონად ითვლება. პროგრამირების სფეროში იგი იმდენივეს ნიშნავს, რამდენსაც ედისონი ნათურასთან მიმართებაში. ეს პიროვნება, რომელშიც შერწყმულია წარმატებული გამომგონებელი, მეწარმე და ბიზნესმენი, ამერიკული ოცნების განხორციელების საუკეთესო მაგალითი გახლავთ.**
- **მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდული სტილის, დიდი სიმაღლის და არასტანდარტული საქციელის გამო ბევრი მას შერეკილად თვლის, გეითსს საოცარი ქარიზმატულობა გამოარჩევს.**
- **მის შესახებ ყოველთვის ძალიან ბევრს, აღტაცებით, შურით, ზოგჯერ ზიზღითაც კი, ლაპარაკობენ და რატომღაც მას სატანისტობას აბრალებენ.**



B3

# ევროკავშირის ბაზარი აუთვისებელია

### ექსპორტში კაკალი და თხილი ლიდერობს

თინა შავაძე

*რუსეთის ბაზარი ქართული პროდუქციისთვის დაიხურა. ხელისუფლება მეზობელი ქვეყნის ალტერნატივას ეძებს. ამ ეტაპზე მთავრობასა და პარლამენტს შორის გაიმართა დიალოგი იმ ლეგალური ბაზრის შესახებ, რომელსაც ევროკავშირი განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებს სთავაზობს. საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივა ორი წლის წინ გაჩნდა. ევროკავშირის ბაზარზე საქართველოს შეუძლია, უბაჟოდ შეიტანოს ისეთი საქონელი, როგორიცაა: თხილი, კაკალი, ღვინის ძმარი, ნატურალური თაფლი, ზოგიერთი უალკოჰოლო სასმელი, ასევე სხვადასხვა დასახელების სამრეწველო პროდუქცია, მაგალითად, ამონიუმის გვარჯილა. ახალი სქემის შესაბამისად, სოფლის მეურნეობის საქონლის ჩამონათვალი საგრძნობლად გაფართოებულია და გაზრდილია ისეთი პროდუქციის ასორტიმენტი, როგორიცაა - თევზეულობა, სხვადასხვა ბოსტნეული, ხილი, სუნელები.*

ევროკავშირიდან იმპორტირებული ზოგიერთი პროდუქცია და მისი ხვედრითი წილი საქართველოს მთლიან იმპორტში 2005 წელი

| იმპორტი | |
|---|---|
| საფოსტო მარკები | 78% |
| შაქარი | 56% |
| გამომთვლელი მანქანები | 49% |
| მსუბუქი ავტომობილები | 48% |
| სამკურნალო საშუალებები | 31% |

B2

### აშშ-დან პირველ ტრანშს მივიღებთ

"ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველო" "აშშ-ს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციისგან" პირველ ტრანშს უახლოეს მომავალში მიიღებს.

ფონდის ინფორმაციით, საქართველო ამერიკული სამთავრობო კორპორაციისგან 295,3 მლნ აშშ დოლარის ოდენობის 5-წლიანი გრანტიდან პირველ 3,5 მლნ აშშ დოლარს მიიღებს. აღნიშნული თანხა 5 პროექტის პარალელურ რეჟიმში განხორციელების დაწყებას მოხმარდება.

"ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველო" შემდეგი პროექტების განხორციელებას გეგმავს: სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაცია, რომლისთვისაც 102,2 მლნ აშშ დოლარი დაიხარჯება; რუსეთთან დამაკავშირებელი, საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაცია, რაც 49,5 მლნ აშშ დოლარი დაჯდება; რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარება, რისთვისაც 60 მლნ აშშ დოლარი დაიხარჯება; საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის შექმნა, რომელიც 32,5 მლნ დოლარის დაფინანსების ფარგლებში, მცირე და საშუალო საწარმოებს უზრუნველყოფს გრძელვადიანი და სარისკო კაპიტალით და ტექნიკური საშუალებებით; აგრობიზნესის განვითარების პროექტი, რომელიც 15 მლნ დოლარის დაფინანსების ფარგლებში გრანტებით, ტექნიკური, ტექნოლოგიური და საინფორმაციო დახმარებით უზრუნველყოფს ფერმერებს და მცირე აგრობიზნესებს.

"აშშ-ს ათასწლეულის განვითარების კორპორაციამ" საქართველოსთვის 5-წლიანი გრანტის გამოყოფის თაობაზე გადაწყვეტილება 2005 წლის აგვისტოში, დირექტორთა საბჭოს სხდომაზე მიიღო. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

### ლარის გაცვლითი კურსი $1/1,8159 ნიშნულამდე გამყარდა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი 27 აპრილიდან $1/1,8159 ნიშნულზე დააფიქსირა.

ეროვნული ბანკის ცნობით, რომ თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სავაჭრო სესიაზე 2006 წლის 26 აპრილს მონაწილეობა მიიღო ხუთმა კომერციულმა ბანკმა (ორმა - გამყიდველის, და სამმა - მყიდველის სტატუსით). დაიდო ოთხი საბირჟო გარიგება, რომლის საერთო მოცულობამ 1 100 000 აშშ დოლარი შეადგინა. დღევანდელ საბირჟო სესიაში საქართველოს ეროვნულ ბანკს მონაწილეობა არ მიუღია.

საბირჟო ვაჭრობა დაიწყო კურსით: 1 აშშ დოლარი/1.8160 ლარი. უცხოურ ვალუტაზე კომერციული ბანკების თავდაპირველმა მოთხოვნამ 250 000 აშშ დოლარი, ხოლო მიწოდებამ 1 300 000 აშშ დოლარი შეადგინა. თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის დღევანდელ ვაჭრობაზე მოთხოვნა-მიწოდება დაბალანსდა შემდეგი კურსით - 1 აშშ დოლარი/1.8159 ლარი. თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე 2006 წლის 26 აპრილს დაიდო 500 000 ევროს მოცულობის ერთი გარიგება, რომელშიც მონაწილეობდა ორი კომერციული ბანკი.

27 აპრილიდან ამოქმედდება შემდეგი კურსი: 1 ევრო - 2.2525 ლარი. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

### უკრაინაში მოლდოვური ღვინის და კონიაკის ექსპორტი გაიზრდება

უკრაინაში მოლდოვური ღვინის და კონიაკის ექსპორტის მოცულობის არსებითი გაზრდისა და ადგილობრივ ბაზარზე მისი პოზიციების საკითხი მოლდოვის მთავრობის წარმომადგენლებმა უკრაინაში ალკოჰოლური პროდუქციის უმსხვილეს საბითუმო იმპორტიორებთან შეხვედრისას განიხილეს.

"როსბიზნესკონსალტინგის" სააგენტო მოლდოვის საგარეო საქმეთა და ევროპული ინტეგრაციის სამინისტროზე დაყრდნობით იუწყება, რომ დისკუსიის მთავარი მიზანი იყო უკრაინის ბაზარზე მოლდავური ალკოჰოლური პროდუქტის ლობირებასთან დაკავშირებული პრობლემების კომპლექსის განხილვა. სხდომაზე განიხილეს უკრაინის ბაზარზე მოლდოვური ღვინოების დადებითი იმიჯის შენარჩუნების, მისი ხარისხის სტაბილურობის უზრუნველყოფის, მარკეტინგისა და რეკლამის გაუმჯობესების საკითხები. როგორც აღინიშნა, ამ ზომების რეალიზაცია ღვინის მწარმოებლებს საშუალებას მისცემს, არა მარტო შეინარჩუნონ მოლდოვური ალკოჰოლური პროდუქციის წამყვანი პოზიციები, არამედ არსებითად გაზარდონ მოცულობა და მისი წილი უკრაინის ბაზარზე.

კიევში მოლდოვის საელჩოს მიერ ორგანიზებულ შეხვედრაში მოლდოვის სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის მინისტრმა ანატოლი გოროდენკომ, აგროსამრეწველო სააგენტოს "მოლდივა-ვინ"-ის გენერალურმა დირექტორმა ვალერი მირონესკუმ და მოლდოვის იმ საწარმოთა ხელმძღვანელებმა მიიღეს მონაწილეობა, რომელთა ძირითადი საქმიანობა უკრაინის ბაზარზე მოლდავური ღვინის და კონიაკის იმპორტთანაა დაკავშირებული.

რუსეთმა მოლდოვადან და საქართველოდან ღვინის და ღვინომასალების იმპორტი 27 მარტიდან აკრძალა. ოფიციალური მიზეზი ამ ქვეყნების ღვინოებში მძიმე ლითონებისა და პესტიციდების არსებობაა. **ინტერპრესნიუსი**

### მეღვინეთა საკოორდინაციო ჯგუფი კომპლექტდება

ქართველ მეღვინეთა საკოორდინაციო ჯგუფი, სავარაუდოდ, 4-კაციანი შემადგენლობით დაკომპლექტდება, საიდანაც ორი - მეღვინე, ერთი - ჯანდაცვის, და ერთიც - სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი იქნება.

ჯგუფი ქართული ღვინის თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკებებს გააკონტროლებს როგორც რუსულ, ასევე ევროპელ პარტნიორებთან.

"გვაქვს წინადადება, რომ შეიქმნას მუშა ჯგუფი ბიზნესის და მთავრობის წარმომადგენლების მონაწილეობით, რომელიც პერმანენტულ სამუშაო პროცესს წარმართავს რუსეთის შესაბამის სტრუქტურებთან ქართული ღვინის რუსეთის ბაზარზე დაბრუნებასთან დაკავშირებით," - განაცხადა "ღვინის მწარმოებელთა კავშირის" გამგეობის თავმჯდომარემ ლევან კობერიძემ. **ინტერპრესნიუსი**

### მცხეთა-მთიანეთის ელექტრომომარაგებაში პრობლემები შეიქმნა

"გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ცნობით, ძლიერი ქარისა და წვიმების გამო, მცხეთა-მთიანეთში ერთდროულად რამდენიმე ავარია მოხდა - დაზიანდა 35-კილოვოლტიანი გადამცემი ხაზი "ლარგვისი" და ავარიულად გამოირთო 13 ფიდერი. ამის გამო, ფილიალის აბონენტთა 10 პროცენტზე მეტი ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი.

როგორც ენერგოკომპანიაში აცხადებენ, ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების ინტენსიურად ჩატარებას ხელს უშლის რთული მეტეოროლოგიური პირობები - ძლიერი ქარი, წვიმა და მაღალმთიან რაიონებში მოსული თოვლი. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

# ელექტროენერგია 1 ივნისიდან ძვირდება

პირველი გვერდიდან

ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდის მოთხოვნით სემეკს ოთხმა კომპანიამ მიმართა. სს თელასი, გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია, კახეთის და აჭარის ენერგოკომპანიები ტარიფის გაზრდას სხვადასხვა მოტივით ითხოვენ. ტარიფში საკუთარი წილის 7 თეთრით გაზრდას ითხოვს თელასი, რომელიც ენერგობაზრის ყველაზე მსხვილი მოთამაშეა. ეს კომპანია ტარიფის ზრდას განხორციელებული ინვესტიციების საფუძველზე ითხოვს.

ერთ კილოვატსაათ ელექტროენერგიაზე არსებული ტარიფი თბილისის მოსახლეობისათვის ამჟამად 12,8 თეთრს, ხოლო რეგიონებში 8,5 თეთრს შეადგენს. წინასწარი გათვლებით, ტარიფი 15 თეთრამდე გაიზრდება. გარკვეულწილად, ტარიფის ზრდა რუსეთის მიერ ელექტროენერგიის გაძვირებას უკავშირდება. რუსეთისაგან 1 კილოვატსაათ ელექტროენერგიას საქართველო 3 ცენტად ყიდულობს.

1 მაისიდან ბუნებრივი აირის ტარიფი თბილისის მოსახლეობისათვის 34,20 თეთრამდე გაიზრდება. ხელისუფლების მიერ ბიუჯეტიდან გაღებული სუბსიდირების რეგლამენტი იწურება. გაზის ტარიფის ზრდა საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი დამოუკიდებელი კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის დადგენილებით მოხდა. ბუნებრივი აირის უალტერნატივო მომწოდებელმა "გაზპრომმა" გასული წლის ბოლოს სატარიფო პოლიტიკა შეცვალა და საქართველოსთვის 1000 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის ფასი 60 დოლარიდან 110 დოლარამდე გაზარდა.

ხელისუფლებამ გაზის ტარიფის სუბსიდირება მხოლოდ მოსახლეობისათვის განახორციელა.

ელექტროენერგიაზე ტარიფის ზრდას ალტერნატივა არ გააჩნია, - აცხადებენ ხელისუფლების მაღალ ეშელონებში. "საქართველოს მთავრობა გაგებით ეკიდება ენერგეტიკოსთა მოთხოვნებს ელექტროენერგიაზე ტარიფების გაზრდასთან დაკავშირებით და უახლოეს მომავალში დენის საფასური მოიმატებს," - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა სახელმწიფო კანცელარიაში მთავრობის სხდომის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე.

მისი თქმით, თბილისში ელექტროენერგიის საფასური, სავარაუდოდ, ერთ კილოვატსაათზე 12,18 თეთრიდან 15 თეთრამდე გაიზრდება, რეგიონებში კი - 8 თეთრიდან 14 თეთრამდე. ამასთანავე, პრემიერის განმარტებით, მთავრობის ეს მოსაზრება მათსავე გათვლებს ეყრდნობა, ხოლო კონკრეტულ გადაწყვეტილებას უახლოეს მომავალში საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია მიიღებს. პარალელურად, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით, მუშავდება პროექტი, რომლის თანახმადაც, ელექტროენერგიაზე ტარიფი დიფერენცირებული იქნება მოხმარების მოცულობის მიხედვით, ხოლო მსხვილ ენერგომომხმარებლებზე შეღავათები არ გავრცელდება.

ენერგეტიკის მინისტრის ნიკა გილაურის განცხადებით, ელექტროენერგიის ტარიფის ზრდა გამოწვეულია ბუნებრივი აირის ღირებულების გაორმაგებით.

სახელმწიფო მინისტრი რეფორმების კოორდინაციის საკითხებში კახა ბენდუქიძე კი დარწმუნებულია, რომ ხელისუფლებას გააჩნია სრულყოფილი მონაცემთა ბაზა ღარიბი და უკიდურესად ღარიბი მოსახლეობის შესახებ, რაც მთავრობას მათი დახმარების მექანიზმის შემუშავებას გაუადვილებს.

პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ გასულ წელს ბუნებრივ აირსა და ელექტროენერგიაზე მომატებული ტარიფის სუბსიდირების მიზნით, მთავრობამ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაახლოებით 10 მილიონ ლარამდე გამოყო.

მისივე თქმით, დღეისთვის პრეზიდენტის დავალებით მიმდინარეობს ისეთი მექანიზმის ამუშავება, რომელიც მოსახლეობის გაჭირვებულ ფენას ელექტროენერგიის ტარიფის გაძვირებას შეუმსუბუქებს. კერძოდ, ის მოსახლეობა, რომელიც ნაკლებ ელექტროენერგიას მოიხმარს, გადაიხდის ნაკლებს, ხოლო ყველაზე გაჭირვებული ფენისთვის, ელექტროენერგიის ტარიფი ძველ ნიშნულზე დარჩება.

პრემიერ-მინისტრის გათვლებით, წელს ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდის სუბსიდირებისთვის დაახლოებით 30 მილიონ ლარამდე გამოიყოფა და, ამ მიზნით, მთავრობა ბიუჯეტში ცვლილებების პროექტით პარლამენტში უახლოეს მომავალში წარდგება.

"გასულ წელს მთავრობამ შეინარჩუნა არსებული ტარიფები გაზსა და ელექტროენერგიაზე, თუმცა სუბსიდირება მუდმივად ვერ გაგრძელდება. ამიტომ დღეს დღის წესრიგში დგას ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდა," - განაცხადა ზურაბ ნოღაიდელმა.

# ევროკავშირის ბაზარი აუთვისებელია

პირველი გვერდიდან

რა სქემით შეიძლება ევროპაში ადგილობრივი ნაწარმის გატანა? ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილის თამარ კოვზანაძის განმარტებით, პრეფერენციების გენერალიზებული სისტემის CSP-ის ძირითადი მიზანია, განვითარებული ქვეყნების მეშვეობით დახმარება გაუწიოს განვითარებად ქვეყნებს. კერძოდ, ისინი შემცირებულ სატარიფო განაკვეთს აწესებენ განვითარებადი ქვეყნის ექსპორტზე, რაც აადვილებს ევროპის ბაზარზე შეღწევას.

ახალი CSPP+ სქემა გათვალისწინებულია არამდგრადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის, რომლებსაც განვითარებისთვის განსაკუთრებული დახმარება ესაჭიროებათ. სქემა მოიცავს დაახლოებით 7 200 დასახელების პროდუქციას, რომელიც ევროკავშირის ბაზარზე იქნა დაშვებული საბაჟო გადასახადების გარეშე. ეს მეტად მნიშვნელოვანი გარემოებაა, ვინაიდან თუ ძველი სქემით საქართველოს შესაძლებლობა ეძლეოდა, ევროკავშირის ბაზარზე უბაჟოდ შეეტანა მხოლოდ 3 300 დასახელების პროდუქცია და მხოლოდ 6 900 საქონელზე მოქმედებდა გარკვეული შეღავათები, CSPP+-ის სტატუტის მიღების შემდეგ საქართველოს მიეცა საშუალება, ევროკავშირში უბაჟოდ შეიტანოს 7 200 პროდუქციის ჩამონათვალი.

საქართველომ, სხვა ბენეფიციარებთან ერთად, დააკმაყოფილა ძირითადი მოთხოვნები და, მოლდოვასთან ერთად, CSP-ის მიმღები ქვეყანა გახდა. ექსპერტები ამბობენ, რომ ეს ფაქტორი საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოსვლას ხელს შეუწყობს.

საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობები მზარდი ტენდენციით ხასიათდება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საქართველოდან ექსპორტის ზრდა, რომელმაც 2005 წლის მონაცემებით, 50 პროცენტს მიაღწია. საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 25 პროცენტი ევროკავშირზე მოდის.

CSPP+ სქემით გათვალისწინებული ზოგიერთი პერსპექტიული საექსპორტო პროდუქციაა: სხვადასხვა სახის ხილისა და ბოსტნეულის კონსერვები, ნატურალური თაფლი, ბოსტნეული, თხილი და კაკალი, საზამთრო, კომში, მინის ჭურჭელი (დოქები, სურები, ბოთლები და სხვა), ტექსტილის ნაწარმი, ფეხსაცმელი, ცემენტი, დაფნის ფოთოლი, ძმარი.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის პრევენციათა სქემით გათვალისწინებულია საქონლის ფართო ჩამონათვალი, იგი არ მოიცავს საქართველოსთვის ისეთ მნიშვნელოვან პროდუქციას, როგორიცაა ღვინო. ევროკავშირის მიერ საქართველოდან ექსპორტირებულ ღვინოზე დაწესებული საბაჟო გადასახადია 13.1 ევრო. საექსპორტო გადასახადი არ არის მაღალი, მაგრამ ქვეყნიდან ექსპორტირებული ღვინის რაოდენობა მაინც უმნიშვნელოა, რადგან ქართულ ღვინოს ევროპის ბაზარზე კარგად არ იცნობენ. 2005 წელს საქართველოდან ევროკავშირში 2,4 მლნ დოლარის ღვინო შევიდა, რომელიც ქვეყნიდან ექსპორტირებული ღვინის მხოლოდ 3 პროცენტია.

ცნობილია, რომ ევროკავშირი მსოფლიოში ღვინის მსხვილი იმპორტიორია. ევროპაში ღვინო შედის ქვეყნებიდან: ავსტრალია, სამხრეთ აფრიკა, ჩილე და აშშ. ბოლო ათი წლის მანძილზე ევროკავშირში ღვინის იმპორტი 10-ჯერ გაიზარდა (იმპორტის 45 პროცენტი დიდ ბრიტანეთზე მოდის). რაც შეეხება პროდუქციას, ევროკავშირზე მსოფლიოში წარმოებული ღვინის 60 პროცენტი მოდის, მათ შორის - სამ ქვეყანაზე (გერმანია, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი) მსოფლიო ღვინის იმპორტის თითქმის ნახევარი მოდის.

მიმდინარე წლიდან ახალი პრეფერენციების სისტემა საქართველოზე თურქეთმაც გაავრცელა, თუმცა აღნიშნული სისტემა სოფლის მეურნეობის პროდუქციას არ მოიცავს. რაც შეეხება თურქეთში ღვინის იმპორტის პერსპექტივებს, ამ ქვეყანაში ღვინის იმპორტის ყოველწლიური ზრდა შეიმჩნევა. მაგალითად, თუ 2002 წელს თურქეთში შეტანილი უცხოური წარმოების ღვინის საერთო რაოდენობა შეადგენდა 121 397 ლიტრს (184 714 დოლარი), 2004 წელს მან 852 116 ლიტრი (1 549 576 დოლარი) შეადგინა. ქვეყანაში ერთ სულ მოსახლეზე ღვინის მოხმარების წლიური რაოდენობა 0.9 ლიტრს არ აღემატება.

2005 წელს თურქეთში მიიღეს საიმპორტო გადასახადების შემდეგი რეჟიმი: იმ შემთხვევაში, თუ იმპორტირებული ღვინის 0.75-ლიტრიან ბოთლზე ღირებულება 5 ახალ თურქულ ლირას არ აღემატება, საბაჟო გადასახადი ღირებულების 70 პროცენტს შეადგენს, ხოლო 5 ახალ თურქულ ლირაზე მეტი ღირებულების მქონე ღვინოზე საბაჟო გადასახადი 63 პროცენტია. მიუხედავად ასეთი მაღალი საბაჟო გადასახადისა, თურქეთის ხელისუფლება მზადაა, მაისში გაიმართოს მოლაპარაკებები საქართველოს მხარესთან გარკვეული რაოდენობის ქართული ღვინის უბაჟოდ იმპორტის თაობაზე.

**ევროკავშირში საქართველოს ექსპორტის ზოგიერთი პროდუქცია და მისი ხვედრითი წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში 2005 წელი**

| ექსპორტი | |
|---|---|
| კაკალი, თხილი | 54% |
| მინერალური სასუქები | 49% |
| მინერალური და გაზიანი წყლები | 35% |
| ოქრო | 21% |
| ფეროშენადნობები | 13% |

**ევროკავშირში GSP-ის რეჟიმით ექსპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო პოზიციები**

| | 2003 (მლნ აშშ დოლარი) | 2004 (მლნ აშშ დოლარი) | 2005 (მლნ აშშ დოლარი) |
|---|---|---|---|
| კაკალი, თხილი | 7,9 | 12,5 | 60,5 |
| ამონიუმის გვარჯილა | 12,3 | 15 | 20,1 |
| უალკოჰოლო სასმელები | 11,1 | 14 | 19,5 |
| ფეროშენადნობები | 4,4 | 9,3 | 11,5 |

**მსოფლიოში ღვინის ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები**

| ქვეყანა | ღვინის იმპორტი (მლნ. ევრო, 2001-2003) |
|---|---|
| დიდი ბრიტანეთი | 3 289 |
| აშშ | 3 065 |
| გერმანია | 1 982 |
| იაპონია | 898 |
| ბელგია | 813 |
| შვეიცარია | 726 |
| კანადა | 721 |
| ჰოლანდია | 649 |
| საფრანგეთი | 502 |
| დანია | 456 |
| შვედეთი | 345 |
| რუსეთი | 337 |
| იტალია | 226 |
| ირლანდია | 205 |

### ევროკავშირის მინერალური წყლების იმპორტი

2005 წელს საქართველოდან ევროკავშირში მინერალური წყლის ექსპორტმა 3 007 ათასი დოლარი შეადგინა ანუ საქართველოდან მთლიანი ექსპორტის 0.9 პროცენტია. ევროკავშირში მინერალური წყლების იმპორტი გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან. თუმცა ქართული მინერალური წყლები ევროკავშირის მიერ დადგენილ საკვები პროდუქციის უსაფრთხოების მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. ახლო წარსულში ქართული "ბორჯომის" იმპორტს ხშირად ექმნებოდა შეფერხებები ევროკავშირის ქვეყნების ბაზარზე. ევროკავშირის შესაბამისი სამსახურების მიერ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ხსენებულ მინერალურ წყალში გარკვეული მინერალების შემცველობა (ნიტრატები, ფტორიდები, ბარიუმი, ბორი) ბევრად აღემატებოდა ევროკავშირის მიერ დადგენილ სუფრის წყლის შესაბამის სტანდარტებს, რის საფუძველზე აღნიშნული პროდუქცია ამოღებულია ევროკავშირის სავაჭრო ქსელიდან, თუმცა ეს შეზღუდვა არ ეხება "ნაბეღლავს", რომელიც ევროკავშირის ბაზარზე შეუფერხებლად შედის.

ქართული პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე დაშვების კუთხით მნიშვნელოვანია, საქართველომ დაიცვას ევროკავშირის შესაბამისი სტანდარტები, რაც უზრუნველყოფილია სტანდარტიზაციის, სერტიფიცირებისა და აკრედიტაციის სფეროში მიმდინარე რეფორმებით.

### შპს "ინფორმატიზაციის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი" ნახევარ მილიონ დოლარად იყიდება

ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, "ინფორმატიზაციის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის" პრივატიზაციის მიზნით, განაცხადების მიღება დღეს დაიწყო. პროცესი 27 აპრილამდე გაგრძელდება.

შპს-ს საქმიანობის სფეროა საზოგადოების ინფორმატიზაციასთან დაკავშირებული ამოცანების გადაწყვეტა; საზოგადოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის საშუალებებითა და მომსახურებით, მისი ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფა.

ობიექტის ქონებას წარმოადგენს: თბილისში, წერეთლის გამზ. 130-ში მდებარე შენობა - 2500 კვ.მ. და წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი - 726 კვ.მ; დიღმის მასივში VI კვარტალში მდებარე №19 კორპუსში 260 კვ.მ. ფართი და წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი; თბილისში, დიღმის მასივი III კვ. №5 კორპუსში - 136,81 კვ.მ. ფართი და წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი.

აუქციონი აღნიშნული ქონების პრივატიზაციის მიზნით 27 აპრილს 18 საათზე გაიმართება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### სს "კარტოგრაფიის" 32,28-პროცენტიანი სახელმწიფო წილი იყიდება

სს"კარტოგრაფიის" 32,28-პროცენტიანი სახელმწიფო წილი 150 000 დოლარად იყიდება. საქართველო ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ მისი პრივატიზაციის მიზნით განაცხადების მიღება უკვე დაიწყო, რაც 27 აპრილამდე გაგრძელდება.

შს"კარტოგრაფიის" საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ტოპოგეოდეზიური, თემატური, ეკოლოგიური, საცნობარო, ტურისტული რუკებისა და ატლასების ფოტოგეგმების და სხვა კარტოგრაფიული პროდუქციის გამოსაცემად მომზადება და მათი გამოცემა.

ობიექტი თბილისში, ფორე მოსულიშვილის ქუჩაზე N1-ში მდებარეობს. ობიექტის საწესდებო კაპიტალი 687 103 ლარია, დებიტორული დავალიანება - 88 565 ლარი, ხოლო კრედიტორული დავალიანება - 44 921.

აუქციონი ეკონომიკური განვითარების სამინისტროში 27 აპრილს 18 საათზე გაიმართება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### გაიხსნა ტელეკომუნიკაციების და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოფენა

თბილისში მე-3 საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოფენა "გეორგია თელ 2006" გაიხსნა.

გამოფენაზე მსოფლიოს 8 ქვეყნის 20-ზე მეტი კომპანიის მიერ წარმოდგენილია საკომუნიკაციო სექტორის თანამედროვე მიღწევები, სატელეკომუნიკაციო ქსელების საკაბელო და უმავთულო ტექნოლოგიები, ტელემაუწყებლობის თანამედროვე ტექნოლოგიები, კომპიუტერული ტექნიკა, ტელე და რადიო პროფესიონალური მოწყობილობები, საბანკო აღჭურვილობები, დაცვითი და უსაფრთხოების სისტემები, პროგრამული უზრუნველყოფის და ავტორიზაციის სისტემები.

როგორც გამოფენის გახსნის ცერემონიაზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილემ დავით წიკლაურმა განაცხადა, გამოფენის მიზანია მომხმარებლებისთვის თანამედროვე ტექნოლოგიების წარდგენა და ბიზნესმენების დაახლოება.

გამოფენის ფარგლებში ჩატარდება კონფერენცია, რომელიც აღნიშნული სექტორის განვითარებას მიეძღვნება. კონფერენციაში მონაწილეობას 70-მდე დელეგატი მიიღებს.

გამოფენა საქართველოს ეკონომიკური განვთარების სამინისტროს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის და გაერო-ს განვითარების პროგრამის ოფიციალური მხარდაჭერით, ბრიტანული საგამოფენო კომპანია საქართველოში მისი ექსკლუზიური პარტნიორის "იტესა კავკასიის" ორგანიზებით ტარდება. **ინტერპრესნიუსი**




## KODAK-მა ციფრული კამერა გამოუშვა

კომპანია "KodaK"-მა EasyShare"-ის სერიის ციფრული კამერა გამოუშვა. "Kodak"-ის ახალი ციფრული კამერა Bluetooth"-მოწყობილობითაა აღჭურვილი. კამერა საერთაშორისო ბაზარზე უახლოეს მომავალში გამოვა და მისი ღირებულება დაახლოებით 450 დოლარი იქნება. "Kodak EasyShare v610"-ის ფოკუსი 38-380 მილიმეტრს შეადგენს, ოპტიკა კი კამერას საშუალებას მისცემს სურათი 10-ჯერ გაზარდოს. ამასთან ვიდეოკამერა გადაღებას MPEG4 ფორმატში 30 კადრით წამში აწარმოებს. "Bluetooth"-ის საშუალებით, ახალი ვიდეოკამერა ფოტოებსა და ვიდეო-ფაილებს "Bluetooth"-მოწყობილობიან ნებისმიერ აპარატურაში გადაგზავნის. მათ შორის მობილურ ტელეფონებშიც. ახალი ვიდეოკამერის მფლობელებს ბალანსის გასწორება აღარ დასჭირდებათ. ამ ფუნქციას სპეციალური "Perfect touch"-ის რეჟიმი უზრუნველყოფს. შიდა მეხსიერება 28 მეგაბიტს შეადგენს.

## სპილენძის ფასმა ისტორიულ პიკს მიაღწია

ლონდონის მეტალების ბირჟამ, 26 აპრილს, მუშაობა სპილენძის ფასის რეკორდული მაჩვენებლით დაიწყო. გუშინ, ბაზარზე ერთი ტონა სპილენძი 7230 დოლარი ღირდა.

სპილენძზე პანიკური მოთხოვნილება და შესაბამისად მისი გაძვირება ძირითადად ორი ფაქტორით არის განპირობებული: ერთი - გაფიცვის საფრთხე, რომელიც ჩილელომას ბეის სპილენძის უმსხვილეს საბადოზეა მოსალოდნელი და მეორე - ჩინეთის ეკონომიკის მზარდი მოთხოვნილება. ჩინეთის ენერგოქსელის განვითარება კი აღნიშნული მეტალის მაქსიმალურ რაოდენობას ითხოვს. სპილენძზე მოთხოვნილებამ, რომელიც თანდათან აჟიოტაჟის სახეს იღებს, მიმდინარე კვირის განმავლობაში საერთაშორისო ბაზარზე მეტად რთული სიტუაცია შექმნა. უნდა აღინიშნოს, რომ მწარმოებლები მეტალს ხელზე ყიდიან, ხოლო მსხვილი ტრეიდერული კომპანიების საწყობებში სპილენძის მსოფლიო მოთხოვნილების მხოლოდ ორი დღე-ღამის მარაგია დარჩენილი. შექმნილ მდგომარეობას მექსიკის სპილენძის საბადოებზე მიმდინარე გაფიცვა კიდევ უფრო ართულებს. "ამ ყოველივემ სპილენძის ბაზარზე მოთხოვნილებასა და მეტალის რაოდენობას შორის დისბალანსი განაპირობა",- აცხადებს ლონდონის მეტალების ბირჟის წარმომადგენელი. სპილენძზე გაზრდილმა მოთხოვნილებამ სხვა მეტალების, მათ შორის თუთიის და ნიკელის გაძვირებაც გამოიწვია.

## ელიტარული სიგარეტი ღარიბებისთვის

მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული სიგარეტის მწარმოებელი ფირმა "Philip Morris"-ი "British American Tobacco"-ს მიერ წარმოებული იაფფასიანი სიგარეტის "Viceroy"-ის საპასუხოდ ბრენდ "Trend"-ს გამოუშვებს. ასე, რომ იაფფასიანი სიგარეტის ბაზარზე დაუნდობელი ბრძოლა დაიწყება. მწეველების რიცხვი მსოფლიო მასშტაბით საგრძნობლად შემცირდა, ხოლო ის, ვინც ეწევა შედარებით ძვირფას სიგარეტს ამჯობინებს.

მომავალი კვირიდან, მოსკოვში უკვე გამოჩნდება "Philip Morris"-ის იაფფასიანი სიგარეტი - სახელწოდებით "Trend"-ი. მისი ფასი "Viceroy"-სთან შედარებით უფრო ნაკლები იქნება.



# ადამიანი-მილიარდი

პირველი გვერდიდან

## ნორჩი პროგრამისტის წარმატება

უილიამ ჰენრი გეითს-მესამე დაიბადა 1955 წლის 28 ოქტომბერს სიეტლში. იგი საკმაოდ შეძლებული ოჯახის, რომელშიც კიდევ ორი პატარა გოგონა იზრდებოდა, ერთადერთი მემკვიდრე იყო. მამამისი უილიამ ჰენრი გეითს-მეორე საკმაოდ ცნობილი ადვოკატი იყო, დედამისი კი - მასწავლებელი. ბილმა საშუალო განათლება კერძო სკოლაში მიიღო, რის შემდეგაც მშობლები ელოდნენ, რომ ბიჭი მამის კვალს დაადგებოდა და სწავლას ჰარვარდის სამართლის ფაკულტეტზე გააგრძელებდა, მაგრამ მეშვიდე კლასში კომპიუტერებმა გაიტაცა და მათემატიკის პროფესორად გახდომაზე ოცნებობდა. სწორედ ამ პერიოდში ლეიკსაიდის სკოლის დედათა კლუბმა ელექტრონული გამომთვლელი მანქანის შესაძენად ფული შეაგროვა.

ამან ბილის ცხოვრება შეცვალა. ის და მისი მეგობარი პოლ ალენი (რომელიც 22 მილიარდის მფლობელია და Forbes-ის რეიტინგში მეექვსე ადგილზე გახლავთ) პროგრამირების პროცესმა იმდენად გაიტაცა, რომ სკოლაში გვიანობამდე რჩებოდნენ, ზოგჯერ დასვენების დღეებსაც იქ ატარებდნენ და კომპიუტერს არ შორდებოდნენ.

გეითსმა და ალენმა მეწარმეთა სამყაროში 15 წლის ასაკში შეაბიჯეს. მათ მოძრაობის მარეგულირებელი პროგრამა დაწერეს და მისი გამავრცელებელი კომპანიაც შექმნეს. ამ პროექტმა, რომელსაც "ტრეფ-ო-დეიტა" უწოდეს, ბიჭებს 2 ათასი დოლარი მოუტანა და ისინიც სკოლაში მეტად აღარ წასულან. 17 წლის გეითსი უკვე საკმაოდ ცნობილი გახლდათ და ამიტომაც იყო, რომ ბონევილის კაშხალზე ენერგიის გასანაწილებელი პროგრამული პაკეტის დაწერის სანაცვლოდ 3 ათასი დოლარი შესთავაზეს. უნდა ითქვას, რომ ეს მისი უკანასკნელი სამუშაო იყო, რომელიც დაქირავებულის რანგში შეასრულა.

ინტელექტუალურმა ახალგაზრდამ ეს სამუშაო მშვენივრად გააკეთა და, თანაც, სკოლასთან ხელშეკრულება გააფორმა, რომლის მიხედვითაც იგი საკურსოებად ჩაუთვალეს. 17 წლის გეითსმა ჰარვარდის მოსამზადებელ კურსზე ჩააბარა და სამომავლოდ, თითქოს, მამის გზის გაგრძელებას, ან კიდევ პროფესიონალ მათემატიკოსად გახდომას აპირებდა. ამბობენ, რომ ჰარვარდში იგი, ძირითადად, პინბოლის, ბრიჯის და პოკერის თამაშით იყო დაკავებული. ნიჭიერი ბიჭი გამოცდებს ყოველგვარი მომზადებისა და ლექციების მოსმენის გარეშე იოლად აბარებდა. უნივერსიტეტში მას პოკერის ნარკომანს და ტექნიკაზე გაგიჟებულ შერეკილს ეძახდნენ. ცხადია, ბილი პოლ ალენთან, რომელიც "ჰენიველში" მუშაობდა, ერთად პროგრამების შედგენაზეც ძველებურად იღწვოდა.

1975 წელს მეგობრებმა ჟურნალ "პოპულარულ ელექტრონიკაში" წაიკითხეს სტატია MITS-ის მიერ ახალი კომპიუტერის "ალტაირის" შექმნის შესახებ და ამ ფირმას სამოყვარულო კომპიუტერისათვის ბეისიკზე პროგრამის დაწერის წინადადებით მიმართეს. ჰარვარდის ლაბორატორიაში დღე-ღამეში 18 საათის განმავლობაში მუშაობის შემდეგ მათ პროგრამა მალე შექმნეს და იგი ალბუკერკში წაიღეს. 19 წლის გეითსმა ჰარვარდში აკადემიური შვებულება აიღო და MITS-ის ოფისის მახლობლად ოთახი დაიქირავა. იგი ახალ პროგრამებს ქმნიდა და, თანაც, Microsoft-ის ორგანიზებაზე მუშაობდა, რომლის მეშვეობითაც MITS-თან ურთიერთობის აწყობას აპირებდა.

ალბუკერკში მიღებული გამოცდილება Apple-თან, IBM-თან და სხვა ფირმებთან ურთიერთობისას მათ ძალიან გამოადგათ. Microsoft-ის მიერ შექმნილი საოპერაციო სისტემები იმ დროისათვის კომპიუტერული ტექნოლოგიების ლიდერად იქცა. იმ დროს ჟურნალი "ბაიტი" წინასწარმეტყველებდა, რომ გეითსისა და ალენის MITS-ის ურთიერთობა ოდესმე კომპიუტერული მრეწველობის ლეგენდად იქცეოდა და მასზე წიგნებს დაწერდნენ.

## დიდი ბიზნესის დასაწყისი

Microsoft-ის პირველ ნაბიჯებს ხიფათი და გაურკვევლობა ახლდა. მალე ახალგაზრდა კომპანია MITS-ი გაკოტრდა და გეითსმა თავისი ფირმის სიეტლში გადატანა გადაწყვიტა, რამდენიმე ახლად შექმნილ კომპანიასთან საქმიანი კონტაქტები დაამყარა და მათთვის პროგრამებს ბეისიკზე წერდა. 70-იანი წლების დასაწყისში ეს კომპანიებიც გაკოტრდა და Microsoft შავ დღეში ჩავარდა, სანამ 1977 წელს Apple-თან კონტრაქტი არ გააფორმა, რომლითაც Apple 2-ის პროგრამული უზრუნველყოფა ევალებოდა.

გეითსმა და ალენმა კიდევ რამდენიმე კომპანიისათვის ლიცენზირებული პროგრამები შექმნეს და, როგორც იქნა, 1980 წელს IBM-მა კომპიუტერულ ბაზარზე გასვლა გადაწყვიტა. ამ კომპანიამ Microsoft-თან კონტრაქტი გააფორმა, რომელმაც პერსონალური კომპიუტერების მთელი ინდუსტრია შეცვალა. საბოლოოდ, ორივე მხარე მოგებული დარჩა: გეითსმა დიდძალი ფული მიიღო, IBM-მა კი - MS-DOS, რომელსაც იმ დროს ანალოგი არ გააჩნდა.

ბილმა და პოლმა კომპანია გააფართოეს, პროფესიონალები მოიწვიეს, რომელთა შორის იყო ჰარვარდიდან მათი ძველი ნაცნობი სტივ ბალმერი (ამჟამად 13,6 მილიარდ დოლარს ფლობს და Forbes-ის რეიტინგში 24-ეა). თუმცა, ორი წლის შემდეგ, კერძოდ კი, 1983 წელს კომპანიის ხელმძღვანელობაზე უარი თქვა პოლ ალენმა. ოფიციალური მიზეზი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება გახლდათ, თუმცა ამბობდნენ, რომ პოლს ძველ მეგობარ ბილთან უთანხმოება ჰქონდა. თუმცა, გეითსის შემდეგ, Microsoft-ის ყველაზე მეტ აქციას სწორედ ალენი ფლობს.

Microsoft-ის პროდუქციაზე მოთხოვნილება იზრდებოდა და კომპანია თანდათანობით დომინანტი ხდებოდა. გეითსს ბიზნესის მშვენიერი ნიჭი აღმოაჩნდა და სულ უფრო და უფრო მეტ ფულს შოულობდა. 1986 წლის 13 მარტს მან Microsoft-ის აქციები ბირჟაზე გაიტანა, რამაც ძალიან დიდი შემოსავალი მოუტანა და უკვე 31 წლის (!) ასაკში ბილი მილიარდერი გახდა.

Microsoft-ი თანდათან სულ უფრო იფურჩქნებოდა, ყველა კონკურენტი უკან ჩამოიტოვა და მალე პროგრამული ბაზრის 44 პროცენტი აითვისა. მისი შეჩერება ვერავინ შეძლო, კონკურენტები ყველანაირად ცდილობდნენ, Microsoft-ის ჰეგემონია დაემხოთ, თვით მოსისხლე მტრები: IBM და Apple-იც კი საერთო ინტერესებით უტევდნენ, მაგრამ არავის არაფერი გამოუვიდა. 1991 წელს ცნობილმა ბიზნესმენმა, "ლოტუსის" შემქმნელმა მიტჩ კეპოტმა განაცხადა, რევოლუცია დასრულდაო, და ბილ გეითსს გამარჯვება მიულოცა.

1990 წელს Microsoft-მა მონაწილეობა მიიღო Apple-ის ახალი, Macintosh-ის კომპიუტერის შექმნაში, რომელიც იმავე DOS-ზე იყო დაფუძნებული. 1995 წელს კომპანიამ გამოუშვა განთქმული Windows 95, სამი წლის შემდეგ კი - Windows 98.

მართალია, 2000 წელს Microsoft-ს ჩავარდნის ხანა დაუდგა, მაგრამ კომპანიამ სირთულეები მალე გადალახა. კრიზისის დაძლევის შემდეგ ბილმა Microsoft-ის, რომლის აქციების 15,8 პროცენტს ფლობს, თავკაცობაზე უარი თქვა და პოსტი თავის ძველ მეგობარსა და პარტნიორს სტივ ბალმერს გადააბარა.

დღეს კორპორაცია Microsoft-ის მთავარი ოფისი სიეტლის გარეუბან რედმონდში მდებარეობს და 63 შენობისაგან შედგება. მსოფლიოს 60 ქვეყანაში არსებულ ფილიალებში 28 ათასამდე ადამიანი მუშაობს.









## წარმატების ეტალონი

ბილ გეითსი ჭეშმარიტი ნოვატორი მეწარმის ეტალონად ითვლება. პროგრამირების სფეროში იგი იმდენივეს ნიშნავს, რამდენსაც ედისონი ნათურასთან მიმართებაში. ეს პიროვნება, რომელშიც შერწყმულია წარმატებული გამომგონებელი, მეწარმე და ბიზნესმენი, ამერიკული ოცნების განხორციელების საუკეთესო მაგალითი გახლავთ.

საოცარი შრომისმოყვარეობა რომ არა, შეიძლება გეითსს არაფერი გამოსვლოდა. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, იგი დღე-ღამეში 18 საათის განმავლობაში მუშაობდა და, დრო რომ არ დაეკარგა, საქმიანობის პროცესში ფასტ-ფუდით თუ წაიხემსებდა ხოლმე. ახლაც კი, გეითსი, რომელსაც იმდენი ფული აქვს, რომ, ძალიანაც რომ მოინდომოს, ვერ დახარჯავს, კვირაში 6 დღის განმავლობაში დღე-ღამეში 15 საათს მუშაობს.

მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდული სტილის, დიდი სიმაღლის და არასტანდარტული საქციელის გამო ბევრი მას შერეკილად თვლის, გეითსს საოცარი ქარიზმატულობა გამოარჩევს. იმ მძიმე დროსაც კი, როცა Microsoft-ის საქმეები ძალიან ცუდად მიდიოდა, ხელქვეითებს მისი სრულიად სჯეროდათ. ამიტომაც იყო, რომ კომპანიაში რკინისებური დისციპლინა დაამყარა. Microsoft-ის თანამშრომლებს სასტიკად ეშინოდათ ე.წ. "ცეცხლოვანი ფოსტის", რომლითაც გაფრთხილებებს და საყვედურებს იღებდნენ.

ზემოთ გეითსის პოკერით გატაცებაზე ვისაუბრეთ. დიახ, გეითსი საოცრად აზარტული ადამიანია. ამბობს, რომ მუშაობს არა ფულის, არამედ სპორტული ინტერესის გამო. ვერ იტანს უოლ სტრიტის ანალიტიკოსებს, რომლებიც მოსვენებას არ აძლევდნენ და FTS-ის გამოცდებით განცდილი დანაკარგის დაანგარიშებას სთხოვდნენ.

1994 წელს 39 წლის გეითსი Microsoft-ის გაყიდვების მენეჯერ მელინდა ფრენჩზე დაქორწინდა და ამჟამად ქალ-ვაჟის - ჯენიფერის და რორის მამაა, 1995 წელს კი გამოსცა წიგნი "გზა მომავალში". გეითსი 1997 წელს ვაშინგტონის ტბის პირას აშენებულ, 60 ათას დოლარად შეფასებულ, სრულიად კომპიუტიზირებულ სახლში ცხოვრობს.

Microsoft-ის გარდა, მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანს სხვა ინტერესებიც აქვს. იგი გახლავთ ფარმაცევტული კომპანია Icos Corporation-ის დირექტორთა საბჭოს წევრი, ფლობს ბრიტანული კომპანია Chiroscienc-ის ქვეგანყოფილება Darwin Molecular-ის აქციებს, რომელიც ბიოტექნოლოგიურ სფეროში მოღვაწეობს. ამასთან, გეითსმა დააარსა ფირმა Corbis Corporatin, რომელიც მთელს მსოფლიოში არსებულ კერძო კოლექციებში დაცული, ხელოვნების ნიმუშების ფოტოების ელექტრონულ არქივს აკეთებს. გარდა ამისა, გეითსი მობილური კავშირგაბმულობის კომპანია Teledesic-ის პროექტებს აფინანსებს.

იმიჯზე ზრუნვა გეითსმა 1998 წლის 4 თებერვლის შემდეგ დაიწყო, როცა ერთ-ერთი საჯარო გამოსვლისას ტორტი ესროლეს. მაშინ დარწმუნდა, რომ გაცემაც უნდა იცოდეს, და ხელი ქველმოქმედებას მიჰყო. მან ცოლთან ერთად პირადი ფონდი შექმნა, რომლითაც სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროექტებს აფინანსებს, რაშიც დღემდე 200 მილიონ დოლარზე მეტი დახარჯა. ორი წლის წინ ბილ და მელინდა გეითსებმა ღარიბი სტუდენტების დასახმარებელი პროგრამა შეიმუშავეს.

ამგვარი გახლავთ თანამედროვეობის უმდიდრესი, დიდებული და არაორდინარული პიროვნების ისტორია, რომლის შესახებ ყოველთვის ძალიან ბევრს, აღტაცებით, შურით, ზოგჯერ ზიზღითაც კი, ლაპარაკობენ და რატომღაც მას სატანისტობას აბრალებენ. თუმცა, მსგავს ხვედრს, ალბათ, ვერ გაექცეოდა ადამიანი, რომელიც წარმატების სიმბოლოდ იქცა.

## ფედერალური სარეზერვო ფონდის განაკვეთმა ბირჟაზე კლება განაპირობა

გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა კლება დაფიქსირდა. ინვესტორთა შეშფოთება ფედერალური სარეზერვო ფონდის მიერ ინფლაციის შეჩერების მიზნით ძირითადი განაკვეთის მომავალში კვლავ გაზრდის შესახებ გაკეთებულმა პროგნოზმა განაპირობა.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,47 პროცენტით, 11.283,25 პუნქტამდე დაეცა, 0,13 პროცენტით დაკლებულმა Nasdaq Index-მა 2.330,3 პუნტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index 0,49 პროცენტით, 1.301,74 პუნქტამდე შემცირდა.










## პანამის არხის გაფართოება 5,25 მილიარდი დაჯდება

პანამის პრეზიდენტმა მარტინ ტორიხოსმა პანამის არხის გაფართოების გეგმა წარმოადგინა. 5,25 მილიარდი დოლარის ღირებულების ეს პროექტი რვა წელზეა გათვლილი. გაფორთოების დასრულების შემდეგ არხს შეეძლება თანამედროვე მრავალტონაჟიანი გემების გატარება, რომლებიც ახლა მის დამბებში ვერ ეტევა. ამ დროისათვის ორზოლიან პანამის არხს შეუძლია მაქსიმუმ 294,1 მეტრი სიგრძისა და 32,3 მეტრი სიგანის გემების გატარება. გაფართოების გეგმა კიდევ ერთი, 50 მეტრი სიგანის სანაოსნო ზოლის დამატებას ითვალისწინებს. ტორიხოსის თქმით, ამ დროისათვის არხი თავისი შესაძლებლობების ზღვარზე ფუნქციონირებს და თუ მისი რეკონსტრუქცია არ განხორციელდება, სატრანსპორტო კომპანიები ტვირთის გადასაზიდად სხვა გზას იპოვნიან. არხი წელიწადში 14 ათასამდე გემს ემსახურება და 1 მილიარდამდე დოლარის მოგება მოაქვს. არხის რეკონსტუქციის მოწინააღმდეგეები აცხადებენ, რომ პროექტის ღირებულება ძალიან დიდია და რომ მშენებლობის დამთავრებისას არხი მსოფლიო სტანდარტებს მაინც არ დააკმაყოფილებს.

## გაზპრომი" ბრიტანული ბაზრით დაინტერესდა

რუსული ენერგოგიგანტის წარმომადგენლის განცხადებით, "გაზპრომს" ბრიტანულ ბაზარზე გასვლა სურს და საამისოდ უმსხვილესი ბრიტანული გაზგამანაწილებელი კომპანიის Centrica-ს ყიდვას აპირებს.

ამ შესაძლო გარიგების შესახებ ჭორები თებერვლის ბოლოს გავრცელდა, თუმცა, რუსებს საქმეს ის ურთულებს, რომ ეროვნული კომპანიის ძგაზპრომის" მიერ შთანთქმის შესაძლობლობამ ბრიტანელთა აღშფოთება გამოიწვია. ამდენად, გამორიცხული არ არის, რუსული კომპანიისათვის წინააღმდეგობის შესაქმნელად, ბრიტანულ კანონმდებლობაში გარკვეული ცვლილებები განხორციელდეს.

## ნავთობის ფასი ოდნავ შემცირდა

აშშ-ში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მდგომარეობის შესახებ ქვეყნის ენერგეტიკის სამინისტროს განცხადების წინ, ნავთობის ფასი ცოტათი შემცირდა, თუმცა, საგრძნობლად არ შეცვლილა.

გუშინ ნიუ-იორკის ბირჟაზე გამართულ ვაჭრობაზე Brent-ის მარკის 1 ბარელი ნავთობის ფასმა 73,14 (-0,07) დოლარი შეადგინა. 1 ბარელი Light-ის მარკის ნავთობი კი 72,76 (-0,12) დოლარი ღირდა.

## Microsoft Massive Inc-ს ყიდულობს

გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, კომპანია Microsoft კომპანია Massive Inc-ის ყიდვას აპირებს, რომელიც კომპიუტერულ თამაშებში რეკლამის განთავსებაზე მუშაობს. თუმცა, ორი კომპანიის წარმომადგენლები ამ საკითხზე კომენტარის გაკეთებისაგან ჯერჯერობით თავს იკავებენ.

ექსპერტთა განცხადებით, კომპიუტერულ თამაშებში რეკლამის განთავსება მეტად მომგებიანი საქმეა. მაგალითად, ამ სფეროს ერთ-ერთი ლიდერის Massive Inc-ის კლიენტები არიან ისეთი მსხვილი კომპანიები, როგორებიცაა Coca-Cola და Honda. Massive Inc-ის შეძენა ბილ გეითსის პირმშოს საშუალებას მისცემს შემოსავალი არა მარტო თამაშების გაყიდვით, არამედ რეკლამის განთავსებითაც მიიღოს.

## რომან გოცირიძემ აფხაზეთში რუსული ბანკების მოქმედების საკითხი განიხილა

ამერიკის შეერთებულ შტატებში, სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელ პირებს შეხვდა. რომან გოცირიძემ თავისი ამერიკელი კოლეგების წინაშე აფხაზეთის ე.წ. საკრედიტო დაწესებულებებთან რუსეთის კომერციული ბანკების უკანონო თანამშრომლობის საკითხი დააყენა. შეხვედრას დაესწრნენ ფედერალური სარეზერვო სისტემის ზედამხედველობის, იურიდიული და საერთაშორისო ფინანსების დეპარტამენტების ხელმძღვანელი პირები.

ბანკის ცნობით, გოცირიძემ შეხვედრაზე აღნიშნა, რომ აფხაზეთის ე.წ. საბანკო სისტემა ფუნქციონირებს აბსოლუტურად დამოუკიდებლად და იგნორირებას უკეთებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ წესებსა და ნორმებს. მათ შორის, ბანკების ლიცენზირება-ინსპექტირებისა და ზედამხედველობის ნორმებს, არაკანონიერი შემოსავლების ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო პრინციპებს. საერთაშორისო სამართლის მიხედვით, საქართველოს ეროვნული ბანკის ლიცენზიისა და საქართველოს კანონმდებლობის დაქვემდებარების გარეშე ფუნქციონირებადი აფხაზეთის ბანკები არაკანონიერი სტრუქტურებია.

რომან გოცირიძემ აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემის წარმომადგენლებს აცნობა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის ოფიციალური მიმართვის შესახებ, რომელიც მან "დიდი შვიდეულისა" და მსოფლიოს სხვა წამყვანი სახელმწიფოების ფინანსთა სამინისტროებსა და ცენტრალურ ბანკებში გაგზავნა. მიმართვაში საქართველოს პრემიერ-მინისტრი აფხაზეთში რუსული ბანკების არალეგალური ქმედებების გამო აღშფოთებას გამოთქვამდა. დოკუმენტში ზურაბ ნოღაიდელი მიმართავდა მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ფინანსთა მინისტრებსა და ცენტრალური ბანკების მმართველებს, გაეტარებინათ შესაბამისი სანქციები იმ რუსული ბანკების წინააღმდეგ, რომლებიც აფხაზეთში მოქმედ ე.წ. საბანკო დაწესებულებებთან თანამშრომლობენ.

საქართველოს ეროვნული ბანკის ხელთ არსებული ინფორმაციით, აფხაზეთის ე. წ. ბანკებს დამყარებული აქვთ მჭიდრო საქმიანი ურთიერთობები რუსეთის ფედერაციის საფინანსო სტრუქტურებთან. მათი დახმარებით, აფხაზეთში არაკანონიერად მოქმედ ბანკებს შეუფერხებლად და უკონტროლოდ შეუძლიათ ნებისმიერი მომსახურების გაწევა კლიენტებისათვის, საერთაშორისო ფულადი ტრანზაქციების ჩათვლით.

აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემის წარმომადგენლები გაგებით შეხვდნენ იმ ინფორმაციას, რომელიც მათ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა მიაწოდა. რომან გოცირიძემ ამერიკელ კოლეგებს გააცნო რუსული ბანკების ჩამონათვალი, რომლებიც აფხაზეთის ე.წ. საბანკო სისტემასთან თანამშრომლობენ. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ აფხაზეთში მოქმედი ბანკები ლიცენზიის გარეშე, ე.ი. არალეგალურად საქმიანობენ. ამდენად, მათთან საკორესპონდენტო ურთიერთობების დამყარება ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის მიერ შემუშავებულ პრინციპებს. რაც შეეხება რუსულ ბანკებს, რომლებიც აფხაზეთის ე.წ. საბანკო სტრუქტურებთან თანამშრომლობენ, ისინი არღვევენ საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და საეჭვო რეპუტაციას იქმნიან. ასეთი რუსული ბანკების საქმიანობას ამერიკის შეერთებული შტატების საბანკო სისტემასთან სათანადო ყურადღება მიექცევა, - აღინიშნა შეხვედრაზე.

აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემაში გამართულ შეხვედრაზე ითქვა, რომ საჭიროა აღნიშნული საკითხის დაყენება აშშ-ს დეპოზიტების დაზღვევის ფედერალურ სისტემაში, სადაც ფორმირდება ე.წ. "შავი სია" ბანკებისა, რომელთა საქმიანობამაც ხელი შეუწყო "შავი ფულის" გათეთრებას. ეს საკითხი დადგება, ასევე, აშშ-ს ხაზინის საზედამხედველო დეპარტამენტში, რათა აფხაზეთის ე.წ. საბანკო სექტორთან რუსული ბანკების თანამშრომლობის პრობლემა სათანადოდ იქნას შესწავლილი. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## კასპის რაიონში მდინარემ მიწის ნაკვეთები დატბორა

კასპის რაიონის აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფელ ფერმაში ადიდებულმა მდინარე ქსანმა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები დატბორა, რიგი ნაკვეთები კი მთლიანად წაიღო. წყალდიდობის შედეგად დაიტბორა საცხოვრებელი სახლების პირველი სართულები, ხოლო მდინარის პირას მდებარე ათამდე სახლს დანგრევის საფრთხე შეექმნა. სტიქიის ზონიდან ევაკუირებულნი არიან ქალები და ბავშვები. მოსახლეობას სახლებიდან საყოფაცხოვრებო ნივთები გააქვს. როგორც ადგილობრივი მოსახლეობა აცხადებს, ისინი დახმარებისთვის საქართველოს პრეზიდენტთან აპირებენ ჩასვლას. აღნიშნულ სოფელში ადიდებულმა ქსანმა სამი საცხოვრებელი სახლი გასულ წელსაც დაანგრია და მიწის რამდენიმე ჰექტარი მიიტაცა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ამინდი

| | 27/04 | 28/04 | 29/04 |
|---|---|---|---|
| კიევი | 18 | 13 | 15 |
| რიგა | 12 | 11 | 11 |
| ვილნიუსი | 7 | 11 | 5 |
| მოსკოვი | 14 | 13 | 13 |
| მინსკი | 12 | 12 | 11 |
| პარიზი | 17 | 11 | 9 |
| რომი | 20 | 18 | 15 |
| ლონდონი | 16 | 13 | 13 |
| მადრიდი | 25 | 21 | 21 |
| ბონი | 14 | 12 | 5 |
| ვარშავა | 19 | 15 | 17 |
| ათენა | 21 | 16 | 18 |
| ბერნი | 16 | 11 | 8 |
| ამსტერდამი | 11 | 7 | 5 |
| ოსლო | 12 | 8 | 5 |
| ანკარა | 18 | 21 | 16 |
| ვარნა | 20 | 10 | 12 |
| დელი | 48 | 49 | 46 |
| ტოკიო | 20 | 24 | 19 |
| კოპენჰაგენი | 10 | 7 | 7 |
| ბაქო | 16 | 8 | 14 |
| ერევანი | 21 | 15 | 22 |
| ასტანა | 18 | 14 | 2 |
| ჰელსინკი | 10 | 5 | 3 |
| დუბლინი | 11 | 11 | 13 |
| ლისაბონი | 26 | 25 | 25 |
| პრაღა | 16 | 9 | 7 |
| სოფია | 17 | 18 | 18 |
| ბუდაპეშტი | 25 | 21 | 20 |
| ბუხარესტი | 20 | 18 | 18 |

# ფადი ნაჰასი: "მთელი ჩემი საქმიანობა ეფუძნება ნდობას და მხოლოდ ნდობას"

*მსოფლიო ბიზნესის ისტორიაში არაერთი მაგალითია, როდესაც ამა თუ იმ წარმატებული საქმიანობის სულისჩამდგმელი ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი საკმაოდ გვიან ხდება ხოლმე. ეს მენეჯერის თავისებური, საკმაოდ საინტერესო ტიპია, რომელიც ნაკლებ აფიშირებას, უფრო მეტად ჩრდილში ყოფნას და საქმის კეთებას განსაკუთრებული ხმაურის გარეშე ამჯობინებს.*
*ამის გამო ასეთი მენეჯერების ბიზნესი ზოგჯერ სხვათა სახელთან ასოცირებულიც კი ხდება. თუმცა, ადრე თუ გვიან, როდესაც ყველაფერს საკუთარი სახელი ერქმევა, საზოგადოებისთვის კიდევ ერთხელ ხდება ნათელი, რომ ნამდვილი ბიზნესმენი ჩუმად, ზედმეტი ხმაურის გარეშე გაცილებით მეტს აკეთებს, ვიდრე საკუთარი საქმიანობის ყოველ ნაბიჯზე აფიშირებით.*
*სამწუხაროდ, საქართველო ნამდვილად განიცდის ასეთი უხმაურო, უპირატესად შედეგზე ორიოენტირებული ბიზნესმენების ნაკლებობას. შესაბამისად, ასეთის საჯაროდ გამოჩენა ორმაგად უფრო საინტერესოა. მით უფრო, თუ მის სახელს საქართველოსნაირ პატარა ქვეყანაში მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიების შემოყვანა და მათი მრავალწლიანი წარმატებული საქმიანობა უკავშირდება. თუმცა, არანაკლებ საინტერესოა ის გარემოებები, რომლებიც ბიზნესმენს, რომელსაც არასოდეს ხიბლავს ხმამაღალი განცხადებები, აიძულებს საკმაოდ მკვეთრი შეფასებები გააკეთოს.*



**ფადი ნაჰასი: 48 წლის, კომპანია NA PLUS-ის აღმასრულებელი დირექტორი, კომპანია "ცელსიუსის" მფლობელი. მსოფლიოში ხილის უმსხვილესი იმპორტიორის - ამერიკული Dole Fresh Fruits, USA-სა და ხორცისა და ქათმის პროდუქტების უდიდესი ბრაზილიური მწარმოებლის - Sadia, Brazil-ის დისტრიბუტორი მსოფლიოს 10 ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში. იმავდროულად არის მსოფლიოს ქიმიური მრეწველობის ერთ-ერთი გიგანტის - გერმანული კორპორაცია BASF-ის პარტნიორი.**

**ბიზნესი ჯერ კიდევ სკოლის ასაკიდან დაიწყო. პირველი ბიზნეს გამოცდილება ლიბანში პირდაპირი გაგებით ომის პირობებში - ქვემეხების გრუხუნის ფონზე მიიღო. ამიტომაც მისთვის რისკი არა მხოლოდ ბიზნესის, არამედ ცხოვრების მახასიათებელია. საქართველოში 8 წელიწადზე მეტია მოღვაწეობს. რისკების მიუხედავად, მიიჩნევს, რომ საქართველო მომავლის ბაზარია და მისი ინტერესიც უპირველესად ამას ეფუძნება.**

**ფადი ნაჰასი იყო პიონერი, ვინც ლათინურ ამერიკაში წარმოებული პროდუქციის იმპორტი დაიწყო ახლო აღმოსავლეთისა და პოსტსაბჭოთა ბაზრებზე, თურქეთში კი ეკვადორული ბანანების იმპორტი თავისუფალი ვაჭრობის სიმბოლოდ აქცია.**

**-ბატონო ფადი, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში 8 წელზე მეტია, რაც მოღვაწეობთ, საქართველოში ბევრი არ გიცნობთ. გასულ კვირას თქვენ ხმაურიანი პრესკონფერენცია გამართეთ და თქვენი ყოფილი წარმომადგენელი უკანონო ბიზნეს საქმიანობაში დაადანაშაულეთ. რა ბიზნესი გაქვთ, სად მოღვაწეობთ?**

- ჩემი კომპანია ხმელთაშუა და შავი ზღვის აუზებში ხილისა და ხორცისა და ქათმის პროდუქტების დისტრიბუციის ლიდერია. ჩვენ ვართ უდიდესი კომპანიების - ამერიკული Dole Fresh Fruits, USA-სა და Sadia, Brazil-ის ექსკლუზიური დისტრიბუტორები 10 ქვეყანაში: თურქეთში, ეგვიპტეში, ერაყში, რუმინეთში, მოლდავეთში, საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთსა და შუა აზიის სახელმწიფოებში.

ჩვენი საქმიანობის ძირითადი მიმართულება ამ პროდუქტების ტრანსპორტირება, შენახვა, დაფასოება და დისტრიბუციაა. ჩვენ შევქმენით უდიდესი ე.წ "ცივი ქსელი", რომელიც წარმატებით ფუნქციონირებს და მუდმივად ფართოვდება.

გარდა ამისა, ვფლობ ტერმინალებს თურქეთსა და რუმინეთში, სადაც ხილისა და ხორცის პროდუქტების შენახვა და ტრანსპორტირება ხდება. ამასთან ვარ კომპანია Basf-ის პარტნიორი, რომელიც მცენარეთა დაცვისათვის საჭირო ქიმიკატების წარმოების მსოფლიო ლიდერია.

**- რატომ გადაწყვიტეთ 8 წლის წინ საქართველოში, დიდი რისკის ქვეყანაში ბიზნესის წამოწყება და დღეს ნანობთ თუ არა მაშინდელ არჩევანს?**

-საქართველოში პირველად 90-იანი წლების დასაწყისში ჩამოვედი და რამოდენიმე კომპანია დავაფუძნე. საბოლოოდ, ამ კომპანიების ბაზაზე შეიქმნა კომპანია "ცელსიუსი", რომელიც Dole Fresh Fruits, USA-სა და Sadia, Brazil-ის ნედლი და გაყინული პროდუქციის იმპორტიორია საქართველოში. ამას გარდა, ვარ Agritechnics Group -ის 50%- იანი წილის მფლობელი.

როგორც ჩემი პირველად ჩამოსვლის დროს, ასევე ახლაც მჯერა, რომ ამ რეგიონს და, კერძოდ, ამ ქვეყანას განვითარების დიდი შესაძლებლობები აქვს. აქ მომავლის ბაზარია, რომელიც მე, როგორც ბიზნესმენს, ძალიან მაინტერესებს. რაც შეეხება რისკს, მე ვფიქრობ, რომ დიდ რისკს დიდი შესაძლებლობები და დიდი შედეგები მოაქვს.

**- თქვენს კომპანიას საქართველოში პრობლემები შეექმნა, ამჟამად თქვენმა ადვოკატმა რამდენიმე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვა. რას აპირებთ, გააგრძელებთ მოღვაწეობას საქართველოში?**

- ჩვენ ვგეგმავთ საქართველოში ჩვენი ბიზნესის გაგრძელებას და გაფართოებას, დარწმუნებული ვართ საქართველოს განვითარების პერსპექტივაში, რაც ასევე პერსპექტიულს ხდის ჩვენს ბიზნესსაც.

**- რატომ დაინტერესდით აგროსექტორით და, თქვენი შეფასებით, როგორი პერსპექტივა აქვს საქართველოს ამ თვალსაზრისით?**

- საქართველოს აგროსექტორის განვითარების უდიდესი შესაძლებლობები აქვს, მე დიდი ხანია ვფიქრობ ამ თემაზე. ჩემი მოწვევით სულ მალე საქართველოში ჩამოვა სოფლის მეურნეობის ცნობილი ექსპერტი რენტორ არენდი. მისი დახმარებით ჩვენ საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში განსახორციელებელი რამოდენიმე პერსპექტიული პროექტის შემუშავებას ვგეგმავთ, რომელთაც საქართველოს მთავრობას წარუდგენთ. საქართველოში აგროსექტორში გარკვეული პროექტების განხორციელებით დაინტერესებულია Dole Fresh Fruits, USA.

**- რამდენად არის შექმნილი საქართველოში პირობები მსგავსი ტიპის პროექტების განსახორციელებლად? რამდენად მიმზიდველია აქ არსებული კლიმატი ინვესტორთათვის?**

- შორიდან თქვენს ქვეყანაში არსებული ვითარება ბევრად უფრო მომხიბვლელად მოჩანს. შთამბეჭდავია ის ცვლილებები, რომელთა შესახებაც მე უცხოური მედიიდან მესმოდა. თუმცა ინციდენტი, რომელიც გასულ კვირას ჩემს კომპანიასთან დაკავშირებით მოხდა (მხედველობაში მაქვს კრიმინალური პოლიციის დახმარებით ჩემი კუთვნილი ქონების დატაცება ჩემი ყოფილი წარმომადგენლის ფადი ასლის მიერ), შოკის მომგვრელია. ბიზნესი განსხვავებულია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, მაგრამ ის, რაც მე საქართველოში გამოვცადე, არც არსად გადამხდენია და ანალოგიც არ მსმენია.ეს უპრეცედენტო უსამართლობაა, რაც შესაძლოა ძალზედ არასასურველი მესიჯი აღმოჩნდეს ბიზნესსაზოგადოებისათვის. ჩემი პარტნიორები - უდიდესი კომპანიები შეშფოთებული ადევნებენ თვალს ამ ისტორიის განვითარებას. ყველაფრის მიუხედავად, მე არ ვკარგავ ობიექტური და სამართლიანი გამოძიების და სასამართლოს იმედს.

**- როგორი პრინციპებით ხელმძღვანელობთ ბიზნეს საქმიანობაში, რა არის თქვენთვის ბიზნესის კეთების მთავარი პრინციპი?**

- ყველგან, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მოღვაწეობისას მე მაქვს ბიზნესის კეთების უცვლელი პრინციპები:

1. არავინ მუშაობს ჩემთვის, ჩემზე, ყველა მუშაობს ჩემთან ერთად, ჩვენ ვართ ერთი გუნდის წევრები;
2. ჩვენ ყველანი ჩვენი პლანეტის მკვიდრი ვართ მიუხედავად კანის ფერის, ეროვნების, რელიგიური კუთვნილებისა.
3. მთელი ჩემი ბიზნეს საქმიანობა ეფუძნება ნდობას და მხოლოდ ნდობას.

მე რომანტიკული და შემოქმედებითი ბიზნესი მიტაცებს და არა მშრალი, სტანდარტული ბიზნესი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ცოდნათა ნაკრებს ეფუძნება. ასეთია ჩემი ბიზნეს ფილოსოფია.

**- თუმცა, თქვენი საქმიანობა მხოლოდ ბიზნესით არ შემოიფარგლება...**

- მე ძალიან აქტიური ადამიანი ვარ და აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობით ვარ დაკავებული, ვარ რამოდენიმე ფონდის დამფუძნებელი, მათ შორის Act for Lebanon ("დაეხმარე ლიბანს"), ასევე ვარ არაბული კულტურის დაცვის ფონდის (PACI) თანადამფუძნებელი. ვარ თურქეთში ეკვადორის საპატიო კონსული, დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის წევრი და გალაპაგოსის ევოლუციის მსოფლიო სამიტის სპონსორი.

2005 წელს ამერიკის ქვეყნების ეკონომიკურმა საბჭომ წლის საუკეთესო ლიდერად მაღიარა ლათინური ამერიკის ქვეყნების საექსპორტო ბაზრების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, ასევე აქტივობებისთვის კულტურათა დიალოგის ხელშეწყობის, სოციალური განვითარებისა და გარემოსდაცვითი პროექტების განხორციელებაში. ეს ჩემთვის განსაკუთრებით საპატიო აღიარებაა.

*ლევან ასათიანი*

# კომპანია "HYUNDAI"-ის საქმეებს პროკურატურა იძიებს

სამხრეთ კორეული ავტომობილების მწარმოებელი კომპანია "HYUNDAI"-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე პროკურატურაში დაიბარეს. მას არაკანონიერ პოლიტიკურ ლობირებაში ედება ბრალი. "HYUNDAI"-ის ხელმძღვანელი, გუშინ პროკურატურაში გამოცხადდა. მან კორეის მოსახლეობას ბოდიში მოუხადა და კორეის პროკურატურას კი გამოძიებისათვის საჭირო ყველა ინფორმაციის მიწოდებას დაპირდა. დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ 90-იან წლებში, პოლიტიკოსებისა და სხვა ოფიციალური პირებისთვისთვის გარკვეული ანაზღაურების გადახდის მიზნით, სპეციალური საიდუმლო ფონდი შექმნა. მართლმსაჯულება ვარაუდობს, რომ პოლიტიკის სანაცვლოდ, ამ ფონდში კომპანია "HYUNDAI"-ის ინტერესებიც იმალებოდა. გამომძიებლები დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელისა და მისი თანამოაზრეთა წინააღმდეგ კიდევ ერთ სამხილს ფლობენ. პროკურორი მათ წინააღმდეგ თანხების არალეგალურ მითვისების, ვალების გადახდისგან თავის არიდებისა და ქრთამის მიცემის მუხლით აღძრავს საქმეს. ეს პროცესი მაისის ბოლომდე გაგრძელდება. პროკურატურაში დაკითხვაზე კომპანიის მეთაურის შვილსაც დაიბარებენ. მისი ვაჟი "HYUINDAI"-ის შვილობილ კომპანია "KIA Motors"-ს ხელმძღვანელობს. ეს ორი ფირმა კი ერთობლივად, მთელი სამხრეთ კორეული საავტომობილო ბაზრის დაახლოებით 70%-ს აკონტროლებს. ორივე ლობისტი დაპატიმრებულ იქნა კომპანია "HYUNDAI"-დან ქრთამის აღების საფუძველზე, თუმცა ჯერ ცნობილი არ არის იგივმება თუ არა ამ სახსრების გამოყენება პოლიტიკოსების მიერ გაწეული დახმარებების დაფარვისთვის. როგორც ცნობილია, კომპანია "HYUNDAI"-ის მეთაური და მისი ვაჟი აქციების 60%-ს საქველმოქმედო საჭიროების მიზნით მეორე შვილობილ კომპანიას გადასცემს.

## ჯორჯ ბუშის ახალი პროგრამა

აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ნავთობსა და გაზზე ფასების ზრდასთან დაკავშირებით ახალი პროგრამა გამოაქვეყნა, სადაც აქცენტი აშშ-ს ნავთობის სტრატეგიული რესურსების შევსების შეწყვეტაზე კეთდება. ამ ნაბიჯით, ამიერიდან, აშშ-ში იმპორტირებული ნავთობი სარეალიზაციოდ იქნება მიმართული, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მიწოდება-მოთხოვნის დაბალანსებას და ფასების დაწევას. აშშ-ს მთავრობას დაგეგმილი აქვს დაიწყოს მასშტაბური გამოძიება, რომლის მიზანი იქნება გაირკვეს, სად და რა მიზეზით წარმოიქმნება ნავთობზე და გაზზე ფასებით სპეკულირება. ახალი პროგრამა ენერგიის ალტერნატიული წყაროების მოძიებასაც მოიცავს. აშშ-ს ნავთობის სტრატეგიული რესურსები 687 მილიონ ბარელს შეადგენს. ტექნიკური მაჩვენებლების მიხედვით, საცავებში 730 მილიონი ბარელი ნავთობი ეტევა, რომლითაც, ნავთობის დეფიციტის პირობებში, აშშ-ს მოთხოვნილების დაკმაყოფილება 80 დღის განმავლობაში იქნება შესაძლებელი. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ლონდონში საავტომობილო საწვავის ფასი ერთ ფუნტ სტერლინგს მიუახლოვდა

ლონდონის ავტოგასამართ სადგურებზე 1 ლიტრი არაეთილირებული ბენზინის ფასი 94,9 - 97,7 პენსია, დიზელის საწვავის ფასმა კი ზოგიერთ გასამართ სადგურებზე უკვე 99,9 პენსს მიაღწია. საწვავზე ფასის ზრდის მთავარი მიზეზს მსოფლიოში ნავთობზე მაღალი ფასები წარმოადგენს. ბრიტანელ ექსპერტთა აზრით, საწვავზე მაღალი ფასები ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე შენარჩუნდება. როგორც ბრიტანული ნავთობკომპანიის BP-ს ხელმძღვანელმა ჯონ ბრაუნმა განაცხადა, ნედლ ნავთობზე ფასების ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ ბენზინის ფასი გადააჭარბებს 1 ფუნტს ლიტრზე. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ერაყი ნავთობის ექსპორტის გაზრდას გეგმავს

2006 წლის ბოლოსთვის ერაყი გეგმავს, თავისი ნავთობის ექსპორტის მოცულობა დღე-ღამეში 1.8 მლნ ბარელამდე გაზარდოს. როგორც ერაყის ნავთობის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, ამ მიზნით უნდა მოხდეს ახალი საბადოების ათვისება და ძველი საბადოების რეაბილიტაცია, ასევე სანავთობო ინფრასტრუქტურების, კერძოდ, სატუმბი სადგურების რემონტი. ერაყის ნავთობის ექსპორტმა 2006 წლის აპრილის თვეში დღეში 1.5 მლნ ბარელი შეადგინა. ექსპორტის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 2005 წლის დეკემბერსა და 2006 წლის იანვარში დაფიქსირდა - 1.1 მლნ ბარელი დღეში. აღსანიშნავია, რომ 2003 წლის მარტში, ამერიკის შეჭრამდე, ერაყს საზღვარგარეთ დღეში 2.2 მლნ ბარელი ნედლი ნავთობი გაჰქონდა. ერაყის ნავთობის სამინისტროს ინსპექტორის, გენერალ ალი ალ-ლააკის განცხადებით, მას შემდეგ, რაც აჯანყებულებმა ქვეყნის ინფრასტრუქტურაზე შეტევა გააძლიერეს, ერაყის სანავთობო მრეწველობას კორუფცია ჭამს. მან ასევე აღნიშნა, რომ ადამიანთა მოტაცება და მექრთამეობა ერაყის ეკონომიკას ძირს უთხრის. **ჯი-ეიჩ-ენი**

## აზერბაიჯანული ნავთობი გაიაფდა

ერთ ბარელი AZERI LT-ის სახეობის ნავთობის ფასი 25 აპრილს შემცირდა და $71,30 შეადგინა, რაც $1,74-ით ნაკლებია წინა ვაჭრობაზე დაფიქსირებულთან შედარებით. AZERI LT-ის სიმკვრივე API-ის მიხედვით 34,9 გრადუსს შეადგენს, გოგირდის შემცველობა - 0,14 პროცენტი. URAL-ის ფასმა ერთ ბარელზე $64,81 შეადგინა ($1,26-ით ნაკლები). URAL-ის სიმკვრივე API-ის მიხედვით 32 გრადუსს შეადგენს, გოგირდის შემცველობა - 1,3 პროცენტი. Brent-ის ფასმა ერთ ბარელზე $72,79 შეადგინა ($1,33-ით ნაკლები). Brent-ის სიმკვრივე API-ის მიხედვით 38,3 გრადუსს შეადგენს, გოგირდის შემცველობა - 0,36 პროცენტი. AZERI LT-ის კოტირება ასახავს აზერბაიჯანული ნავთობის ფასს ხმელთაშუა ზღვის პორტებში, სადაც მას აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანია გადაზიდავს სუფსას ტერმინალიდან. URAL-ის კოტირება ნოვოროსიისკის პორტში გადაზიდული ნავთობის ფასს ასახავს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს ხელახალ ღია ტენდერს რბილი ინვენტარის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**შესყიდვის ობიექტი-** რბილი ინვენტარი

**დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი**

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ადგილზე მიტანით, ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 24 მაისის 12:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქ. N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N201. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, არასაგადასახადო (ვაკე-საბურთალო)

ეროვნული ბანკი

ანგ. N 200122900

ბანკის კოდი: 220101107

სახაზინო კოდი: 300043133

პრეტენდენტებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტით 2006 წლის 25 მაისიდან 1 ივნისის 14:30 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქ. N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი ოთახი N201. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 1 ივნისის 15:00 საათზე.

- საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

**იურიდიულ პირთათვის:**

1. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, მის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ
2. ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება და არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის

**ფიზიკურ პირთათვის:**

1. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ.
2. ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრადებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის

**როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:**

1. ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

ზემოთჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემები აგრეთვე ეხება სუბ-კონტროქტორებს, მათი არსებობის შემთხვევაში.

*შენიშვნა:* არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული, თარგმანის სახით.

